პრესომბუდსმენი A3

მილოშევიჩის სიკვდილის მიზეზი ცნობილია A6

პორტუგალია გავინაღდეთ A7

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 13 მარტი, 2006 წელი. №53 (1205) ფასი 50 თეთრი

თვალსაზრისი

რუსეთის ჩრდილოვანი იმპერია

ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აქვეყნებს სტატიას სათაურით, „რუსეთის ჩრდილოვანი იმპერია“, რომელშიც ხაზგასმით მიუთითებს საქართველოში გაყინულ კონფლიქტებზე. სტატიის ავტორები არიან ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა პალაციო და აშშ-ს „გერმანული მარშალის ფონდის“ კონსულტანტი დენიერ თვინინგი.

A3

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

2006 წლის 20 თებერვალს რესპუბლიკური პარტიის კონფერენციაზე განხილული დოკუმენტების ანალიზი, რომლებშიც მოცემულია ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარება და რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური დოქტრინის პრინციპები

B1-B3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

გაზეთ "24 საათის" რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. N51 (შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან) ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86

ამინდი

	13/03	14 /03
თბილისი	12	17
ბათუმი	15	17
სოხუმი	19	21
დმანისი	6	12
გორი	11	15
ონი	5	8
ზუგდიდი	20	22
ახმეტა	11	16
გაბარა	16	17
სამტრედია	18	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8225
ევრო	2.1742
ბირვანქა სტერლ.	3.1644
რუბლი	0.0651

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
ბიზნესი	A 4
ბიზნესი	A 5
სამართალი	A 6
სპორტი	A 7
რევიუ	A 8
თვალსაზრისი	B1-B3
ტენდერი	B 4

პოლიტიკური და პოლიციური სტაბილურობა

დიალოგი - სისუსტის გამოვლინება თუ ერთადერთი გამოსავალი?

თბილისში საპროტესტო აქციების სერია საქართველოში ნატო-ს შეფასების მისიის ვიზიტს და ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვან მომენტს დაემთხვა. ორივე მხარემ - ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც - ვითარების გასამწვავებლად, თითქოს განგებ, ყველა საშუალებას მიმართა.

დიმიტრი ავალიანი

სალარო აპარატების დადგმით შეშფოთებულ ბაზრობების მოვაჭრეთა მიმართ ოპოზიციის თანადგომა მისთვის ყურადღების მისაქცევად ახალი და უპრეცედენტო საშუალება გახდა. შეიძლება ითქვას, არაერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა დიდი ხნის ოცნება აისრულა – ხალხმრავალი საპროტესტო აქციების სათავეში მოექცა.

სალარო აპარატების საკითხი ოპოზიციისათვის ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა – სხვაგან სად მოახერხებდა რომელიმე პარტია ამ რაოდენობის უკმაყოფილო ხალხის მობილიზებას, თუ არა მრავალრიცხოვან ბაზრებსა და ბაზრობებზე? შესაბამისად, ამ თემისადმი სასურველი ინტერპრეტაციის მიცემითა და მომენტის შესაფერისი რიტორიკით ოპოზიციამ მოქალაქეთა უპრეცედენტო მასის აყოლიება შეძლო.

მართალია, მძაფრი პროტესტი ამგვარი ფორმით კონკრეტულად საგადასახადო აღრიცხვის პროცედურის გამო, საკითხის არაადეკვატურად გამოიყურება, მაგრამ რომელი ოპოზიციური პარტია იტყოდა უარს ამ ტალღის აგორებაზე და მოვაჭრეთა მრავალათასიანი არმიის გამოყვანაზე?

თუმცა, აქციების დაწყებისთანავე თვალსაჩინო გახდა ერთმანეთში ლოზუნგების, მიზნების აღრევა, საერთო ტაქტიკის უქონლობა. აქციებში მონაწილეობაზე არც ერთ მეტ-ნაკლებად მოქმედ პოლიტიკურ ძალას არ უთქვამს უარი. აქ იყვნენ “კონსერვატორები”, “ლეიბორისტები”, “მემარჯვენეები”, “რესპუბლიკელები”, იყვნენ უკვე ისტორიად ქცეული პოლიტიკური სახეები. მაგრამ იმ დროს, როდესაც ერთი გამომსვლელი სალარო აპარატებთან დაკავშირებულ მოთხოვნას აყალიბებდა, მისი შემდგომი ორატორი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე საუბრობდა, მესამე კი პირდაპირ პრეზიდენტის გადადგომასა და ვადამდელ არჩევნებს მოითხოვდა.

თუ “კონსერვატორები” მიზანმიმართულად აყალიბებდნენ მოთხოვნებს სალარო აპარატების საკითხზე მცირე მეწარმეების სასარგებლოდ, “ლეიბორისტები” ხელისუფლების სანინაალმდეგო ლოზუნგებით გამოსვლისათვის მხოლოდ ხალხმრავლობით სარგებლობდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

Forbes-ის მილიარდები

ბიძინა ივანიშვილი მილიარდერთა სიაში 173-ე ადგილზეა

გოჩა ქიმუცაძე

მსოფლიო მდიდრდება. განთქმული ჟურნალის Forbes მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2005 წლის განმავლობაში მილიარდერების რაოდენობა 15 პროცენტით გაიზარდა და 793 ადამიანს მიაღწია. მათი საერთო სიმდიდრე 2,6 ტრილიონი დოლარია. ერთი წლის წინ 691 მილიარდერი 2,2 ტრილიონს ფლობდა.

Forbes-ის რეიტინგის სათავეში კვლავ “მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი, ამერიკელი ბილ გეითსია, რომელმაც გასულ წელს თავისი ქონება 3,5 მილიარდი დოლარით გაზარდა და ამჟამად 50 მილიარდის მფლობელია. მართალია, გეითსის თანამემამულის, საინვესტიციო კომპანია “ბერკშირ ჰეზვეის“ თავკაცის უორენ ბაფეტის ქონება წლის განმავლობაში 44-დან 42 მილიარდამდე შემცირდა, მაგრამ მან რეიტინგში მეორე ადგილი მაინც შეინარჩუნა. მესამეზე კი 30 მილიარდით “ტელეკომის“ მეპატრონე, მექსიკელი კარლოს სლიმ ჰელუა. გასული წლის განმავლობაში იგი 6,2 მილიარდით გამდიდრდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი.

ირანის პოზიცია უკვე რუსეთსაც აღიზიანებს

ოფიციალურმა თეირანმა ერთობლივ ბირთვულ პროგრამაზე უარი თქვა

ხათუნა გაბიევი

ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო მორიგ განცხადებას აკეთებს. როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყების მეთაურმა ჰამიდ რეზა ასეფიმ აღნიშნა, ოფიციალური თეირანი აღარ აპირებს, რუსეთის წინადადება - ურანის გამდიდრება მის ტერიტორიაზე ერთობლივად აწარმოონ - განიხილოს, და ამ სფეროში საკუთარ ფართომასშტაბიან პროექტს დამოუკიდებლად განახორციელებს.

„რუსეთის წინადადება ჩვენს დღის წესრიგში უკვე აღარ დგას.

გაგრძელება A2 გვერდზე

ირანის მიერ რუსეთთან ბირთვული თანამშრომლობის აქტიური განხილვა მხოლოდ ფარსი აღმოჩნდა.

საქართველოს ელჩი კონდოლიზა რაისს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვასილ სიხარულიძემ სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა. საქართველოს ელჩსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების პოლიტიკური და მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებს შეეხო. მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს ძალისხმევას, ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი ქვეყანა გახდეს.

კონდოლიზა რაისმა დაადასტურა აშშ-ს მთავრობის მზადყოფნა, დახმარება გაუწიოს საქართველოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

„აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდგომ განხორციელებულ რეფორმებს და განსაკუთრებით აღნიშნა წარმატებები კორუფციასთან ბრძოლაში,“ - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ვასილ სიხარულიძე შარშან, 9 დეკემბერს დაამტკიცეს.

მედიანიუსი

არჩევნები ჯერ შორსაა...

ახალი პარტიის პოლიტიკური ამბიციები და შორეული პერსპექტივები

ქართულ პოლიტიკურ სივრცეს “არსებული რეალობის შეცვლის” მსურველი კიდევ ერთი პარტია შეემატა. “საქართველოს გზას” საკუთარი პოლიტიკური ამბიციები შორეულ პერსპექტივებზე აქვს გათვლილი და ყველა მომავალი არჩევნების ფავორიტობას გეგმავს. გუშინ სალომე ზურაბიშვილის თანაგუნდელებმა საკუთარი არსებობა ოფიციალურად დააფიქსირეს და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გამართეს. პარტიის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი იქნება, პოლიტსაბჭოს კი პარტიის ერთადერთი ცნობილი სახე, ოპოზიციონერი პარლამენტარი გია თორთლაძე უხელმძღვანელებს. ახალი პარტია ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების გზით აპირებს და რევოლუციებისა და მიტინგების კატეგორიული წინააღმდეგია.

სოფო ბუკია

გავრცელებული ინფორმაცია სალომე ზურაბიშვილის, კოკო გამსახურდიასა და გია მაისაშვილის პოლიტიკური მოძრაობების გაერთიანების თაობაზე გუშინ კიდევ ერთხელ უარყვეს. კოკო გამსახურდია ზურაბიშვილის ოპოზიციურ ბენეფისს გუშინ არც დასწრებია, გია მაისაშვილი კი ყრილობის მსვლელობას პარტერიდან ადევნებდა თვალს.

“კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა” – ამ სამ ძირითად პრინციპზე დააფუძნებს “საქართველოს გზა” საკუთარ სამოქმედო პროგრამას, რომელიც ახლო მომავალში დაიწერება.

საკუთარი გამოსვლის დიდი ნაწილი სალომე ზურაბიშვილმა ქართულ საზოგადოებაში “გამეფებულ უიმედობასა და დეპრესიულ განწყობაზე” საუბარს დაუთმო, რაც, მისივე თქმით, “რევოლუციური” იდეების მსხვრევითაა განპირობებული.

“იმედი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაჩნდა, გაუფერულდა და შესაძლოა, საბოლოოდ გაქრა კიდეც, ვინაიდან დღეს ქვეყანაში მძიმე სურათია. დღეს ჩვენ გვტკივა ქართული სოფელი, გვტკივა მეწარმე, გვტკივა მოვაჭრეები, გვტკივა მეცნიერება, გვტკივა კულტურა, გვტკივა ღირებულებები, დევნილები, ვეტერანები, სტუდენტები, უფროსები და უმცროსებიც. გვტკივა თითქმის ყველაფერი, ვინაიდან ქვეყანაში უკან დაბრუნების პროცესი დაიწყო,“ – აღნიშნავდა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ეკონომიკა და ტერორიზმი

თორნიკე შარაშენიძე
ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

გასულ კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ყურადღება მიიპყრო ორმა სერიოზულმა ეკონომიკურმა გარიგებამ, რომელთაგან ერთი შედგა, მეორე კი ჩაიშალა. პირველი გარიგება, რომელიც 67 მილიარდ დოლარად შეფასდა, კავშირგაბმულობის სფეროში შედგა. „ეიტი ენდ ტიმ“ „ბელსაუსი“ შეისყიდა, რის წყალობითაც სრული კონტროლი დაამყარა აშშ-ს მობილური კავშირების უმსხვილეს კომპანიაზე, „სინგულარ უაიარლესზე“ („ეიტი ენდ ტი“ ამ კომპანიის 60 პროცენტს, „ბელსაუსი“ კი 40 პროცენტს აკონტროლებს). ამ გარიგებით თითქმის აღსდგა ძველი კომპანია – „ეიტი ენდ ტი“, რომელიც თავის დროზე მონოპოლიად გამოაცხადეს და ამის გამო ნაწილობრივ დაშალეს: მაშინ „ეიტი ენდ ტი,“ როგორც ასეთი, კომპანიად კი დარჩა, მაგრამ მის საფუძველზე ახალი კომპანიები, ე.წ. „ბეიბი ბელები“ წარმოიქმნა. ერთ-ერთი ასეთი „ბეიბი ბელი“ გახლავთ „ბელსაუსიც“ და სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა ყოფილმა „ბეიბი ბელმა,“ ამჟამად კი „ესბისი კომუნიკეიშენზმა“ გასულ ნოემბერს თავად დაამყარა კონტროლი „ეიტი ენდ ტიზე.“ ამან არ შეიძლება არ გაგვახსენოს 90-იანების ბოლოს ორი ნავთობგიგანტის, „ექსონისა“ და „მობილის“ გაერთიანება, რომლებიც თავის დროზე როკფელერის იმპერიის, „სტანდარდ ოილის“ დაშლის შედეგად წარმოიქმნა (ეს უკანასკნელიც მონოპოლიად სცნეს).

ცხადია, ახალი „ეიტი ენდ ტი“ მონოპოლია არ არის. ეს გაერთიანება უპირველესად კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისკენაა მიმართული. „ეიტი ენდ ტის“ აშშ-ს ბაზარზე ერთობ სერიოზული მეტოქე ჰყავს „ვერაიზონ კომუნიკეიშენზის“ სახით, რომელმაც გასულ წელს „ემსიაი“ შეისყიდა და ერთობ გაიმყარა პოზიციები.

თუმცა, „ეიტი ენდ ტის“ ახლანდელი წარმატება უკვე „ვერაიზონს“ უბიძგებს ახალი გარიგებისა და კიდევ უფრო გამსხვილებისაკენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

მოსწავლეები საავადმყოფოდან გაწერეს

გუშინ ინფექციური საავადმყოფოს დახურულ პალატებში განთავსებული 50-ე საშუალო სკოლის ოთხი პაციენტიდან სამი გაეწერა. ექიმების განცხადებით, ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მათ აღარ აქვთ მაღალი ტემპერატურა და მკურნალობას შინ განაგრძობენ.

რაც შეეხება მეოთხე ბავშვს, რომელიც ასევე საავადმყოფოში გადიოდა ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობის კურსს, ჯერჯერობით საავადმყოფოში რჩება.

საავადმყოფოშია მოთავსებული 20 წლის ზურაბ გულიაშვილიც, რომლის განცახდებითაც, მას კავშირი ერთ-ერთ დაღუპულ ბავშვთან ჰქონდა. მკურნალი ექიმის განცხადებით, თუ ავადმყოფებს რაიმე გართულება არ აღენიშნათ, მათ 5 დღეში გაწერენ. შეგახსენებთ, რომ საავადმყოფოში მოთავსებული ბავშვები იმ სკოლის მოსწავლეები არიან, სადაც გასულ კვირას მძიმე სტაფილოკოკური ინფექციით ორი მოსწავლე გარდაიცვალა. ექიმების განცახდებით, ბავშვების დაღუპვის მიზეზი პნევმონია გახდა. თბილისის 50-ე საშუალო სკოლაში პრევენციული ღონისძიებები გატარდა. 50-ე სკოლის დირექტორი ნინო გოგსაძე აცხადებს, რომ სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ იმ კლასების მოსწავლეებს, სადაც გარდაცვლელი ბავშვები სწავლობდნენ. შემოწმდნენ პედაგოგებიც. **ჯი-ეიჩ-ენი**

ინფექციურ საავადმყოფოს 140-მდე ადამიანმა მიაკითხა

თბილისის 50-ე საშუალო სკოლაში მწვავე რესპირატორული ინფექციის გამოვლენის შემდეგ, ინფექციურ სავადმყოფოს, გამოკვლევის ჩასატარებლად 140-მდე ადამიანმა მიაკითხა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცხადებით, მწვავე რესპირატორული ინფექციით ინფექციურ საავადმყოფოში დღეისათვის მკურნალობას 22 პაციენტი გადის, თუმცა მათ სტაციონარული მკურნალობის ჩატარება სიფრთხილის გამო მოითხოვეს. „ზამთრის სეზონისათის მწვავე რესპირატორული ინფექციების მატება ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა წელს, ინფექციის მატებას 50-ე სკოლაში მომხდარი უბედური შემთხვევები დაემთხვა, რამაც მოსახლეობის პანიკა გამოიწვია“, - განაცხადა იმნაძემ. **ინტერპრესნიუსი**

თანამედროვე სტანდარტების რკინიგზის ვაგზალი

შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ცენტრალური ვაგზლის, ბორჯომის ვაგზლისა და გადადასასვლელი ხიდის გრძელვადიანი იჯარით გასაცემად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს სატენდერო განაცხადების წარდგენის ვადა დღეს ეწურებათ. შპს „საქართველოს რკინიგზის“ პრესსამსახურში აცხადებენ, რომ გამარჯვებულ კომპანიის სატენდერო კომისია უახლოეს დღეებში გამოავლენს. მას აღნიშნული ინფრასტრუქტურა 49-წლიანი იჯარით გადაეცემა. გამარჯვებულმა ამ ობიექტების მოდერნიზაციისთვის უახლოეს 2-3 წელიწადში 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. შესაბამისად, თბილისს უახლოეს ორ წელიწადში თანამედროვე სტანდარტების რკინიგზის ვაგზალი ექნება. სატენდერო პირობების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია, ცენტრალური ვაგზლის შენობაში განთავსებული იძულებით გადაადგილებული პირები კომპენსაციით დააკმაყოფილოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ვიზიტი 15 მარტს დასრულდება

13 მარტს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია, დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბადრი ბიწაძის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით, მოსკოვში იმყოფება. საქართველოს დელეგაციას რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელი გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმირ პრონიჩევი მიიღებს. შეხვედრაზე მხარეები საქართველო-რუსეთის სახელმწიფოს საზღვარზე და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე არსებულ მდგომარეობასა და შავი ზღვის აკვატორიაში სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ. პროგრამის ფარგლებში ხელი მოეწერება შეხვედრის ოქმს. ასევე დამტკიცდება 2007 წლის ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმა. რუს კოლეგებთან ცალკე შეხვედრებს გამართავენ საქართველოს სასაზღვრო უწყების თავმჯდომარის მოადგილეებიც. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაციის ვიზიტი 15 მარტს დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ოპოზიცია პრორუსულ ძალებთან თანამშრომლობას არ აპირებს

ფრაქცია “დემოკრატიული ფრონტის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი “აბსურდულს” უწოდებს საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრის განცხადებას, რომ მოსკოვში ანტიქართული საპროტესტო აქციები და თბილისში ოპოზიციის მიერ ორგანიზებული ანალოგიური მანიფესტაციები კოორდინირებულად მიმდინარეობს. “ეს ლოგიკური შეცდომაა, რადგან აქციები, უბრალოდ, დროში დაემთხვა ერთმანეთს. ალბათ, ჩინეთში ყოველწლიურად ასი მილიონი ადამიანის დაბადებაც კოორდინირებულია საპროტესტო აქციებთან,“ - აცხადებს ბერძენიშვილი. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თქმით, ოპოზიცია პრორუსულ ძალებთან, განსაკუთრებით კი, იგორ გიორგაძის პარტიასთან თანამშრომლობას არ აპირებს. „ჩვენთვის იგორ გიორგაძე კეთროვანია. ამიტომაც, მასთან თანამშრომლობაზე საუბარიც კი ჩვენთვის შეურაცხმყოფელია,“ - ამბობს ბერძენიშვილი. **მედიანიუსი**

ბელარუსი დეპორტაციით იმუქრება

ბელარუსის ხელისუფლება დეპორტაციით ემუქრება იმ უცხოელებს, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ქვეყანაში „ვითარების დესტაბილიზაციის“ მიზნით ჩავლენ. ამის შესახებ ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ანდრეი პოპოვმა განაცხადა.

პრესმდივნის თქმით, მისი უწყებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფს განსაზღვრული აქვს, უკრაინის და რუსეთის ტერიტორიის გავლით, ბელარუსში და „მინსკის აეროპორტში შოუ მოაწყოს“, თუ მათ ქვეყანაში არ შეუშვებენ. ბელარუსის საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ყველა ზომას მიიღებს, რომ მის საშინაო საქმეებში უცხოელთა მხრიდან ნებისმიერი რჩევა თავიდან აიცილოს. **ინტერპრესნიუსი**

არჩევნები ჯერ შორსაა...

ᲖᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

“საქართველოს გზის“ ლიდერმა ოპოზიციურ პალიტრაზე საკუთარი ნიშა განსაზღვრა და დანარჩენი ოპოზიციის ბრძოლის მეთოდებს გაემიჯნა.

ექსმინისტრი ქვეყანაში დღეს ორ საფრთხეს ხედავს: უკან სვლას და რევოლუციონერობას, რაც, მისივე თქმით, “ერთნაირად საშიშია”.

“ჩვენ გვინდა ცვლილება, მაგრამ არა აქციებისა და მიტინგების გზით. ჩვენ არჩევნებით ცვლილება გვინდა. ეს ბევრად უფრო რთული გზაა, ვიდრე მიტინგების გამართვა. მე არ ვადანაშაულებ ოპოზიციას მიტინგების გამო, მაგრამ მე მაქვს ჩემი გზა, სხვა გზა, და ვნახოთ, საზოგადოება ვის გაყვება,” – ამ სიტყვებით “საქართველოს გზის” ლიდერმა ოპოზიციურ პალიტრაზე საკუთარი ნიშა განსაზღვრა და დანარჩენი ოპოზიციის ბრძოლის მეთოდებს გაემიჯნა.

“საქართველოს გზა” წელს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს და, როგორც მისი ლიდერი ირწმუნება, წარმატებასაც მიაღწევს. **“დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება შეიძლება. არ არიან ესენი ისეთი მანიპულატორები, როგორც ამბობენ... ეს მათივე დაყრილი ხმებია,”** – სჯერა სალომე ზურაბიშვილს, რომელიც “ქვეყნის ხსნას” საზოგადოების პოლიტიკურ აქტიურობაში ხედავს. **“ყველანი უნდა მოხვიდეთ არჩევნებზე, ნუ დავუთმობთ პარლამენტს ამ მუტანტებს,” -** ზურაბიშვილმა ადრე “ქაჯებად” მონათლული პარლამენტარებიც არ დაივიწყა და გუშინ მათ ახალი სახელი შეურჩია.

“საქართველოს გზა” ყველა ოპოზიციურ პარტიას საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებისა და თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, თუმცა, როგორც გუშინ აღინიშნა, რომელიმე პარტიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობაზე სალომე ზურაბიშვილის პარტია ჯერ არ ფიქრობს.

“საქართველოს გზასთან” თანამშრომლობას “სიამოვნებით” აპირებს გია მაისაშვილი და მისი ახლადშექმნილი მოძრაობა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში მაისაშვილმა განაცხადა, “ერთ პარტიად გაერთიანებაზე არავინ საუბრობს”. **“მე აბსოლუტურად ვიზიარებ ქალბატონი სალომეს იდეებს და ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობას ვაპირებთ... არჩევნები ჯერ შორსაა, და გამოვალთ თუ არა ერთიანი სიით, არ ვიცი. მე, საერთოდ, სიებზე და ასეთ რამეებზე არ ვფიქრობ,”** – აღნიშნა მაისაშვილმა.

რაც შეეხება კოკო გამსახურდიას, ექსპრეზიდენტის ვაჟიშვილმა “საქართველოს გზის” დამფუძნებელ ყრილობამდე საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც კატეგორიულად განაცხადა, რომ ზურაბიშვილთან ერთ პოლიტიკურ ძალად გაერთიანებას არ აპირებს.

ირანის პოზიცია უკვე რუსეთსაც აღიზიანებს

ᲖᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნები ირანის მორატორიუმის პირობებში დაბრუნებას ითვალისწინებს.

მდგომარეობა შეიცვალა. ამიტომ ჩვენ ცოტას კიდევ მოვიცდით და დაველოდებით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები იმ ხუთ ქვეყანაში, რომლებსაც გაერო-ს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება აქვთ,“ - განაცხადა ასეფიმ.

საგარეო უწყების მეთაურის თქმით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას - ირანის „ბირთვული დოსიე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადასცეს - „პოლიტიკური სარჩული უდევს და ოფიციალური თეირანისთვის მიუღებელია“. თანაც, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ირანის პარლამენტი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამატებითი ოქმის რატიფიცირებას ჯერჯერობით არ აპირებს, ყველაფერი ნათელი გახდება.

ასეფის განცხადებას წინ უსწრებდა მოლაპარაკებების მონაწილე რუსეთის დელეგაციის პოზიციის დადასტურება.

„ოფიციალური თეირანის გადაწყვეტილება - რუსეთის ტერიტორიაზე ურანის გამდიდრების ერთობლივ სამუშაოზე აღარ იფიქროს - კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას გაერო-ს უშიშროების საბჭოში და „ბირთვული დოსიეს“ განხილვას გაცილებით რადიკალურ ფორმებს შესძენს,“ - თქვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩოვმა.

რუსი დეპუტატების აზრით, დღემდე, ირანის მიერ ზემოაღნიშნული თანამშრომლობის აქტიური განხილვა მხოლოდ ფარსი აღმოჩნდა და პროგრესის მანიშნებელი ძვრებისთვის იყო გამიზნული. რეალურად, რუსეთის წინადადება თეირანისთვის მხოლოდ საკუთარი პროგრამის დამატება აღმოჩნდა და არა მისი ჩანაცვლება. ასეთი მიდგომა კი არც რუსეთის და, მით უმეტეს, არც საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებში არ შედიოდა.

რუსული მხარის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ირანი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, ოფიციალური მოსკოვი არ დათანხმდება ურანის ერთობლივად გამდიდრების პროგრამის წარმოებას რუსეთის ტერიტორიაზე.

„ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნები ირანის მორატორიუმის პირობებში დაბრუნებას ითვალისწინებს და ავალდებულებს მეჯლისს, დამატებით პროტოკოლს რატიფიცირება გაუკეთოს,“ - თქვა რუსეთის დელეგაციის ერთერთმა წევრმა.

მისივე თქმით, ირანულმა მხარემ არაერთხელ სთხოვა ერთობლივი პროგრამის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა რუსულ მხარეს მოსკოვსა და თეირანში გამართულ მოლაპარაკებებზე, მაგრამ ოფიციალური მოსკოვისთვის ამოსავალ წერტილად უმთავრესად მაინც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნების დაკმაყოფილება რჩებოდა.

„ვინაიდან ირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან შეთანხმება ვერ მოახერხა, ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტის განხორციელება ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია,“ - აცხადებს რუსული მხარე.

რაც შეეხება თურქეთის წინადადებას, ურანის გამდიდრება ირანთან ერთად თურქეთის ტერიტორიაზე აწარმოონ, ამასთან დაკავშირებით რუსული მხარის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად სკეპტიკურია.

„ექსპერტებისთვის და ყველა იმ პროფესიონალისთვის, რომლებიც ამ თემას კარგად იცნობენ, ამ წინადადების აბსურდულობა ყოველგვარი ზედმეტი კვლევის გარეშეც კი ნათელია. თურქეთს არ აქვს ბირთვული საწვავის ციკლის წარმოებისთვის სათანადო ტექნოლოგიები, ხოლო ჰიპოთეტური მიწოდება თურქეთისთვის იმ ტექნოლოგიებისა, რაც ასეთი სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელია, ნატო-ს პარტნიორების მხრიდან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის პირდაპირი და უხეში დარღვევა იქნებოდა. ეს კი არსებულ ვითარებაში აბსოლუტურად მიუღებელია. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის სერიოზულად განხილვისათვის არავითარი საფუძველი არსებობს,“ - აცხადებენ მოსკოვში.

განიხილეს საქართველო-აშშ-ს თანამშრომლობის პერსპექტივები

საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს მეთიუ ბრაიზას შეხვდა. შეხვედრის დროს მხარეებმა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობები და ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების - ეუთოს, ევროკავშირის, გაეროსა და პარტნიორი ქვეყნების როლი განიხილეს. ბეჟუაშვილმა და ბრაიზამ ისაუბრეს, აგრეთვე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების, ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებისა და რეგიონული საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ.

მხარეებმა კვლავ აღნიშნეს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო-აშშ-ს თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

ავღანეთის ყოფილ პრეზიდენტ სიბგათულა მოქადიდზე, რომელიც ამჟამად „თალიბანის“ სამთავრობო კომისიას ხელმძღვანელობს, თავდასხმა განხორციელდა.

კამიკაძე-ტერორისტმა დანაღმული ავტომანქანა მოქადიდის ავტომანქანის გვერდით ააფეთქა. ტერორისტი და კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა. თავად ექსპრეზიდენტი არ დაშავებულა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

რუსეთის დემოკრატიული ძალები გაერთიანებას ცდილობენ. “იაბლოკოსა“ და “მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას“ შორის მიმდინარე კონსულტაციების საბოლოო შედეგები საზოგადოებისთვის ერთ თვეში გახდება ცნობილი. “მემარჯვენეთა” წარმომადგენლის ნიკიტა ბელიხის განცხადებით, მოლაპარაკებები გაერთიანებაზე აქტიურად მიმდინარეობს და საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება. ბელიხმა გამოთქვა ვარაუდი, რომ, შესაძლებელია, მათ გაერთიანებას რუსეთის რესპუბლიკური პარტიაც შეუერთდეს, რომლის ლიდერი ვლადიმირ რიჟკოვია. “ჩვენი წინადადება რუსეთის რესპუბლიკურ პარტიას გადაეგზავნა, მაგრამ სამმხრივი ფორმატით შეხვედრა ჯერ არ გამართულა,“ - განაცხადა ბელიხმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

ტიბეტის სულიერმა ლიდერმა დალაი ლამამ ჩინეთში ჩასვლის სურვილი გამოთქვა. მისი ელჩები ახლახან დაბრუნდნენ ჩინეთიდან, სადაც ქვეყნის ხელმძღვანელობას მისი სურვილი გადასცეს. “ჩინეთში, ბუდიზმის ისტორიის უძველესი დროიდან, მრავალი წმინდა ადგილია,“ - განაცხადა დალაი ლამამ. მან დასძინა, რომ სურს ჩინეთი, როგორც მომლოცველმა, ისე მოინახულოს. “მოსაღოცი ადგილების გარდა, იმედი მაქვს, საკუთარი თვალით ვნახო ის ცვლილებები, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ხდება,“ - განაცხადა დალაი ლამამ. ჩინეთის თანხმობის შემთხვევაში, ეს 70 წლის დალაი ლამას პირველი ვიზიტი იქნება ჩინეთში ბოლო 50 წლის განმავლობაში. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ საკითხზე ამ ეტაპზე კომენტარს არ აკეთებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

უკრაინულმა სახელწიფო კორპორაციამ განცხადება გააკეთა ახალი პროექტის რეალიზაციის შესახებ, რომელიც ჯეიჰან-სამსუნის ნავთობსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, აშენდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ნავთობსადენი, რომლის სიმძლავრე 100 მილიონი ტონა იქნება. ნავთობგადაზიდვებს ასევე მოემსახურება სპეციალური ტანკერები. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ თურქული სახელმწიფო კორპორაცია „ბოშტანი“ და გერმანული „თისენ გრუპი“, ეს უკანასკნელი პროექტს დააფინანსებს. არ არის გამორიცხული, პროექტის რეალიზაციაში რუსული მხარეც ჩაერთოს. ჯეიჰანი-სამსუნის ნავთობსადენით უკრაინა ახლო აღმოსავლეთიდან 30-40 მილიონ ტონა ნავთობს მიიღებს. ამ პროექტით კიევი ევროპას ნავთობის ტრანზიტის ახალ გზას შესთავაზებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი პიერ შევალიე მიიღო. შეხვედრაზე ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესის მიმდინარეობა განიხილეს. მხარეებმა ისაუბრეს აღნიშნულ პროცესში რუსეთის ფედერაციის როლის, ეუთოს, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, აღინიშნა ეუთო-ს „საჭიროებათა შეფასების მისიის“ მნიშვნელობა და დონორი ქვეყნების კონფერენციის ჩატარების აუცილებლობა. ეუთო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმა და ქართული მხარის მიერ ამ გეგმის შესრულებისთვის გადადგმული ნაბიჯები. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

რუსეთის ჩრდილოვანი იმპერია

„ვაშინგტონ პოსტი“: რუსეთს ყველა გაყინული კონფლიქტის მოგვარება შეუძლია

ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აქვეყნებს სტატიას სათაურით, „რუსეთის ჩრდილოვანი იმპერია“, რომელშიც ხაზგასმით მიუთითებს საქართველოში გაყინულ კონფლიქტებზე. სტატიის ავტორები არიან ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა პალაციო და აშშ-ს „გერმანული მარშალის ფონდის“ კონსულტანტი დენიერ თვინინგი.

„2003 წლის საქართველოსა და უკრაინის დემოკრატიულმა რევოლუციებმა რუსი ლიდერების ამბიცია საბჭოთა კავშირის აღდგენაზე, რომელიც სუსტ მეზობლებზე პოლიტიკური და სამხედრო გავლენის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო, ქარს გაატანა. თუმცა, რუსეთის იმპერიული პრეტენზიები მისი პერიფერიების გასწვრივ მთლიანად არ გამქრალა,“ - წერს გაზეთი.

პუბლიკაციის ავტორის თქმით, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების მოწოდება გაერთიანებული ევროპის მისამართით, გადაიჭიმოს იგი ატლანტიკიდან კასპიის ზღვამდე, ევროპასა და აშშ-ს მისცემს მუხტს, დაეხმარონ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხებს თავისუფლების „ჩასუნთქვაში“ და დაასრულონ რუსეთის გავლენა.

„ეს ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც რუსეთი პოლიტიკური მხარდაჭერითა და სამხედრო ბაზებით კონფლიქტებს ხელს უწყობს. კონფლიქტები კი საფრთხეს უქმნის როგორც ახალ დემოკრატიებს, ასევე დასავლეთსაც,“ - წერს გაზეთი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ცივი ომის დასასრულიდან რუსეთის ლიდერებმა სუვერენული მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორებზე ჩრდილოვანი იმპერია შექმნეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში გაყინული კონფლიქტების უკანონო და მიუღებელი მხარდაჭერით საკუთარი ძალაუფლება გაავრცელეს.

„რუსეთის ქმედება ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას იმ ქვეყნებში, რომლებიც დასავლეთთან ინტეგრაციით არიან შთაგონებულნი. მას ევროპისთვის არასტაბილურობა, კრიმინალი და საფრთხე მოაქვს, ხოლო რეგიონში სამხედრო კონფლიქტის საშიშროებას ქმნის,“ - აღნიშნავს “ვაშინგტონ პოსტი”.

„გაყინულ კონფლიქტებს საქართველოს პროვინციებში, კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე მოლდოვას ტერიტორიაზე, დნესტრისპირეთში, ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ. რუსმა სამხედროებმა იმ ლოკალური არმიების მხარდასაჭერად იბრძოლეს, რომლებიც ცივი ომის დასასრულს მშობელ ქვეყანას გადაუდგნენ. ისინი სეპარატისტული რეგიონების რუსული იარაღით აღჭურვილ მილიციებს წვრთნიან და ხელმძღვანელობენ. ყველა სეპარატისტი ლიდერი რუსეთის მოქალაქეა, ზოგი მათგანი პირდაპირ მოსკოვიდან არის გამოგზავნილი, რათა რუსი სამხედროებისა და უშიშროების სამსახურების რეგიონში ყოფნას ხელი შეუწყოს. სეპარატისტ ლიდერებს რუსეთის გავლენიანი კრიმინალური ელიტა ასპონსორებს, რომელსაც კონფლიქტის ზონებში დაურეგულირებელი კონტრაბანდული ვაჭრობიდან, მათ შორის, საყოფაცხოვრებო საქონლიდან, ნარკოტიკებიდან, იარაღიდან და ქალებიდან, მოგება აქვს,“ - ვკითხულობთ „ვაშინგტონ პოსტ“-ის სტატიაში.

მოსკოვი სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ხალხებს რუსეთის მოქალაქეობას აძლევს, რუსული პასპორტებისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩათვლით, - ნათქვამია სტატიაში და ავტორი იქვე აღნიშნავს: **„სუვერენული ერების ანექსია გამიზნულია საქართველოსა და მოლდოვას პროდასავლური ხელისუფლების შესასუსტებლად.“**

როგორც გაზეთი წერს, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო გავლენა ასევე მთიანი ყარაბახის კონფლიქტზეც აისახება.

„დასავლურმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ყარაბახის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დაბრუნებასა და ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი დევნილების ხელახლა დასახლებას. ყარაბახს სრული ავტონომია უნდა მიეცეს, ვიდრე მისი სტატუსი რეფერენდუმის საშუალებით არ გადაწყდება. დასავლური სახელმწიფოები უნდა შეეცადონ რუსეთის ბაზების დახურვას სომხეთში, რომელიც საფრთხეს უქმნის აზერბაიჯანს და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის მინი-მარშალის გეგმის შემუშავებას,“ - წერს გაზეთი.

სამხრეთ ოსეთში ევროპამ და აშშ-მ მხარი უნდა დაუჭირონ საქართველოს მოთხოვნას რუსეთის სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის შესახებ. „აშშ და ევროკავშირი უნდა შეუერთდნენ საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ახალ ჩარჩო სამუშაოებს, რომელიც კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად პოლიტიკურ მოგვარებას ემსახურება,“ - მიაჩნია ავტორს.

რაც შეეხება აფხაზეთს, ატლანტიკურმა დემოკრატიებმა ბიძგი უნდა მისცენ გაეროს მისიის შეიარაღებულ სამშვიდობო ძალებად გარდაქმნას, რათა რუსეთმა თავისი 1999 წლის დაპირება შეასრულოს. ეს დაპირება კი ბაზების გაყვანასა და აფხაზეთის ომის დროს დანგრეული ეკონომიკის აღდგენაში დახმარებას ითვალისწინებს.

„რუსეთი ყველა გაყინული კონფლიქტის მოგვარების გასაღებს ფლობს, დასავლური დემოკრატიები არ არიან სუსტნი, რათა რუსეთის ქმედებები შეცვალონ. პრეზიდენტმა პუტინმა უნდა გაიგოს, რომ მისი ქვეყანა დასავლეთთან პარტნიორობას, მათ შორის - დიდი რვიანის წევრობას, ვერ შეძლებს, ვიდრე მისი პოლიტიკა მეფის რუსეთის პოლიტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე ევროპელი პოლიტიკოსისას,“ - წერს გაზეთი.

ჯი-ეიჩ-ენი

პოლიტიკური და პოლიციური სტაბილურობა

პირველი გვერდიდან

ამგვარი შეუთანხმებელი მოქმედებით აქციის მიზნების დევალვაცია ხდება, ეს მას არასერიოზულ ელფერს აძლევს. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, პოლიტიკური სიმწიფის არარსებობას უნდა დაბრალდეს. ხალხის მასის შესაგროვებლად ნებისმიერი საბაბის გამოყენება არ შეიძლება. ოპოზიციონერები, შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, გაცილებით დიდ არეულობას მოაწყობდნენ. ოპოზიციის მიერ წინასწარ გაკეთებული განაცხადი იმის შესახებ, რომ აქციის ჩატარების დროს გზები აუცილებლად გადაიკეტება, სხვა არაფერია, თუ არა პროვოკაცია ხელისუფლების მხრიდან ძალადობის პროვოცირების მიზნით. ძალადობა რომ მომხდარიყო, ოპოზიცია უხვ პოლიტიკურ ქულებს მოიხვეჭდა. მაგრამ ქვეყანა მნიშვნელოვნად დაზარალდებოდა. კერძოდ, პოლიტიკური სტაბილურობის ხარისხის გაუარესება აუცილებლად აისახებოდა ნატო-ს შეფასების მისიის დასკვნაში, რაც ამ მიმართულებით ქვეყნის წინსვლას მნიშვნელოვნად შეუშლიდა ხელს.

ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობას არ ესმის, რომ სჯობს საკუთარ მხარდამჭერთა მცირერიცხოვან ბირთვს დაეყრდნო, ვიდრე დასაყრდენს სიტუაციის მიხედვით ეძებდე, ხან დაპატიმრებული მოჭიდავეების ახლობლებში, ხან ბაზრობების მოვაჭრეებში, ან რაიმე სხვა საკითხით უკმაყოფილო მასაში.

ასეთი მოქმედებით ოპოზიციური აჯაფსანდალი ვერანაირ სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწევდა. ამავე დროს, მათთვის თვითმიზნად ქცეულ, ხალხის რაც შეიძლება დიდი რაოდენობით შეგროვებას საქართველოს იმიჯისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეეძლო.

ქრონოლოგიურად თბილისის აქციები მოსკოვში ადგილობრივი გებელსის, გლებ პავლოვსკის მიერ დაგეგმილ და გიორგაძე-გოგიტიძის მიერ საქართველოს საელჩოსთან შესრულებულ “საპროტესტო აქციებს” დაემთხვა. ამგვარი “შავი პიარის” მესიჯი ახლებურ პუტინისეულ ხედვას სრულიად შეესაბამება – “ცუდი სააკაშვილი კარგ ქართველებს ჩაგრავს”. ამ აქციების უნჭობის მიუხედავად, მათი დამთხვევა საქართველოში მიმდინარე გამოსვლებთან პუტინის ნათქვამს გარეშე თვალისთვის წონას აძლევს.

ამავე დროს, საკუთარი პოზიციის სისწორეს საქართველოს ხელისუფლება, ძირითადად, პოლიციის მობილიზებით ამტკიცებდა. რასაც თან ახლდა ცინიკური, აგდებული დამოკიდებულება – პარლამენტის წინ შეკრებული პოლიციელები თურმე იქ ან “ისვენებდნენ”, ან მომიტინგებთან ერთად “საქეიფოდ მოდიოდნენ”. როგორც ჩანს, ლეგენდარული თემურ მღებრიშვილის მეთოდები ხელისუფლებისათვის დღესაც უალტერნატივოა. ხოლო სამარშრუტო ტაქსების მძღოლების “დატერორება” საპატრულო პოლიციის მიერ, რათა რაიონებიდან აქციის მონაწილეების თბილისში ჩამოსვლა არ დაეშვათ, კონსტიტუციის უხეში და აშკარა დარღვევაა. ამას აკეთებდა შევარდნაძის მთავრობა თავისი აგონიის ჟამს, იგივე “ვარდების რევოლუციის” მონაწილეთა წინააღმდეგ. რევოლუციიდან ორი წლის გასვლის შემდეგ ახალი ხელისუფლებისათვის იგივე მეთოდებით მოქმედებაში არანაირ მორალურ ბარიერს ხელი არ შეუშლია.

არავის უცდია, თუნდაც არგუმენტირებულად აეხსნა მოვაჭრეებისათვის, ახალი კანონის ამოქმედებით მართლა დაზარალდებოდნენ თუ არა ისინი. დღევანდელ ხელისუფლებას დიალოგზე ნასვლა მოქალაქეებთან და ოპოზიციასთან სირცხვილად და სისუსტის გამოვლინებად მიაჩნია. მისთვის ნებისმიერ საკითხში ყველაზე ძლიერი და დამაჯერებელი არგუმენტი პოლიციური ხელკეტი და ჩექმაა. ეს ყველაზე ადვილი გამოსავალია, და სხვა არგუმენტები საჭირო აღარაა. პოლიცია კი “სახელმწიფოს ხერხემლის” როლს დღეისათვის შესანიშნავად ასრულებს. სადამდე მიიყვანს ეს სახელმწიფოს, ძნელი მისახვედრი არ არის...

ხელისუფლებას, პირველ რიგში, იმაზე უნდა ეფიქრა, თუ როგორ წაადგებოდა ქვეყნის რეპუტაციას “ხისტი” პოზიციის გამო გაძლიერებული საპროტესტო აქციები. ღირს კი საკუთარი “პრინციპულობისა” და ყოვლისშემძლეობის ასეთი ცინიკური მეთოდებით დემონსტრირება იმად, რომ უკმაყოფილოთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს?

ძალის დემონსტრირებას ორივე მხარე ცდილობს – ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. და შესაძლო შედეგებზე ორივე მხარე ნაკლებად ფიქრობს.

ცხინვალის მცდელობა უშედეგო იქნება

ექსპერტი კონფლიქტების საკითხში პაატა დავითაია სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას უშედეგოდ და არარეალურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ თვითმარქვია მთავრობის მიერ მსგავსი სარჩელის შეტანა და ამ სარჩელის განხილვა ჰააგის სასამართლოში ყოველგვარ შანსს მოკლებულია.

„ჰააგაში განიხილება მხოლოდ 2002 წლის წლის შემდეგ ჩადენილი დანაშაულები და ეს დანაშაულები უნდა განეკუთვნებოდეს ისეთ მძიმე კატეგორიებს, როგორიც არის ეთნოწმენდა, გენოციდი და სამხედრო დანაშაული. ეკონომიკურ საკითხებს, რაზედაც ოსური მხარე სარჩელის შეტანას გეგმავს, სასამართლო არ განიხილავს,“ - აცხადებს დავითაია.

გარდა ამისა, მისი თქმით, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ამიტომ, ჰააგის სასამართლო სარჩელს არ განიხილავს.

დავითაია კატეგორიულად უარყოფს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ბორის ჩოჩიევის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველომ 1993 წელს რუსეთ-საქართველოს შეთანხმების საფუძველზე აღიარა სამხრეთ ოსეთის მიმართ 1989-1992 წლებში მიყენებული ზარალის შედეგად არსებული დავალიანება 6,3 მილიარდი რუბლი, და ამ თანხის დაფარვის ვალდებულება თავის თავზე აიღო.

დავითაიას თქმით, მსგავსი შეთანხმება არ არსებულა და რომც ყოფილიყო, მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს უნდა მოეხდინა და იურიდიული ძალა მხოლოდ ამის შემდეგ ექნებოდა. ცნობისთვის, ჩოჩიევის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობა გეგმავს, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს სარჩელით და ქართულ მხარეს 1989-1992, 2004 წლებში მიყენებული ზარალის საფასური - 6,3 მილიარდი რუბლი მოსთხოვოს.

ჯი-ეიჩ-ენი

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

რაღა ჯანდაბაზე დავწერო? — აირია ქვეყანა. უკვე ვერც რაიმე ინტერვიუს გამოქვეყნებით გავექცევი პასუხისმგებლობას. მაგრამ საკითხავი სულ სხვაა — მაინც რატომ გამიჭირდა თემატიკის არჩევა? ეს შეკითხვა მარტო მე არ მეხება, რადგან მიმდინარე ისტორიული პროცესის ერთ ნიშანდობლივ თვისებას ასახავს...

თუმცა აქ აჩქარება არ გვმართებს. ყველაზე მარტივი არჩევანი იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის კურიოზული უზრდელობის გაკიცხვა: მართლაც, ქვეყნის ხელმძღვანელმა, რომლის ერთადერთი არსებითი თვისება მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გარანტად ყოფნაა (სხვა დანარჩენი თვისებები, უფლებები და მოვალეობები აქედან გამომდინარეობს და მეორადია), წამითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ საარჩევნო ვადის განმავლობაში საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, და საკუთარ ამომრჩევლებს დედა არ უნდა აგინოს... მაგრამ... ერთი „მაგრამ“ რომ იყოს, კიდევ არაფერი... აჰა, მივაგენი დასაწყისს — დღევანდელ პუბლიკაციას შემდეგი სქემის მიხედვით ავაგებ:

ძირითადი თეზისი: 2006 წლის 4 მარტს ბაკურიანში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბინძური სიტყვებით აგინა საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც მას გზის გახსნა სთხოვა. შეგვიძლია დავწეროთ მოთხრობა, რომელშიც მოვახდენთ ალექსანდრე დიდსა და დიოგენე სინოპელს შორის ცნობილი დიალოგის პაროდირებას. მაგრამ ჩვენ მოთხრობას კი არა, პუბლიცისტურ სტატიას ვწერთ, ამიტომ პირველი დასკვნა შემდეგია: პუბლიცისტური სტატიისთვის ამ შემთხვევის დაწვრილებითი განხილვა და მორალისტური დასკვნის გამოტანა თუმც მართებული, მაგრამ მაინც ზედაპირული იქნებოდა. სერიოზული პუბლიცისტიკისთვის მეტად წვრილმანი თემაა.

ამ შედეგის გაგრძელება რამდენიმენაირად შეიძლება, თანაც ყოველი გაგრძელება ხან მთავარ დასკვნას უპირისპირდება, ხანაც მის წინა გაგრძელებას და ამიტომ შესაბამისი დამაპირისპირებელი კავშირით დაიწყება.

პირველი „მაგრამ“: პრეზიდენტმა ვერ იცნო პიროვნება, რომელსაც აგინებდა. სრულიად შემთხვევით, ამ პიროვნებას (მის ხსენებას ახლა მოვერიდები მრავალი და მათ შორის დელიკატური მიზეზის გამო) საჯარო სიტყვის თქმის საშუალება აღმოაჩნდა და ფაქტი გახმაურდა. გეცნოთ ვითარება? — რამდენიმე პოლიციელს „სპონტანურად“ აჰყავს განმარტოებულ ადგილას ორი ახალგაზრდა „ჭკუის დასარიგებლად“. ამასაც შემთხვევითობათა რიგი მოსდევს: ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცი „სპონტანურად“ იღუპება, დაღუპულს საკმაოდ „ძნელი“ ჭირისუფალი აღმოაჩნდა, ჭირისუფალს კი არანაკლებ „ძნელი“ და მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები. აქ უკვე კიდევ ერთი, დაქვემდებარებული „მაგრამ“ წარმოიქმნება: შემთხვევითობა ორივეგან მხოლოდ გახმაურების ფაქტს ახასიათებს, თორემ, რაც მოხდა, ორივეგან მყარ კანონზომიერებაზეა დაფუძნებული. თანაც ეს კანონზომიერება ერთი კი არა, ორია: 1) პროფესიონალიზმის უქონლობა (პრეზიდენტი თავს ვერ აკონტროლებს, პოლიციელები კი კლავენ იმას, ვისი მოკვლა არ უნდათ); 2) ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, ანუ რუსთაველის (და არა გრიგოლ ორბელიანის) სიტყვებით რომ ვთქვათ: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისა“. ბოლო წლებში არაერთი დასტური მივიღეთ იმისა, რომ სწორედ ადამიანების მიმართ ასეთი დამოკიდებულება განსაზღვრავს, სამწუხაროდ, მმართველი ჯგუფის „მონოლითურობას“ და მის შიგნით საკადრო პოლიტიკის მთავარ პრინციპს: **დავით კირკიტაძის** მეტაფორული „გმირობიდან“ (დაცვის თანამშრომელი გალახა) **აკაკი ბობოხიძის** რეალურ სარდლობამდე (ჟურნალისტი გალახა).

ამრიგად, პირველი „მაგრამ“ გვიჩვენებს, რომ განსახილველად დაწუნებული შემთხვევა მაინც იმსახურებს განხილვას, რადგან უბრალო კურიოზი კი არა, სიმპტომია.

მეორე „მაგრამ“. მაშ, სიმპტომია, არა? — მაგრამ მოვათავსოთ პირველი „მაგრამიდან“ გაკეთებული დასკვნა სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ძნელია კამათი იმ აზრთან, რომ საზოგადოების გარდაქმნისას ბევრი ფიქრი და ყოყმანი არ გვარგებს, რომ ამ დროს მოქმედებაა მთავარი და არა მისი თანმხლები შედეგები. აკი მე თვითონ ვიყავი „ნულოვანი ტოლერანტობის“ მომხრე! ვიყავი და ვარ კიდეც: ყოველ შემთხვევაში, **თინათინ ხიდაშელისა** და **ანა დოლიძის** სწორხაზოვნებას ვერ გავიზიარებ და დიდ თუ პატარა კრიმინალთა მიმართ კერძო საუბრებში უფრო ცინიკური ვარ კიდეც, ვიდრე **ვანო მერაბიშვილს** დაესიზმრება. სხვათა შორის, მე არც იმ აზრს ვეთანხმები, თითქოს ნაციონალები კრიმინალებს იმიტომ ებრძვიან, რომ მათი ადგილი დაიკავონ. მართალია, აქვე უნდა დავსძინო, რომ ეს დებულება პრიმიტიულობის გამო არ მომწონს, თორემ ცხოვრებამ შეიძლება თავისებურად განსაჯოს.

მე არაფერი მესაქმება ოპოზიციასთან, რომელიც ხმას აძლევს კანონს, მერე კი ამავე კანონის წინააღმდეგ პარლამენტთან ხალხს მოერეკება, მე, უბრალოდ, ერთი ექსპერიმენტი მინდა ჩავატარო: მთლიანად დავდგე მმართველი უმრავლესობის დეკლარირებულ პოზიციაზე და ამ პოზიციიდან დავამტკიცო, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია:

რა ხდება ქვეყანაში? — ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ციხეში ქურდის მიყვანის მოთხოვნა და სალარო აპარატების წინააღმდეგ გალაშქრება ერთი ბუნების მქონე მოვლენებია: ესაა სტიქიური ამბოხი ცივილიზაციის წინააღმდეგ. თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რომ ყოფით, არაფორმალურ ურთიერთობებზე დადგენილი საზოგადოება ადრე თუ გვიან გადამწყვეტი არჩევანის წინაშე დადგებოდა, რომ სიტყვიერი ფორმულიდან რეალურ პირობად ქცევისას კანონის უზენაესობა აუცილებლად მოითხოვდა ტრადიციულ ურთიერთობათა მეტ-ნაკლებად რადიკალურ დანგრევას. სწორედ ამითაა გამოწვეული პოლიტიკური ოპოზიციის საყოველთაო „გაბანძება“, რადგან ძალაუფლების დაუძლეველი წყურვილის დისკუსიის წარმართვის უუნარობასთან ერთად იწვევს იმას, რომ ოპოზიცია ერთიანად ამოჰყოფს თავს გუშინდელ დღეში, სადაც უკვე არავის აკვირვებს, თუ **ლევან ბერძენიშვილი** სერიოზულად აღიქვამს **შალვა ნათელაშვილს**, ხოლო **იგორ გიორგაძე** კომპლიმენტებს უთვლის **სალომე ზურაბიშვილს**.

სახელმწიფო აღმშენებლობისათვის ამ გადამწყვეტ დროს ხელისუფლებას არათუ ეპატიება, მოეთხოვება კიდეც შეუბრალებლობა, მაგრამ ყურადღებით მოვეკიდოთ ამ სიტყვას: შეუბრალებლობა და არა ახვრობა! ამავე დროს უეჭველია, რომ სწორედ ამ უკანასკნელის გამოვლინებაა როგორც ბაკურიანში წარმოთქმული უშვერი სიტყვები, ასევე ოქროყანაში ჩადენილი უმსგავსო საქმე.

ალბათ მართალი იქნება ის, ვისაც სასაცილოდ არ ეყოფა ბაკურიანში შეგინებული ახალგაზრდა ქალის გრძნობები; ალბათ ისიც მართალი იქნება, ვინც გულცივად შენიშნავს, რომ სასაფლაოზე ღამით მოკლული ახალგაზრდა კაცის გარშემო უკვე საკმაო უგემოვნებობამ მოიყარა თავი, მისი ჭირისუფლები კი ნელ-ნელა კარგავენ ზომის შეგრძნებას. მე თვითონაც საკმაოდ გულცივი ვარ — ამიტომაც ვლაპარაკობ ერთიანად ამ ორ ერთმანეთის უთანაზომო მოვლენაზე. მე არც პატიმართა ნათესავების პრობლემები მატოკებს და არც გარე მოვაჭრეთა ჩივილზე მიცრემლიანდება თვალები. არც რომელიმე ბრიყვ ნაციონალზე ნაკლებად ვხედავ, რომ საქართველოში ხალხი ბრმაა. მაგრამ სწორედ ეს გულცივობა მაძლევს უფლებას გამოვთქვა ეჭვი, თუმცა ეს ეჭვი კი არა, ორიათასი წლის წინათ შეკითხვის სახით გამოთქმული ჭეშმარიტებაა: შეძლებენ კი ბრმები ბრმათა მეგზურობას? განა ორივენი ორმოში არ ჩავარდებიან?

მესამე „მაგრამ“. დიახ, არის მესამე მიზეზიც, რის გამო მაინც ღირს მიხეილ სააკაშვილის წერილმანი უხეშობისადმი ყურადღების მიქცევა და ეს მიზეზი სწორედ ახლახან ნახსენები ორმოა, რომელშიც შეიძლება ყველანი ჩავვარდეთ... ახლავე აგიხსნით, რასაც ვგულისხმობ.

რამდენიმე დღის წინ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ახალ რევოლუციას ვერ გადაიტანს. ნეტა რა აძლევდა ამ განცხადების საბაბს? ჩვენ ხომ არ ვამბობთ ყოველდღე, რომ კაცობრიობა ახალ წარღვნას ვერ გადაიტანს — არ ვამბობთ, იმიტომ რომ ნოეს ცისარტყელის სახით მიეცა ნიშანი, რომ ახალი წარღვნა აღარ იქნება. სალომე ზურაბიშვილს კი რა აძლევს ახალ რევოლუციაზე ლაპარაკის საბაბს?

არა, ნათელაშვილისგან უკვე მივეჩვიეთ ლამის ყოველდღიურ განცხადებებს სააკაშვილის ძალაუფლების მოახლოებულ დასასრულზე. მაგრამ გუშინ ერთი ჩემი მეგობრისგან, სრულიად გონიერი და დაკვირვებული ადამიანისგან საოცარი წინადადება გავიგონე: „ნათელაშვილისა და გიორგაძის გულისთვის ამათი გადაგდება სულაც არ მაწყობს!“. მე პირადად კიდევ მრავალ მიზეზს დავასახელებდი, რის გამოც არ მაწყობს „ამათი გადაგდება“, მაგრამ ახლა სულ სხვა რამისთვის ვირჯები: ისევ მინდა შეგეკითხოთ, ამ ჩემს გონიერსა და დაკვირვებულ მეგობარს რაღა აძლევს ამაზე სერიოზულად ლაპარაკის საბაბს?

და კიდევ: სულ უფრო მკაფიო ფორმას იძენს კავკასიის გაღმიდან გამომზრახული იგორ გიორგაძის აჩრდილი. მაგრამ ვინმეს ნაგიკითხავთ სადმე, ან იქნებ რადიოთი მოგისმენიათ, ან ტელევიზორში გინახავთ დალაგებული ანალიზი, რომელიც ყველას დაგვანახებდა, რა რეალური შესაძლებლობები დგას ამ აჩრდილის უკან. ანალიზის უნარი რომ ჩვენს მედიაში უცხო ხილია, ეს ძველი ამბავია. მე უფრო მეტსაც ვიტყოდი: სიტყვის თავისუფლების ზომა „მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკის“ დონით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს, არამედ ამ ლაპარაკში ანალიზის წილით. ახლა კი მსჯელობა სულ სხვა მიმართულებით უნდა წავიყვანო: იქ, სადაც მკაფიოდ არაა განსაზღვრული პოლიტიკურ ძალთა შეფარდება, სადაც ადამიანს არა აქვს მეტ-ნაკლებად სანდო წარმოდგენა შინაგან და გარეგან საფრთხეზე, არა თუ კაცისკვლა, თვით შეგინებაც კი გაურკვეველ სიდიდეს იძენს — სიდიდეს, რომელიც რეალურად ყველგან შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც მათემატიკოსები ამბობენ, განსაზღვრის არეში ნულიდან უსასრულობამდე.

ავტორიტარიზმი მაინცდამაინც არ ნიშნავს მასობრივ რეპრესიებსა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ ადამიანებს — ეს, უპირველეს ყოვლისა, არსებითი ინფორმაციის მიუწვდომლობაა. არსებითისა-მეთქი და არა ობიექტურისა, რადგან იმის ცოდნა, რომ ვეტერინარულ ცენტრში დღის განმავლობაში რვა მკვდარი ბელურა და ორი ბუ მოიტანეს, თუმც ეჭვს არ იწვევს, სრულიად უსარგებლოა. ვინ მომცემს გარანტიას, რომ ისინი, ვინც ჩემს გონიერსა და დაკვირვებულ მეგობარს მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების შეგრძნება შეუქმნა, გასამრჯელოს ჩვენი საგრძნობლად გაზრდილი ბიუჯეტიდან არ იღებენ?

ვინმემ იქნებ პარანოიდალურად მიიჩნიოს ეს ბოლო შეკითხვა, მაგრამ ისიც იკითხეთ, ბატონებო, რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ჩემი პარანოია ქვეყანაში გამეფებული მარაზმის ფონზე?

მეოთხე „მაგრამ“. მარაზმზე კი ეს გამახსენდა: ერთ ჩემს ნაცნობ მოძღვართან ტაძარში ვინმე მოვიდა და თან ქაღალდზე დაწერილი რაღაც ლოცვა მოიტანა, ყოველ შაბათკვირას საჯარო ღვთისმსახურებისას წაიკითხე ტაძარშიო. მშვენიერია! — ეკლესია დიახაც უნდა ლოცულობდეს ერისთვის, თანაც აწმყოში არსებული ერისთვის და არა საუკუნეების მანძილზე განურჩევლად იმეორებდეს ტიპიკონში შემორჩენილ ლოცვას სარკინოზთა უღლისაგან დასახსნელად. თანაც ნამდვილად მისასალმებელია მრევლის ლიტურგიკული შემოქმედება. მაგრამ ხსენებულ ტექსტში არის ერთი საგულისხმო მომენტი: საჯარო ღვთისმსახურებისას შეგროვილი მრევლის სახელით უფალს სთხოვენ, საქართველოში აღდგეს მონარქია.

აქ ბევრი რამე შეიძლება დაინახოს კაცმა: პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, უფრო მეტიც, ხელისუფლების მიერ დეკლარირებულად მხარდაჭერილ ლიბერალურ ღირებულებათა სისტემის წინააღმდეგ მიმართული განცხადება. მართლაც, რატომ უნდა გააიგივოს ვინმემ მართლმადიდებელი და მონარქისტი? მაგრამ ახლა ამაზე არ შევჩერდები. სულ სხვა რამ მაწუხებს: ვაი თუ უფალმა ისმინოს!

ჰოდა, თუ ჩვენს მიერ არჩეული დემოკრატი პრეზიდენტი სიტყვიერ გინებას გვაკმარებს, მერწმუნეთ, ამ უთავბოლო ქვეყანაში გვირგვინოსან მონარქად ყოფნას მხოლოდ ისეთი ხეპრე თუ დათანხმდება, ვისაც არც ჭკუა და არც სინდისი არ დაუშლის, რეალურად მოგვიტყნას დედა.

Forbes-ის მილიარდები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გასული წელი წარმატებული იყო ევროპის უმდიდრესი ადამიანის, შვედი ბიზნესმენის, სავაჭრო კომპანია "იკეას" დამფუძნებლის ინგვარ კამპრადისთვის, რომელმაც შარშან თავის ქონებას 5 მილიარდი დოლარი შემატა, ორი პოზიციით წინ წაიწია და 28 მილიარდით რეიტინგში მეოთხე ადგილზეა. მეხუთეა მეტალურგიის ინდოელი მაგნატი, უმდიდრესი აზიელი ლაკშმი მიტალი (23,5 მილიარდი), მეექვსეზე კი 22 მილიარდიანი ქონების პატრონი, "მაიკროსოფტის" თანადამფუძნებელი, ნავთობ, მედია და კინომაგნატი, ამერიკელი პოლ ალენია.

ერთი წლის წინანდელ რეიტინგთან შედარებით მთელი ათი ადგილით მაღლა აინაცვლა ფრანგული მოდის ფუძემდებლად წოდებულმა, ბერნარ არნაუმ. უმაღლესი ხარისხის ფუფუნების ნივთების მწარმოებელმა მისმა იმპერიამ LVMH გასული წლის განმავლობაში სარეკორდო მოგება ნახა, რამაც არნაუს ქონება 4,5 მილიარდი დოლარით გაზარდა. ფრანგი ამჟამად 21,5 მილიარდის მფლობელია და რეიტინგში მეშვიდე საფეხურზე გახლავთ.

თუ ზემოთ ჩამოთვლილთა შესახებ საუბრისას მათი ქონების ზრდას აღვნიშნავდით, ამას არაბ პრინც ბინ ტალალ ალსაუდზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. პირიქით, მისი ქონება გასული წლის განმავლობაში 3,7 მილიარდი დოლარით შემცირდა და ამჟამად 20 მილიარდი გახლავთ. შედეგად, პრინცი მეხუთედან მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა.

მეცხრე ადგილზეა კანადის უმდიდრესი ადამიანი, მედია კონგლომერატ "ტომპსონ კორპორეიშენის" მეპატრონე 82 წლის კენეტ ტომპსონი, რომლის ქონება 19,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მეათე ადგილზე კი 18,8 მილიარდით ჰონგ კონგელი ბიზნესმენი, აზიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინვესტორი, სამშენებლო, სავაჭრო და სატრანსპორტო კომპანიების მეპატრონე ლი კა-შინგი გახლავთ.

ათეულის შემდეგ პოსტსაბჭოური სივრცის ყველაზე მდიდარი ადამიანი, ჩუკოტკელი გუბერნატორი, მენავთობე ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი (18,2 მილიარდი) მოდის. გასული წლის განმავლობაში მან თავისი ქონება თითქმის 5 მილიარდით გაზარდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, "სიბნეფტის" აქციების გაყიდვის წყალობით მოხდა. აბრამოვიჩმა რეიტინგში მთელი 10 საფეხურით მაღლა აინაცვლა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ 2005 წელს რუს მილიარდერთა რაოდენობა 27-დან 33-მდე გაიზარდა. ამჟამად, მილიარდერების მიხედვით რუსეთი მსოფლიოში მესამე ქვეყანაა და მხოლოდ აშშ-ს და გერმანიას ჩამორჩება. ხოლო მოსკოვში 25 მილიარდერია და ამ მხრივ რუსეთის დედაქალაქი ნიუ იორკის შემდეგაა, სადაც 40 უმდიდრესი ადამიანი ცხოვრობს. მესამე ადგილზე 23 მილიარდერით ლონდონია. აღსანიშნავია, რომ უმდიდრეს რუსთა საერთო ქონება ერთი წლის განმავლობაში 91-დან 172 მილიარდამდე გაიზარდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ "ნაფტა მოსკვას" მეპატრონე, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიიდან რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი სულეიმან კერიმოვი მილიარდერთა სიაში წელს პირველად აღმოჩნდა და 7,1 მილიარდით პირდაპირ 72-ე ადგილი დაიკავა. Forbes-მა ძალზე მოკლე დროში დიდი ფულის შოვნის მიხედვით შედგენილ რეიტინგში იგი პირველ ადგილზე დაასახელა. საერთოდ, ექსპერტთა აზრით, რუსთა გამდიდრების მთავარი მიზეზი ნავთობსა და გაზზე ფასების ზრდაა. ერთადერთი რუსი, რომელიც მილიარდერთა სიას გამოეთიშა, მიხაილ ხადარკოვსკია, რომელმაც ერთ წელში 2,2 მილიარდი დაკარგა.

Forbes-ის რეიტინგში რუს ბიზნესმენთა შორის მოიხსენიება ერთადერთი ქართველი, ბანკ "რუსუდი კრედიტის" და "მეტალოინვესტის" მეპატრონე ბორის (ბიძინა) ივანიშვილი, რომელიც 3,9 მილიარდით 173-ე ადგილზეა. შარშანდელ რეიტინგში ივანიშვილი 228-ე იყო, მაგრამ 2005 წლის განმავლობაში თავის ქონებას 1,3 მილიარდი შემატა და რეიტინგში 55 საფეხურით წინ წაიწია.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქალი L'Oreal-ის მემკვიდრეობითი მეპატრონე, 83 წლის ფრანგი ქალბატონი ლილიან ბეტენკურტი გახლავთ. მისი ქონება 16 მილიარდ დოლარადაა შეფასებული და იგი საერთო რეიტინგში მეთხუთმეტე ადგილზეა. უმდიდრეს ქალთა შორის მეორე და მესამე ადგილზე არიან კომპანია Wal-Mart-ის დამფუძნებლის, ლეგენდერული სემ უოლტონის მემკვიდრეები: შვილი ელისი და ცოლი ჰელენი. პირველი 15,8 მილიარდს ფლობს და საერთო რეიტინგში მეოცე ადგილზეა, მეორე კი 15,7-ით 21-ზე.

უმდიდრესი სამხრეთამერიკელი, ვენესუელელი მედიამაგნატი, Cisneros Group-ის თავკაცი გუსტავო კისნეროსი გახლავთ, რომლის ქონება 5 მილიარდადაა შეფასებული. ამავე ოდენობის სიმდიდრის პატრონია უმდიდრესი ავსტრალიელი, PBL Group-ის დამფუძნებელი, ასევე მედიამაგნატი ჯეიმს პაკერი. აფრიკელთა შორის კი ყველაზე მეტი კაპიტალი (4,8 მილიარდი) რეგიონის უმსხვილესი სამშენებლო, სატელეკომუნიკაციო და ტურისტული კონგლომერატის Orascom-ის პატრონს, ეგვიპტელ ონსი სავირისს აქვს.

ყველაზე მხცოვანი მილიარდერერები ჯონ სიმპლოტი და ერნესტ გალო გახლავთ. ორივე ეს ამერიკელი 97 წლისაა, პირველი მიკროჩიპების და კარტოფილის ნაწარმის მწარმოებელი, კერძოდ "მაკდონალდსის" მთავარი მომმარაგებელი გახლავთ და 2,6 მილიარდს ფლობს. მეორე კი ღვინის მაგნატია და მისი ქონება 1,2 მილიარდადაა შეფასებული.

რაც შეეხება პლანეტის ყველაზე მდიდარ ახალგაზრდებს, ისინიც ორნი არიან და ორივე 22 წლისაა. გერმანელმა ალბერტ ფონ ტარნმა დიდძალი უძრავი ქონება, ანტიკვარული კოლექცია, ევროპაში უდიდესი ტყის მასივი და ტექნიკური და სატრანსპორტო კომპანიები მემკვიდრეობით 2001 წელს მიიღო. ამჟამად იგი 2,6 მილიარდის მფლობელია. რაც შეეხება მშვენიერ ლიბანელ ასულს ჰაინდ ჰარინის, ნავთობმაგნატმა მამამ რაფიკ ჰარინმა 1,2 მილიარდის ქონება გასულ წელს მას შემდეგ აჩუქა, რაც შვილმა ამერიკაში წარმატებული სწავლით გაახარა.

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე Forbes-მა უმსხვილესი კომპანიების რეტინგიც შეადგინა. ადრინდელისაგან განსხვავებით, ამჯერად Forbes-ის ანალიტიკოსები საკითხს ახლებურად მიუდგნენ და ერთბაშად რამდენიმე კრიტერიუმი: შემოსავალი, ფინანსური ბრუნვა, საბაზრო ღირებულება და მთლიანი კაპიტალდაბანდება გაითვალისწინეს.

შედეგად, რეიტინგს სათავეში ამერიკული საბანკო-საინვესტიციო კომპანია Citigroup ჩაუდგა. მომდევნო სამ ადგილზე ასევე ამერიკული კომპანიებია: განთქმული კონგლომერატი General Electric, სააქციო საზოგადოება American Intl Group და Bank of America. მეხუთეზეა უმდიდრესი ევროპული კომპანია, ბრიტანული ბანკი HSBC Group, მეექვსეზე კი უმსხვილესი ნავთობკომპანია, ამერიკული ExxonMobil. შემდეგი ორი პოზიცია ასევე მენავთობეებს: ნიდერლანდურ-ბრიტანულ Royal Duch-Shell Group-ს და ბრიტანულ BP-ს უჭირავთ. მეცხრეზე ნიდერლანდური საფინანსო-საინვესტიციო კომპანია ING Group გავიდა, მეათე პოზიცია კი აზიის უმდიდრესმა კომპანიამ, მსოფლიოს უმსხვილესმა მანქანათმშენებელმა Toyota Motors–მა დაიკავა.

რეიტინგის ახლებურად შედგენის შემდეგ, განთქმული "მაიკროსოფტი" 47-ე ადგილამდე დაეშვა. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის ბილ გეითსის პირმშო მოწინავე პოზიციებს მხოლოდ მთლიანი საბაზრო ღირებულების მიხედვით ინარჩუნებს. ამ მაჩვენებლით (273,75 მილიარდი) იგი მეორე ადგილზეა და მხოლოდ ExxonMobil-ს (405,25) ჩამორჩება.

ნავთობის ფასის მატების და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გამო ნავთობკომპანიებმა კარგად იხეირეს, მაგრამ გასული ფინანსური წლის განმავლობაში ExxonMobil-ის წარმატება განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ამ კომპანიის მოგებამ 25,33 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც სარეკორდო

მაჩვენებელი გახლავთ. შედეგად, მისი აქციების საბაზრო ღირებულებამ მოიმატა, 405,25 მილიარდს მიაღწია და ExxonMobil ამ თვალსაზრისითაც პირველია.

უმდიდრესი ფარმაცევტული კომპანია ამერიკული Pfizer გახლავთ, რომელიც საერთო რეიტინგში 24-ე ადგილზეა. მას მოჰვება კეების პროდუქტების, სასმელის და თამბაქოს ყველაზე მსხვილი მწარმოებელი, ასევე ამერიკული Altria Group. უმდიდრესი მედიაკომპანია Time Warner-იც ამერიკული გახლავთ და იგი საერთო რეიტინგში 51-ე ადგილზეა.

გასული ფინანსური წლის გამოკვეთილი უიღბლო კომპანიები ამერიკული ავტომწარმოებლები: General Motors და Ford გახლავთ, რომლებმაც საკუთარ ბაზარზე იაპონელებთან კონკურენციას ვერ გაუძლეს და რეიტინგში რამდენიმე ათეული საფეხურით დაბლა დაეშვნენ. იგივე ბედი ეწია საკულტო მოტოციკლების მწარმოებელ Harley Davidson-საც.

ბილ გეითსი - 50 მილიარდი.

ორენ ბაფეტი - 42 მილიარდი.

კარლოს სლიმ ჰელუა - 30 მილიარდი.

ინგვარ კამპრადი - 28 მილიარდი.

ლაკშმი მიტალი - 23,5 მილიარდი.

პოლ ალენი - 22 მილიარდი.

ბერნარ არნაუ - 21.5 მილიარდი.


პრინცი ბინ ტალალ ალსაუდი - 20 მილიარდი.

კენეტ ტომპსონი - 19.6 მილიარდი.

ლი კა-შინგი - 18.8 მილიარდი.

USAID ამერიკელი ხალხისგან

სტაჟირება აშშ-ში ქართველი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და პროფესიონალებისთვის

COMMUNITY CONNECTIONS

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ამერიკული ორგანიზაცია "პროექტი ჰარმონია" მოხარულები არიან გამოაცხადონ 2006 წლის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დაწყება საქართველოში. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის, ეკონომიკური ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას საქართველოსა და ევრაზიის ქყვეყნებში. ეს არის პრაქტიკული სტაჟირების პროგრამა აშშ-ში, რომელიც მოიცავს სემინარებს, შეხვედრებს, ადგილზე ვიზიტებს და ამერიკელ პროფესიონალებთან პირისპირ შეხვედრებს, პრაქტიკული სტაჟირებებების ჩათვლით. პროგრამის მონაწილეები ძირითადად გადიან სამიდან ხუთ კვირამდე სტაჟირებას აშშ-ში და ცხოვრობენ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. ყველა ხარჯს, როგორიცაა: მგზავრობის ღირებულება აშშ-ში, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებელი და კვება აშშ-ში ფარავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გარდა პროგრამის მონაწილეთა პასპორტის ღირებულებისა და საქართველოს ფარგლებში მგზავრობისა.

საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა:

- უზრუნველყოფს მონაწილეების პროფესიული ტრეინინგებით და აცნობს მათ ამერიკის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურ საქმიანობას
- ხელს უწყობს საქართველოში საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას
- ამყარებს კავშირებს აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის

საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა წარმოდგენილია ორი სახის პროგრამით - ბიზნეს და პროფესიული ტრეინინგ/სტაჟირების პროგრამით.

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა

ბიზნეს პროგრამა უზრუნველყოფს ქართველ მეწარმეებს და მცირე ან საშუალო ბიზნესში მომუშავე მაღალი რანგის მენეჯერებს ინდივიდუალური სტაჟირებით აშშ-ში და მათ ამერიკელ კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს. ბიზნეს პროგრამა მოიცავს:

- ხუთ კვირიან ინდივიდუალურ სტაჟირებას აშშ-ში
- ჯგუფურ სემინარებს აშშ-ში
- საწარმოებში ადგილზე მისვლას და კონსულტაციებს აშშ-ში
- ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას

2006 წელს, საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამის ფარგლებში შეირჩევა სამი ბიზნეს ჯგუფი, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2006 წლის ივნისი-ივლისში გაივლიან :

- ბიზნესი - თბილისი (10 მონაწილე)
- ბიზნესი - ქვეყნის მაშტაბით (9 მონაწილე)
- ბიზნესი - ქვეყნის მაშტაბით (9 მონაწილე)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 2006 წლის 30 მარტამდე.

საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამა

პროფესიული პროგრამა გამიზნულია ერთი რომელიმე სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებსაც საერთო ინტერესი აკავშირებთ.

პროფესიული პროგრამა მოიცავს:

- სამიდან ხუთ კვირიან ჯგუფურ სტაჟირებას აშშ-ში
- ადგილზე ვიზიტებსა და შეხვედრებს აშშ-ში
- სემინარებსა და მრგვალ მაგიდებს აშშ-ში
- კონსულტაციებსა და ჯგუფურ ტრეინინგებს აშშ-ში
- ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას

2006 წელს, საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამის ფარგლებში შეირჩევა შემდეგი პროფესიული ჯგუფები, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2006 წლის სხვადასხვა პერიოდში გაივლიან:

- **ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება - ქვეყნის მასტაბით (8 მონაწილე)**

(პროგრამა განკუთვნილია იმ ორგანიზაციების და კომპანიების ხელმძღვანელებისთვის და სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებაზე, ინტერნეტ ტექნოლოგიების პროფესიული ასოციაციების ხელმძღვანელებისთვის, უნივერსიტეტების ფაკულტეტების დეკანებისთვის, სადაც ეს დარგი ისწავლება და სხვა. პროგრამა არ ითვალისწინებს კერძო კომპანიების IT სპეციალისტების სტაჟირებას).

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 2006 წლის 30 მარტამდე.

- **არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (8 მონაწილე)**

(პროგრამა ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების შერჩევას, რომლებიც მუშაობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამინის უფლებები, კანონის უზენაესობა, ეროვნული უმცირესობები, გენდერი, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, გარემოს დაცვა, და სხვა)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ოფისში სამცხე-ჯავახეთში (ორგანიზაცია ჯერ დაზუსტებული არ არის) 2006 წლის 14 ივლისამდე.

- **ტურიზმის განვითარება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (10 მონაწილე)**

(პროგრამა განკუთვნილია, ტურისტული სააგენტოების, სასტუმროების, რეკრეაციული პარკებისა და ტურისტული ბიუროების მენეჯერებისათვის და ტურიზმის დეპარტამენტის მაღალი რანგის ხელმძღვანელებისათვის აჭარიდან)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ოფისში აჭარაში (ორგანიზაცია ჯერ დაზუსტებული არ არის) 2006 წლის 14 ივლისამდე.

მითითებული პერიოდის გასვლის შემდეგ შემოტანილი აპლიკაციები არ განიხილება. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის თანამშრომლები დაუკავშირდებიან პროგრამაში მონაწილეობისათვის შერჩეულ კანდიდატებს წერილობით ან ტელეფონით.

იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს და პროფესიულ პროგრამაში თქვენ უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული `მწვანე ბარათის" გათამაშებაში
- თავისუფლად ფლობდეთ ინგლისურ ენას (მხოლოდ ბიზნეს პროგრამისათვის)
- გეკავოთ საპასუხისმგებლო თანამდებობა
- შეავსოთ აპლიკაცია და ჩააბაროთ იგი გარკვეულ დღემდე
- მონაწილეობა მიიღოთ გასაუბრებაში

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისს თბილისში:

ვ. ანჯაფარიძის ქ. #7, II სადარბაზო, II სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 223847, 250071
ელ.ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge

www.ccgeorgia.ge

გასული კვირის მიმოხილვა

ეკონომიკა და ტერორიზმი

ჰირველი გვერდიდან

საუბარი მიდის იმაზეც, რომ „ვერაიზონმა“ გამოისყიდოს ის 45 პროცენტიანი აქციათა პაკეტი, რომელსაც კავშირგაბმულობის მსოფლიო გიგანტი, ბრიტანული „ვოდაფონი“ აკონტროლებს „ვერაიზონ უაიარლესში.“ ეს გარიგება იმდენად რეალური ჩანს, რომ „ვოდაფონუნის“ აქციების ფასმა უკვე საგრძნობლად აიწია.

გაცილებით უფრო მეტი ყურადღება მიიპყრო ჩაშლილმა გარიგებამ. აშშ-ს კონგრესის მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობის გამო, არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფირმამ „დუბაი პორტს უორლდმა“ უარი თქვა 6 ამერიკულ პორტზე. ამ ინციდენტმა რთულ მდგომარეობაში ჩააგდო პრეზიდენტი ბუში, რომლის თქმითაც საემიროები აშშ-ს ერთ-ერთ უახლოეს მოკავშირეს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში და გარიგების დაბლოკვა უარყოფითად შეიძლება აისახოს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე. საემიროების მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა აშშ მსოფლიო ტერორიზმს ებრძვის. თუმცა, კონგრესმენთა საპასუხო არგუმენტიც სწორედ ტერორიზმის საფრთხეს უკავშირდება – აშშ-ს პორტების არაბების ხელში გადასვლა ტერორიზმისგან უფრო დაუცველს გვხდისო.

წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით გარიგების ჩაშლა ცალსახად იქნა გაკრიტიკებული. აშშ-ს ეკონომიკური სტრატეგიის ინსტიტუტის დირექტორის, კლაიდ პრესტოვიცის თქმით, ქვეყნის ეკონომიკას წინსვლისათვის ყოველდღიურად 3 მილიარდი დოლარის კაპიტალი ესაჭიროება და ამგვარი ნაბიჯები აშშ-ს უცხოელი ინვესტორებისათვის ნაკლებად მიმზიდველ სივრცედ აქცევს. უცხოური ინვესტიციის გარშემო ასეთი აჟიოტაჟი ამერიკას ალბათ მას შემდეგ არ ახსოვს, რაც ოდესღაც იაპონელებმა „როკფელერ ცენტრი“ შეისყიდეს. თუმცა, მაშინ, ცხადია აჟიოტაჟის მიზეზი ტერორიზმის საფრთხე არ ყოფილა – უბრალოდ, ამერიკელი ექსპერტები იაპონიის მზარდმა ეკონომიკურმა ძლიერებამ შეაშინა.

გასულ კვირას აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის გარდა სხვა რეგიონებსაც შეეხო. კერძოდ, ვაშინგტონმა პრაქტიკულად მწვანე შუქი აუნთო უკრაინის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღებას. კონგრესმა მხარი დაუჭირა ე.წ. ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას უკრაინასთან მიმართებაში. ეს შესწორება ჯერ კიდევ მოქმედებს რუსეთთან მიმართებაში, რაც მოსკოვში აფიქრებინებთ, რომ უკრაინა მათზე ადრე შევა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და, როგორც წევრი, რუსეთს იქ გაერთიანებისათვის თავის პირობებს წაუყენებს. ამაზე ფიქრი მეტად მტკივნეულია იმ ქვეყნისათვის, სადაც უკრაინისათვის ეკონომიკური ბლოკადის შემოღების შესაძლებლობას განიხილავენ იმის საპასუხოდ, რომ კიევმა კიშინიოვის გავლით საბაჟო რეჟიმი დაამყარა თვითმარქვია დნესტრისპირეთთან.

რუსეთის არასწორი გზა და მასზე შესაძლო პასუხები

მოსკოვში ვიზიტით მყოფი ჰამასის ლიდერები რუსეთის პატრიარქმა, ალექსი მეორემ მიიღო. სწორედ ამ პატრიარქმა თავის დროზე ახლოს არ გაიკარა რომის პაპი იოანე-პავლე მეორე, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ (არა მხოლოდ კათოლიკურ და არა მხოლოდ ქრისტიანულ) სამყაროში. ნეტავ რაშია საქმე? ნუთუ რუსეთის პატრიარქს ყოფილი ტერორისტები „ნაკლებ ცოდვილებად“ მიაჩნია, ვიდრე კათოლიკეთა ლიდერი? თუმცა, საქმე ალბათ უფრო მარტივადაა – რუსეთი შორს დგას დასავლური მოდელისგან, რომლის მიხედვითაც ეკლესია სახელმწიფო საქმეებისგან გამიჯნულია. აქ ეკლესია სახელმწიფოს გვერდით დგას და მას ემორჩილება: კრემლის პოლიტიკა (რომელიც ამ შემთხვევაში ჰამასთან თამაშს ეწევა) რუსული ეკლესიის პოლიტიკაცაა.

ცხადია, ეს უბრალოდ კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა სახელმწიფოს წარმოადგენს დღესდღეობით რუსეთი. ეს სახელმწიფოს შიდა მოწყობის მაგალითია. სახელმწიფოს შიდა მოწყობა კი მის საგარეო პოლიტიკაზეც აისახება, რასაც უკვე სხვა ქვეყნებზეც აქვს გავლენა. რა პოლიტიკა უნდა გაატაროს დასავლეთმა, უპირველესად კი აშშ-მ, ისეთ სახელმწიფოსთან, როგორსაც დღევანდელი რუსეთი წარმოადგენს? ეს კითხვა ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის და მასთან დაკავშირებით მკაფიო პასუხი აშკარად არ არსებობს. ამასთან დაკავშირებით, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის ვაშინგტონიც. მაგალითად, როგორც იუწყებიან, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი დიდი სკეპტიციზმით უყურებს პუტინს და რუსეთთან პოლიტიკის გამკაცრებას ითხოვს. ჩეინის მხარს უჭერს აშშ-ს დღევანდელი ხელისუფლების მრავალი ცნობილი ფიგურა. მაგალითად, სენატორი ჯონ მაკეინი ამერიკის მხრიდან დიდი რვიანის სამიტის ბოიკოტირების მოწოდებით გამოდის. აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ვაშინგტონში არ არიან შეფიქრიანებულნი იმ გარემოებით, რომ დიდ რვიანს – ეკონომიკურად განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოების ფორუმს – ავტორიტარული და ეკონომიკურად არც ისე განვითარებული რუსეთი თავმჯდომარეობს. ლონდონში, ბერლინში და პარიზშიც კი წინასწარ უხერხულობას გრძნობენ იმის თაობაზე, რომ სამიტი სანკტ-პეტერბურგში იმართება და იქ ვიზიტი შეიძლება ისე იქნეს აღქმული, რომ დასავლეთი პუტინის ახლანდელ პოლიტიკას უჭერს მხარს.

მაგრამ არსებობს დაჯგუფება, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთი ერთობ სერიოზული პარტნიორია ისეთ საკითხებში, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა თუ ირანის ბირთვული პროგრამა, და ამის გამო კრემლთან მეტ-ნაკლებად კარგი ურთიერთობები აუცილებელია. ჩანს, ამ ორ დაჯგუფებას შორის შუალედურ პოზიციაზე დგანან პრეზიდენტი ბუში და ახლანდელი სახელმწიფო მდივანი (ერთ დროს კი ალბათ საუკეთესო სოვეტოლოგი) კონდოლიზა რაისი.

რუსეთის პრობლემას გასულ კვირას საგარეო ურთიერთობათა საბჭო – ამ სფეროში აშშ-ს, ალბათ, ყველაზე გავლენიანი ორგანიზაცია – გამოეხმაურა. „რუსეთის არასწორი გზა: რისი გაკეთება შეუძლია და რა უნდა გააკეთოს აშშ-მ“ – ასეთი სათაურით გამოაქვეყნა საბჭომ ანგარიში, რომელმაც მაშინვე მიიპყრო რუსი პოლიტოლოგების ყურადღება. დოკუმენტი იმითაცაა საყურადღებო, რომ ამერიკელი ექსპერტები მასში პირველად განიხილავენ რუსეთს, როგორც არადემოკრატიულ სახელმწიფოს და აშშ-ს შესაძლო პოლიტიკაზეც სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე მსჯელობენ. ერთადერთი სფერო, სადაც რუსულ-ამერიკული ინტერესები ერთმანეთს ბოლომდე ემთხვევა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეზღუდვაა. რაც შეეხება, მომავალი დიდი რვიანის სამიტის მთავარ თემას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას (გასაკვირი არ არის, რომ სანკტ-პეტერბურგში ამ თემაზე სურთ საუბარი და არა, მაგალითად, დემოკრატიის გავრცელებაზე), საგარეო ურთიერთობათა საბჭო აღნიშნავს, რომ რუსეთი ენერგეტიკას პოლიტიკურ ბერკეტად იყენებს. ანგარიში არც დიდ რვიანს უვლის გვერდს და აყენებს დიდი შვიდეულის დე ფაქტო აღდგენის იდეას, რაც დასავლეთს საშუალებას მისცემს, გლობალური საკითხები კრემლის გარეშე განიხილოს. გარდა ამისა, მოცემულია სხვა ერთობ საყურადღებო რეკომენდაციები. კერძოდ, ევროპელ მოკავშირეებთან ერთად საჭირო ზომების მიღება, რათა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი რუსული ენერგოკომპანიები კომერციული ხასიათის ორგანიზაციებად იქცნენ. გარდა ამისა, **„იმისათვის, რათა გაანელდეს რუსეთის დაწოლა მის მეზობელ სახელმწიფოებზე, აშშ-მ ამ სახელმწიფოთა დასავლეთში ინტეგრაციის დასაჩქარებლად უნდა იმუშაოს. მეტი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეთ იმ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებს, რომლებიც იზიარებენ ამერიკის მიდგომას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე და მათ გადაჭრაში წვლილის შეტანა შეუძლიათ.“**

ანგარიში რუსეთის შიგნით შექმნილ ვითარებასაც ეხება და ხაზს უსვამს, რომ დღესდღეობით რუსეთი სტაბილური სახელმწიფოს შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს სტაბილურობა მოჩვენებითია, რადგან არ არის დამყარებული მყარ ინსტიტუციონალურ ბაზაზე.

რუსეთში ეს დოკუმენტი „ცივი ომის ხელახლა გაღვივებად“ შეფასდა. კიდევ უფრო მეტად უარყოფითი შეფასება მიიღო კიდევ ერთმა ამერიკულმა დოკუმენტმა – სახელმწიფო დეპარტამენტის ყოვლწლიურმა ანგარიშმა, სადაც რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევაზე იქნა გამახვილებული ყურადღება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დოკუმენტში დამახინჯებულია ფაქტები, რომ ადგილი აქვს ორმაგი სტანდარტების გამოყენებას და რომ საერთოდ დოკუმენტმა შეიძლება ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაართულოს.

ენერგეტიკული ნატო და ახალი იდეოლოგები

უკრაინა ევროპისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ რუსული ბლოკადის საფრთხეზე ფიქრი ალბათ იქაც მოუწევს. ამ თემაზე ევროკავშირიც მსჯელობს. დღეს ევროკავშირს ერთიანი ენერგოპოლიტიკა არ გააჩნია და ამ სფეროში რუსეთთან გარიგებები ორმხრივ ფორმატში ხდება ხოლმე. ევროკომისიის თავმჯდომარე თვის ბოლოს ენერგეტიკის საკითხებზე პუტინთან მოლაპარაკებას გეგმავს, მაგრამ ამ ნაბიჯის თაობაზე ევროკავშირის წევრებს შორის ერთსულოვნება არ არსებობს: პოლონეთს მიაჩნია, რომ საჭიროა ახალი, ერთობლივი ენერგოსტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც რუსეთს გამორიცხავს. ამ სტრატეგიის მიხედვით ერთობლივად იმოქმედებენ ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც გააგრძელებენ გაზის რუსეთიდან იმპორტს, მაგრამ ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე დამოუკიდებლად მოილაპარაკებენ ხოლმე.

მაგრამ, პოლონეთის ამ გეგმას არ ეთანხმებიან ბერლინში, სადაც მიიჩნევენ, რომ რუსეთის გამორიცხვა არ შეიძლება. გარდა ამისა, გერმანიაში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ პოლონეთის გეგმა პრაქტიკულად ითვალისწინებს ენერგოალიანსის შექმნას ნატოს პრინციპებზე. თავად ნატოს შემთხვევაში, ევროპისათვის უსაფრთხოების გარანტად და ალიანსის ბურჯად აშშ გამოდიოდა, ახლა კი გაუგებარია, ვინ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ასეთი გარანტის როლი.

ამიტომ, მოსკოვ-ევროკავშირის დიალოგი აუცილებლად გაიმართება. ძველი კონტინენტი ალბათ გრძელვადიანი და უწყვეტი გზომომარაგების გარანტიებს მოითხოვს და სანაცვლოდ „გაზპრომს“ ევროპის ბაზრებზე დაუშვებს. გარდა ამისა, ევროკავშირი აპირებს მისივე წევრ ქვეყნებს გაზის სტრატეგიული საცავების შექმნა მოსთხოვოს, სადაც ორი თვის სამყოფი მარაგი განთავსდება. ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

ენერგეტიკა ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება ორი აზიური გიგანტის – ჩინეთისა და იაპონიის – რთულ ურთიერთობებში. ამ ორ სახელმწიფოს ჯერ დავა აქვს საზღვაო საზღვრებზე და შესაბამისად ვერ გაუყვია ის მდიდარი გაზისა და ნავთობის საბადოები, რომლებიც მათ შორის მდებარეობს. მიმდინარე წლის დასაწყისში ტოკიომ ერთ-ერთ იაპონურ კომპანიას იქ ჭაბურღილების გაკეთების უფლება მისცა, რასაც პეკინმა საბრძოლო გემების გადაადგილებით უპასუხა. გასულ კვირას ჩინელებმა ტოკიოს საბადოების ერთობლივად დამუშავება შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. ზუსტად იმავე დღეებში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა „სულელური“ და „ამორალური“ უწოდა იაპონიის პრემიერის კოიძუმის მიერ ომის საკურთხევლის მონახულებას (ეს საკურთხეველი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ იაპონელ მეომრებს განადიდებს, რომელთა შორის ისეთები არიან, ვინც ჩინეთსაც ებრძოდნენ და ვინც სამხედრო დამნაშავეებად არიან გამოცხადებულნი). ტოკიოში ყურადღება კი იმაზე გაამახვილეს, რომ ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური სამსახურის უფროსი მეორე სახელმწიფოს ხელმძღვანელზე საუბრისას ასეთ ტერმინებს არ უნდა იყენებდეს.

თუმცა, პეკინი ამით არ დაკმაყოფილდა და აშშ-საც გადასწვდა. სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის ანგარიშში ადამიანის უფლებების დარღვევაზე საუბრისას რუსეთთან ერთად ჩინეთიც არ გამოტოვა. ამას პეკინში კიდევ უფრო მწვავე რეაქცია მოჰყვა, ვიდრე მოსკოვში. ჩინეთის მთავრობამ თავად გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც აშშ-ს აქეთ დასდო ბრალი ადამიანის უფლებათა დარღვევაში როგორც ამერიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოკლედ, რუსეთიცა და ჩინეთიც ძალას იკრებენ და უკვე საზეზეა პირველი მცდელობები, თავიანთი თამაშის წესები შესთავაზონ მსოფლიო პოლიტიკას და თავად განმარტონ, რა არის კარგი და რა - ცუდი. უბრალოდ, მათ ის სურთ, რომ მხოლოდ დასავლეთს არ ჰქონდეს იმის გარკვევის უფლება, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი.

მოკლედ

ბენზინი გაიაფდება

სავარაუდოდ, მარტის ბოლოსთვის ბენზინი, სულ მცირე, 5 თეთრით გაიაფდება. ამის შესახებ „ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის“ თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა.

მთვრალაშვილის თქმით, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსული ბენზინი გაუმჯობესებული ხარისხის იქნება, რადგან მასში ბენზოლისა და არომატული ნახშირწყალბადების შემცველობა შემცირებულია. აზერბაიჯანიდან ბენზინის იმპორტი გასულ კვირას აღდგა.

„აზერბაიჯანულ ბენზინში ბენზოლის შემცველობა 4 პროცენტიდან 2,5 პროცენტამდე შემცირდა. ევროსტანდარტების შესაბამისად, ის 1 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ნიშნულზე ჩამოსვლას ბაქოს გადამამუშავებელი ქარხანა წლის ბოლოსთვის გეგმავს,“ - აღნიშნა მთვრალაშვილმა.

აზერბაიჯანიდან ბენზინის იმპორტი მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან შეწყდა. ამის მიზეზი სწორედ ბენზინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გადაიარაღება გახდა.

შეგახსენებთ, რომ ყოველთვიურად საქართველო აზერბაიჯანიდან 16-18 ათას ტონა ბენზინს იღებდა, რაც საქართველოს მოხმარების 70 პროცენტია. მთვრალაშვილის განცხადებით, იმპორტი ამავე მოცულობით აღდგება.

იანვარ-თებერვალში აზერბაიჯანული ბენზინი თურქმენეთიდან, ასევე ევროპიდან - რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და საბერძნეთიდან შემოტანილმა ბენზინმა ჩაანაცვლა, რაც გაცილებით ძვირია. **ჯი-ეიჩ-ენი**

უკრაინა ნავთობსადენს აშენებს

უკრაინულმა სახელწიფო კორპორაციამ განცხადება გააკეთა ახალი პროექტის რეალიზაციის შესახებ, რომელიც ჯეიჰან-სამსუნის ნავთობსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, აშენდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ნავთობსადენი, რომლის სიმძლავრე 100 მილიონი ტონა იქნება. ნავთობგადაზიდვებს ასევე მოემსახურება სპეციალური ტანკერები.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ თურქული სახელმწიფო კორპორაცია „ბოშტანი“ და გერმანული „თისენ გრუპი“, ეს უკანასკნელი პროექტს დაიფინანსებს. არ არის გამორიცხული, პროექტის რეალიზაციაში რუსული მხარეც ჩაერთოს. ჯეიჰანი-სამსუნის ნავთობსადენით უკრაინა ახლო აღმოსავლეთიდან 30-40 მილიონ ტონა ნავთობს მიიღებს. ამ პროექტით კიევი ევროპას ნავთობის ტრანზიტის ახალ გზას შესთავაზებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

კონკურსი თბილისის და ბორჯომის რკინიგზის სადგურების იჯარით გაცემაზე

თბილისის და ბორჯომის რკინიგზის სადგურების იჯარით გაცემაზე კონკურსი ორშაბათს ჩატარდება. როგორც შპს „საქართველოს რკინიგზაში“ განაცხადეს, სადგურების 49-წლიანი იჯარით გაცემის შესახებ გამოცხადებული კონკურსის შედეგები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. მათივე ინფორმაციით, კონკურსში გამარჯვებულს იჯარით გადაეცემა თბილისის ცენტრალური ვაგზლისა და ბორჯომის ვაგზლის შენობები. საერთო სასარგებლო ფართი შეადგენს 54 858.3 კვ/მ, შენობაზე დამაგრებული მინის ფართი - 37 719 კვ/მ.

საკონკურსო პირობებით, შენობა-ნაგებობების საწყისი საიჯარო ქირა, მინის ნაკვეთთან ერთად, წელიწადში შეადგენს 490 000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად. ამასთან, პირველი 2 წლის განმავლობაში მოიჯარე გადაიხდის საიჯარო ქირის 50 პროცენტს, ხოლო შემდგომი 3 წლის განმავლობაში დაფარავს საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით წარმოქმნილ სხვაობას. „ბეს“ თანხა შეადგენს 100 000 ლარს. შენობათა 3290 კვ/მ ფართი რჩება შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარგებლობაში, რაზედაც მოიჯარეს საიჯარო ქირა და სხვა გადასახადები არ დაეკისრება.

მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს ცენტრალური ვაგზლის შენობის გამოთავისუფლება შენობაში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისგან, მათთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ინვესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე, აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით.

მოიჯარე ვალდებულია, შექმნას ყველა საჭირო პირობა სამგზავრო სადგურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მოიჯარეს უფლება არ აქვს, ვაგზლების ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა სხვა დანიშნულებით გამოიყენოს და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.

მოიჯარემ 6 თვეში ერთხელ შპს „საქართველოს რკინიგზას“ საკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ანგარიში უნდა წარუდგინოს. **პრაიმ-ნიუსი**

ვინ ააშენებს ავტომაგისტრალს?

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ამშენებელი კომპანია დღეს გახდება ცნობილი. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-ალაიანის 16 კმ-იან მონაკვეთზე (ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხვალ დაასახელებს. ტენდერში თავდაპირველად 12-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, თუმცა მეორე ეტაპზე მხოლოდ 5 კომპანია გავიდა, რომელთა წინადადებების პრეზენტაციაც საავტომობილო გზების დეპარტამენტში 10 მარტს გაიმართა. ტენდერში მონაწილე ადგილობრივი კომპანიებია შპს „დ&გ ტექნოლოგი“, შპს „ონური“, შპს „გზამშენი-4“, შპს „ზიმო“ და „კავკასუს როუდ პროჯექტი“ ერთობლივად გამოდიან და ქართულ-თურქული კომპანია „ბლექსი გრუპი“. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, გზის მშენებლობა მარტის ბოლოდან დაიწყება და ოქტომბრამდე გასტანს. ავტომაგისტრალი 4-ზოლიანი იქნება 2-2 საწინააღმდეგო მიმართულებით. ავტომაგისტრალზე მინიმალური სიჩქარე 120 კმ/სთ-ში იქნება. **ინტერპრესნიუსი**

Getz

ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

www.hyundai.ge

საშოდელო რიბი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Drive your way™ არე შენი გზაა

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი მსოფლიო ბანკის კრედიტი. 3701-GE საკონსულტაციო მომსახურება ინტერესის გამოხატვა ქ. თბილისის ურბანული ტრანსპორტის სტრატეგიის შემუშავება

საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA), და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს ქ. თბილისის ურბანული ტრანსპორტის სტრატეგიის შემუშავების კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს.

მომსახურება ითვალისწინებს: ტრანსპორტის მართვის სფეროში არსებული სიტუაციისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების აღწერას; ტრანსპორტის მართვის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლას და რეკომენდაციებს ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის; სატრანსპორტო ნაკადების მოდელის შექმნას და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესების 5 წლიანი პროგრამის მომზადებას; რეკომენდაციებს პარკირების საკითხებზე. მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

კონსულტანტის კვალიფიკაცია ამ დავალებისათვის მოიცავს გამოცდილებას ურბანული ტრანსპორტის სტრატეგიის მომზადების, სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო ნაკადების მოდელის შექმნის სფეროში.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ მომსახურების მიწოდების ინტერესი. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია, იმის დასტურად რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, და ა.შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონსულტანტი შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და აყვანა მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებული 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოეწოდოს ქვემოთმოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 3 აპრილისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7ბ
ტელ: 943240, 942947, 923470, 923469
ფაქსი: 940439
ელ-ფოსტა: PROCUREMENT@MDF.ORG.GE

მოკლედ

საეჭვო დეტალები გირგვლიანის საქმეში

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი შალვა შავგულიძე დღეს გამოძიებას რამდენიმე შუამდგომლობას წარუდგენს. მოწმის ჩვენების საფუძველზე, ადვოკატი რამდენიმე საეჭვო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. შავგულიძის განცხადებით, მთავარი მოწმის, თათია მაისურაძის თქმით, მკვლელობის ღამეს „შარდენ ბარში“ სუფრასთან მყოფმა პოლიციის მაღალჩინოსანმა ოლეგ მელნიკოვმა, სანდრო გირგვლიანის და მასთან ერთად მყოფი ლევან ბუხაიძის ბარიდან გასვლისთანავე დატოვა იქაურობა. **„მოწმის ჩვენებით, იგი სიგარეტის მოსატანად წავიდა. თუმცა 30-40 წუთში დაბრუნდა და განაცხადა, რომ სიგარეტი „კენტი“ ბარის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ იშოვა და მისი ყიდვა ვაკეში, სუპერმარკეტ „ბიგ ბენში“ მოუხდა. თუმცა იმ ღამეს, სუპერმარკეტის უსაფრთხოების სამსახურის კუთვნილი გადამღები აპარატურის ვიდეოკასეტების გაშიფვრამ დაადასტურა, რომ მელნიკოვი „ბიგ ბენში“ საერთოდ არ შესულა. გარდა ამისა, მოწმეების ინფორმაციით, „შარდენ ბარში“ შესვლამდე, შს მინისტრის მეუღლეს თაკო სალაყაიას საკუთარმა მძღოლმა ორი კოლოფი „კენტი“ მიუტანა, ორი საათის შემდეგ კი, მისთვის კიდევ ორი კოლოფი სიგარეტი მოაქვს მელნიკოვს. ფიზიკურად შეუძლებელია, ადამიანს ორ საათში, ერთდროულად 4 კოლოფი სიგარეტი დასჭირვებოდა,“** - განმარტავს ადვოკატი. შავგულიძე საქმეში დაზარალებულის (გარდაცვლილ სანდრო გირგვლიანის) უფლებამონაცვლის ადვოკატად 10 მარტიდან ჩაერთო. მისი თქმით, ჯერჯერობით გამოძიებას მოწმეები ხელახლა არ დაუკითხავს. **ინტერპრესნიუსი**

სამართალდარღვევის ოქმი ქუთაისელ პროკურორს

ორი დღის წინათ სახალხო დამცველმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის დასავლეთის სამმართველოს საპროცესო გამოძიების ზედამხედველი პროკურორის, ჯონდო სულღანძის მიმართ. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა იმერეთის რეგიონში ოქმი უკვე შეიტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 2005 წლის ივლისში სახალხო დამცველის მაშინდელმა წარმომადგენელმა იმერეთის რეგიონში გიორგი მშვენიერაძემ, საპროცესო გამოძიების ზედამხედველ პროკურორს, ჯონდო სულღანძეს მიმართა და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება სთხოვა. სულღანძემ ახსნა-განმარტებაზე უარი განაცხადა. იმავე წლის 3 აგვისტოს მშვენიერაძემ პროკურორს მოთხოვნა წერილობითი ფორმით გაუგზავნა. **„მიუხედავად იმისა, რომ წერილი დაზღვეული იყო, სულღანძე აცხადებს, რომ მას იგი დღემდე არ მიუღია და შესაბამისად, არ აპირებს ახსნა-განმარტების მიცემას, რაც, ფაქტობრივად, ხელს უშლის რეგიონში სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობას,“** - აცხადებენ ომბუდსმენის წარმომადგენლები. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სახალხო დამცველის მიერ შედგენილი ოქმი, რომელიც ომბუდსმენის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას გულისხმობს და ითვალისწინებს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 20-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე, სახალხო დამცველის იმერეთის რეგიონის წარმომადგენელმა თეონა კუჭავამ პროკურორ სულღანძეს გასაცნობად პირადად მიუტანა. პროკურორმა ოქმს ხელი არ მოაწერა და სახალხო დამცველის წარმომადგენელს უფლებამოსილების გადამეტებაში დასდო ბრალი. **24 საათი**

„საქართველოში კანონის ნორმებს პიროვნებებს არგებენ“

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების საქმის განხილვის ერთთვიანი ვადა გასულია. როგორც თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლე მერაბ ტურავა აცხადებს, მოსამართლეების უფლებამოსილების შეჩერების შესახებ საბჭოს 2005 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება ამავე წუწყების სადისციპლინო საბჭოს ერთ თვეში უნდა განეხილა. მისივე თქმით, საბჭომ მოსამართლეების საქმის განხილვა მიმდინარე წლის იანვარში სასწრაფო წესით დაიწყო, თუმცა, როცა ე.წ. დევნილმა მოსამართლეებმა საქმის განმხილველი უწყების 3 წევრის: ნინო კალანდაძის, კახა ყიფიანის და დავით სვანიძის არაკომპეტენტურობის საკითხი დააყენეს, საქმის განხილვა შეჩერდა. **„აქ მთავარი ის არის, რომ ამ დროისთვის უკვე რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ყველა უკანონოდ ჩაითვლება. საქმის განხილვის ხანდაზმულობის ვადა გასულია,“** - განმარტავს ტურავა. მოსამართლეები ყურადღებას ამახვილებენ პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში „საერთო სასამართლოებისა“ და „მოსამართლეთა დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ“ კანონებში შეტანილ ცვლილებებზე და აცხადებენ, რომ საქართველოში კანონის ნორმებს პიროვნებებს არგებენ. მერაბ ტურავას თქმით, კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იუსტიციის საბჭოს წევრად დამტკიცებისთვის იურისტად მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი უკვე საჭირო აღარ არის. ამის საფუძველზე კი მოხდა ნინო კალანდაძის იუსტიციის საბჭოს წევრად დანიშვნა. როგორც ცნობილია, მოსამართლეები მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე და დავით სულაქველიძე თავის დროზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის ორი წევრის კახა ყიფიანისა და ნინო კალანდაძის არაკომპეტენტურობის საკითხს არასაკმარისი სტაჟის გამო აყენებდნენ. მათი განცხადებით, კალანდაძესა და ყიფიანს სადისციპლინო კოლეგიის წევრად დანიშვნამდე, პროფესიით მუშაობის 5-წლიანი სტაჟი არ გააჩნდათ. მოსამართლეები საბჭოს კიდევ ერთი წევრის დავით სვანიძის არაკომპეტენტურობის საკითხზეც მიუთითებდნენ. მათი ინფორმაციით, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეს დავით სვანიძეს დამთავრებული აქვს მილიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც კურსდამთავრებულს იურისტის კვალიფიკაციას არ ანიჭებდა. როგორც თანამდებობიდან გათავისუფლებული უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები აცხადებენ, სადისციპლინო კოლეგიის უკანონო შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. ე.წ. მეამბოხე მოსამართლეები აღნიშნულ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებს აცნობებენ. **ინტერპრესნიუსი**

შპს “თეგეტა მოტორსი” აცხადებს ვაკანსიას:

1. სატვირთო ავტომანქანების გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე
2. ავტოსათადარიგო ნაწილების შეკვეთების მენეჯერის თანამდებობაზე

კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება საავტომობილო დარგში
2. გერმანული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა
3. საოფისე (MS Word, Excel) პროგრამების ცოდნა
4. მუშაობის გამოცდილება მსგავსი პროფილით მინიმუმ 1 წელი

დაინტერესებულმა პირებმა ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და ფოტოსურათი გამოგზავნეთ ელ.ფოსტით info@tegetamotors.ge ან ფაქსით Fax: 52 49 22

საბროკერო კომპანია "სელგი" აცხადებს კონკურსს სადაზღვევო აგენტების შესარჩევად.

შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ სპეციალური სწავლება-ტრენინგი.

ასაკი: 35 წელი და ზემოთ;
განათლება: უმაღლესი;
ანაზღაურება: ფიქსირებული და გამომუშავებით;
საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2006 წლის 15 მარტი;

დაინტერესებულმა პირებმა ავტობიოგრაფიული მონაცემები და ფოტოსურათი უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, კოსტავას ქ. 27

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.

მილოშევიჩის სიკვდილის მიზეზი ცნობილია, მილოშევიჩის სიკვდილის მიზეზს იკვლევენ

გუშინ ნიდერლანდებში სლობოდან მილოშევიჩის სიკვდილის ზუსტი დროისა და მიზეზის დასადგენად, მისი გვამი გაკვეთეს. პროცედურას, რომლის პასუხიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, სერბი სპეციალისტებიც ესწრებოდნენ.

სასამართლო პროცესი, თავად მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხშირი შესვენებებით მიმდინარეობდა.

შაბათს დილით, ჰააგის გარეუბანში, სხვენინგენში, გაეროს საერთაშორისო ტრიბუნალის წინასწარი დაკავების ცენტრის საკანში გარდაცვლილი იპოვეს იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, 64 წლის სლობოდან მილოშევიჩი. წინასწარი მონაცემებით, მისი სიკვდილის მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება იყო. როგორც ცნობილია, იუგოსლავიის ყოფილ პრეზიდენტს გულსისხლძარღვთა სისტემის მწვავე უკმარისობა ჰქონდა და მაღალი არტერიული წნევა აწუხებდა. მისი ავადმყოფობა ხშირად გამხდარა ტრიბუნალის სხდომების გადადების მიზეზი. მიუხედავად ბუნებრივი სიკვდილის შესახებ გავრცელებული ოფიციალური ცნობებისა, ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად მილოშევიჩის ცხედარი ჰააგის ცენტრში მდებარე ჰოლანდიის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში გადაასვენეს, სადაც ჰოლანდიელმა ექსპერტებმა გვამს ექსპერტიზა ჩაუტარეს. გაკვეთას სერბი პათოლოგანატომიც დაესწრო.

ეჭვები კი მილოშევიჩის სიკვდილის შესახებ ცნობის გახმაურებისთანავე გამოითქვა. სლობოდან მილოშევიჩის ძმა ბორისლავი გაერო-ს ტრიბუნალს პირდაპირ ადანაშაულებს, რომ მათ მიიყვანეს მისი ძმა სიკვდილამდე. თავისი განცხადების დასადასტურებლად იგი იმასაც იხსენებს, რომ ცოტა ხნის წინათ სლობოდან მილოშევიჩს უარი ეთქვა მოსკოვში სამკურნალოდ გაშვებაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება მისი უკან დაბრუნების გარანტიას იძლეოდა. იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის ნათესავებს ასევე არ სჯერათ, რომ ჰოლანდიელი ექსპერტების გაკვეთის ობიექტურ შედეგებს გამოაქვეყნებენ.

უფრო შეფარულად გამოთქვამენ საკუთარ ეჭვებს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები – ჰაგის ტრიბუნალს ერთგვარად საყვედურობენ იმის გამო, რომ მილოშევიჩის მოსკოვში მკურნალობაზე უარი თქვეს და იმ ექიმების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვეს, რომლებიც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეს არ აღიარებდნენ.

გაცილებით მკაცრია იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლის მირა მილოშევიჩის შეფასებები – იგი ჰააგის ტრიბუნალს მისი მეუღლის მკვლელობაში ადანაშაულებს. მილოშევიჩის ადვოკატმა კი მისი სიკვდილის შემდეგ მიცემულ პირველივე ინტერვიუში თქვა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობდა, რომ მის მოწამვლას ცდილობდნენ.

თვით ჰაგის ტრიბუნალის წარმომადგენლები კი მათ მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ სლობოდან მილოშევიჩმა თავი მოიკლა.

“ტრიბუნალს ვერავინ ვერაფერში დაადანაშაულებს, - აცხადებს ტრიბუნალის წარმომადგენელი კრისტიან შარტიე, - **ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით ყველა პატიმარს, განსაკუთრებულად კი მას (მილოშევიჩს)”**.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, ტრიბუნალმა გვამის გაკვეთა და ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზაც მოითხოვა.

მილოშევიჩის სიკვდილს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა სერბეთშიც. თუ საზოგადოების ნაწილი მომხდარში ჰაგის ტრიბუნალს ადანაშაულებს, ნაწილი სიმწრით იხსენებს მილოშევიჩის მმართველობის წლებს.

სოციალისტური პარტიის (სწორედ ამ პარტიის წევრი იყო მილოშევიჩი) შტაბ-ბინასთან არ ქვრება სანთლები, შენობის კარებთან არ წყდება ყვავილების დინება. გლოვობენ მილოშევიჩის მოწინააღმდეგეებიც, ოღონდ სხვა მიზეზით:

“უსამართლობაა, რომ ეს არამზადა ძილში მოკვდა, მაშინ როდესაც სხვები წამებით იხოცებოდნენ,” - განუცხადა ფრანცპრესის კორესპონდენტს 43 წლის ბელგრადელმა ქალმა. რაც შეეხება სერბეთისა და ჩერნოგორიის ხელისუფლებას, ისინი მოვლენებს ფრთხილად აფასებენ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვოისლავ კოშტუნიცამ მილოშევიჩის ოჯახსა და მისი პარტიის წევრებს სამძიმრის წერილი გაუგზავნა და თქვა, რომ ჯერ სხვა რამის თქმა არ შეიძლება. საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვუკ დრაშკოვიჩმა კი სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ სლობოდან მილოშევიჩი სერბეთის სასამართლომ ვერ გაასამართლა.

როგორც ცნობილია, მილოშევიჩს ბრალს სდებდნენ 90-იან წლებში, ყოფილ იუგოსლავიაში სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, ბოსნიაში, ხორვატიასა და კოსოვოში გენოციდის განხორციელებაში, რიგი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენაში. თავად მილოშევიჩმა არაერთხელ თქვა უარი, წარდგენილ ბრალდებებში თავი ან დამნაშავედ ეცნო, ან უდანაშაულოდ, ასეთ სიჯიუტეს ყოფილი პრეზიდენტი იმით ხსნიდა, რომ ჰააგის ტრიბუნალს ლეგიტიმურად არ ცნობდა. თავის მხრივ, სასამართლომ მილოშევიჩის ეს პოზიცია განსასჯელის მხრიდან წარდგენილი ბრალდებების არაღიარებად მიიჩნია.

ჰააგის ტრიბუნალმა, რომელიც სპეციალურად სამხედრო დანაშაულების განსასჯელად შეიქმნა, მილოშევიჩის საქმის განხილვა 2002 წლის თებერვალში დაიწყო. სასამართლო პროცესი, თავად მთავარი განსასჯელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხშირი შესვენებებით მიმდინარეობდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, უახლოეს თვეებში მის დასრულებას ვარაუდობდნენ.

24 საათი

ყოფით ნიადაგზე მომხდარი კრიმინალური შემთხვევა

ოთხი დღის წინათ წალკაში მომხდარი ინციდენტი, რომელიც, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დასრულდა, თავდაპირველად ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტად შეფასდა. თუმცა, მოგვიანებით, ეს შეფასება შეიცვალა და მომხდარს ყოფითი პრობლემების გამო მომხდარი ჩვეულებრივი კრიმინალის სახელი დაერქვა.

რამდენიმე დღეა, წალკაში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოსახლეობა საპროტესტო აქციებს აწყობს და 24 წლის გევორქ გევორქიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვს. ამ მოთხოვნით, მათ გამგეობის შენობაც დაარბიეს და ადგილობრივი პოლიციის განყოფილებასთან ფართომასშტაბიანი გამოსვლაც მოაწყვეს, რაც მასობრივ არეულობაშიც გადაიზარდა. გამგეობის შენობაში შეჭრილმა აქციის მონაწილეებმა ჩაამსხვრიეს მინები, შეანგრიეს თითქმის ყველა კაბინეტის კარი და ოთახებშივე დაწვეს ადგილზე არსებული დოკუმენტაცია.

ამ ყველაფრის მიზეზი რამდენიმე ადგილობრივ მოსახლეს შორის მომხდარი შელაპარაკება გახდა, რომელიც, როგორც ცნობილია, ერთი ადამიანის სიკვდილით დასრულდა. ოთხმა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 20-მდე სომეხი ეროვნების ახალგაზრდა რესტორანში მეგობრის დაბადების დღეს აღნიშნავდა. იმავე რესტორანში იმყოფებოდნენ წალკის სვანეთიდან ჩამოსახლებული მცხოვრებნიც. რესტორნიდან გამოსვლისას ნასვამ მდგომარეობაში მყოფებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ.

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ამ ინციდენტში მონაწილე ხუთი ეჭვმიტანილი რამდენიმე საათში დააკავეს. როგორც გაირკვა, ისინი წალკაში ჩასახლებული სვანები არიან. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი ვინაობა ჯერჯერობით კვლავ არ სახელდება.

„უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, წალკაში, ეს არის პირველი კრიმინალური ფაქტი, რომელიც გაიხსნა და დამნაშავეები დაკავებულები არიან,“ - აცხადებს საქართველოს პარლამენტის წევრი ვან ბაიბურთი. პარლამენტარი დარწმუნებულია, რომ წალკაში მომხდარ ინციდენტს ეთნიკური საფუძველი არ გააჩნია და ის მხოლოდ კრიმინალური შემთხვევაა.

მომხდარში გასარკვევად, გამგებელთან, პოლიციის უფროსთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად წალკაში გაემგზავრა სახალხო დამცველის წარმომადგენელი. ომბუდსმენის წარმომადგენელს ადგილზე უნდა შეესწავლა ვითარება და გაერკვია, არსებობდა თუ არა მომხდარ ფაქტში ეთნიკური დისკრიმინაციის ნიშნები.

„პირველადი შესწავლით გაირკვა, რომ ეს იყო ყოფით და არა ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტი,“ - ასეთია სახალხო დამცველის წარმომადგენლის დასკვნა.

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ეჭვმიტანილთა ლინჩის წესით გასამართლება და გამგეობის შენობის დარბევა არ არის მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა, ესეც დანაშაულია და დარბევის ორგანიზატორები ისევე არ უნდა დარჩნენ დაუსჯელნი, როგორც ამ მკვლელობის ჩამდენი პირები.

საქართველოს სახალხო დამცველი სამძიმარს უცხადებს დაღუპული გევორქ გევორქიანის ოჯახს და გმობს იმ ჯგუფების ქმედებას, რომლებიც ამ ტრაგიკულ შემთხვევას ეთნიკური შუღლის გაღვივებისთვის იყენებენ და კიდევ უფრო ამძიმებენ დაღუპული ახალგაზრდის ოჯახის ტრაგედიას.

„სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია 9 მარტს მომხდარ ხულიგნობის ფაქტს აფასებს, როგორც ეროვნულ ნიადაგზე მომხდარ ინციდენტს და შეცდომაში შეჰყავს როგორც საქართველოს მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო საზოგადოება. დღეს ამ ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განცხადება სრულიად არაკორექტულია და ამდენად, მოძმე ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს,“ - განაცხადა “24 საათთან“ საუბრისას სახალხო დამცველმა.

სოზარ სუბარი ყველას მოუწოდებს, თავი შეიკავონ უსაფუძვლო განცხადებების გავრცელებისგან და საშუალება მისცენ სამართალდამცავ ორგანოებს, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე დაასრულონ 9-10 მარტს წალკაში მომხდარი მოვლენების გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში წალკის რაიონში კრიმინოგენული ვითარება გამოსწორდა, სახალხო დამცველი სამართალდამცავ ორგანოებს უფრო უკეთ მუშაობისკენ მოუწოდებს, რათა მსგავსი დანაშაულები აღარ განმეორდეს.

24 საათი

განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხულოს რაიონის გამგეობა (მის: დაბა ხულოს ტბელ აბუსერიძის ქ.N1) " სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ორეტაპიან ტენდერს:

ა. კურორტ ბეშუმის წყალსადენის რეაბილიტაციისათვის;

ბ. დაბა ხულოს გარე განათებისათვის;

გ. ხულოს რაიონის ყოფილი განათლების, კულტურისა და სპორტის

განყოფილების შენობის სახურავის რეკონსტრუქციისათვის;

დ. ხულოს რაიონის სანეპიდსადგურის შენობის დასრულებისათვის;

ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებული პირს.

2. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა: 2006 წლის 1 აპრილიდან 20 აპრილამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23 მარტის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ.N1, მესამე სართული მე-15 კაბინეტი, იურიდიული განყოფილება თემურ მახარაძე, ირაკლი ჯორბენაძე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

u) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაზე მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არსებობის შესახებ;

l) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი, ქსეროასლის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეობისათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურული კონვერტები, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილი უნდა იქნეს სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

ბ)ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირის კადრების კვალიფიკაციის შესახებ.

გ) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე სახალხო ბანკის ხულოს ფილიალი 300724040.

დ) მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

11. პრეტენდენტებს აქვთ უფლება წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე ალტერნატური სატენდერო წინადადება.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შემდეგ პირებს:

თემური მახარაძე ტელ.N 899 99 37 34

მისამართზე: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ.N1,

ხულოს რაიონის გამგეობის მესამე სართული მე-15 კაბინეტი.

რაგბი

პორტუგალია გავინადგეთ

„ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალიელებს დაუმტკიცეს, რომ მათთვის ნაადრევია ქართველებთან პირველობისთვის ჭიდილი და, რაც მთავარია, უხერხული მეტოქის ფსიქოლოგიური წნეხი მოიხსნეს. 40:0 – ასე დასაჯეს ქართველმა მორაგბეებმა უხერხული მეტოქე წინა სამი მარცხისთვის, რომელიც ზედიზედ ვიწვნიეთ.

ამ გამარჯვებით „ბორჯღალოსნებმა“ ჯგუფში მეორე ადგილი დაიბევეს და ისეთი პირი უჩანს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის გადამწყვეტ ორრაუნდიან ბრძოლაში ისევ პორტუგალიელებს დავუპირისპირდებით. ოღონდ იმ უპირატესობით, რომ განმეორებითი მატჩი თბილისში გვექნება და გვეცოდინება კიდეც რა ანგარიშით მოგება დაგვჭირდება პირენეელებთან პაექრობაში. თუ გავითვალისწინებთ ქართველი მორაგბეებისთვის რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი მინდვრის ფაქტორს, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ არ გაუჭირდებათ სასურველი შედეგის მიღწევა.

რაც შეეხება თამაშს, საქართველოს ნაკრებმა ნაცად ხერხს არ უღალატა და შერკინების ძალისხმევით შეუტია მეტოქეს. სტუმრები თავიდანვე აირივნენ, რითიც ისარგებლეს ქართველებმა და ფრანგული „ბეზიეს“ გარემაბი ირაკლი მაჩხანელი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს, რომელსაც არ გასჭირვებია ლელოს გატანა. შესვენებამდე ისევ მაჩხანელმა და ზედგინიძემ კიდევ ორჯერ დალაშქრეს პორტუგალიელთა ჩათვლის მოედანი. ნათელი გახდა, რომ „ბორჯღალოსნები“ გაიმარჯვებდნენ. პირველი ნახევარი მასპინძლებმა - 22:0 მოიგეს. პორტუგალიელები მხოლოდ ორჯერ მიუახლოვდნენ ქართველთა ჩათვლის მოედანს. ჯარიმაც დაიმსახურეს, მაგრამ სამი ქულა ეცოტავათ და დარტყმას ისევ ბურთის გათამაშება ამჯობინეს, რამაც საბოლოოდ სტუმრები ვერ ახეირა.

ასე გაიტანა ირაკლი მაჩხანელმა პირველი ლელო.

მეორე ტაიმში მდგომარეობა არ შეცვლილა. საწყისი ინერტულობის შემდეგ „ბორჯღალოსნები“ ინიციატივას საფუძვლიანად დაეუფლნენ და მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ. აქტიურად გაისარჯა შერკინების ხაზი, რომელიც წარმატებით არღვევდა მოწინააღმდეგის დაცვის ზღუდეს და სალელოვე შეტევებს ავითარებდა. დარტყმებს კი ზუსტად ასრულებმა მალხაზ ურჯუკაშვილი, რომლის ანგარიშზე სამი საჯარიმო და სამი გარდასახვაა. მართალია, პორტუგალიელები უკანა ხაზის თამაშით არიან ცნობილნი, უფრო სწორად, ასეა მიღებული, მაგრამ შაბათს ქართველებმა ამ კომპონენტშიც დაჯაბნეს მეტოქე და სირცხვილნაჭამი გაისტუმრეს შინ. რაც მთავარია, იმ შესაძლო ორრაუნდიანი ბრძოლის წინ, რომელიც, სავარაუდოდ, ნოემბერში გაიმართება, ქართველებმა მეტოქეზე დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს.

მომავალ შაბათს საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს გამართავს ჩეხეთში, რომელიც გასულ უქმეებზე რუმინეთმა არ დაინდო - 50:3. რაც შეეხება ერთა თასზე გამარჯვებას, ამისთვის აუცილებელია პორტუგალიამ რუმინეთი დაამარცხოს, ჩვენ კი რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა მოვიგოთ დარჩენილი ორი მატჩი, მაგრამ თუ პორტუგალიელთა გუშინდელი თამაშით ვიმსჯელებთ, ნაკლებად სავარაუდოა ამ გუნდმა რუმინეთის ნაკრები დაამარცხოს. მით უფრო, თუ რუმინელთა შორის ნაკრებში დაბრუნებული პეტრე მიტუ ითამაშებს.

საქართველო - პორტუგალია 40:0

საქართველო: სოხაძე (ბარკალაია 66), ხამაშურიძე (ელიზბარაშვილი 69), მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 50), შველიძე (სუჯაშვილი 66), ავქსენტი გიორგაძე, ზირაქაშვილი (კუთარაშვილი, 56), ზედგინიძე (კაპ), გორგოძე, ურუშაძე (დათუნაშვილი 64), ლაბაძე, მაისურაძე (ჩხაიძე, 68).
5 ლელო: მაჩხანელი (2), ზედგინიძე, გორგოძე, დათუნაშვილი.
3 გარდასახვა: ურჯუკაშვილი.
3 საჯარიმო: ურჯუკაშვილი.
გაძევება: მაჩხანელი, ელიზბარაშვილი.
პორტუგალია: გრენიუ (დიოგუ მოტა 67), ეგილარი, ჟოზე პინტუ, პორტელა, მეტეუში, დუარტე პინტუ (გემა 59), პისარა, კორდეირუ, ფერეირა (ბერნარდუ მოტა 77), სპაჩუკი (კონსეისაო 75), დორეი, გონსალუ უვე (პელია 56), პენალეა (კეშტრუ 77), ვესკუ უვე (კაპ), კუტინიუ (ჟორეუ 72).
მსაჯი: ფრანკო მარსიელო (საფრანგეთი).

ფორმულა 1

დაიწყო!

სამეფო რბოლები თავიდანვე დაიძაბა

სეზონთა შორის შესვენება დამთავრდა. დაიწყო ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი. სამეფო რბოლების ისტორიაში პირველად დიდ პრიზს უმასპინძლა ბაჰრეინმა და არა მელბურნმა, რომლითაც ბოლო ათი წლის განმავლობაში იწყებოდა ჩემპიონატები. წლეულს მწვანე კონტინენტი ფორმულა 1-ის კალენდარში მესამე ეტაპადაა შეტანილი. საქმე ის არის, რომ ავსტრალია თანამეგობრობის თამაშებისთვის ემზადება. ორი დიდი სპორტული შეჯიბრება ერთმანეთს რომ არ დამთხვეოდა, “ავსტრალიის დიდი პრიზი” აპრილისთვის გადაიტანეს. რაც შეეხება ბაჰრეინის ეტაპს და რბოლის ასპარეზს – უდაბნოში აგებულ “სახირის” ულტრათანამედროვე ტრასას, ის არქიტექტორმა გერმან ტილკემ დააპროექტა. ტილკეს სახელს უკავშირდება ბოლო დროის ახალი ავტოდრომების მოწყობა.

ალონსომ ტიტულის დაცვისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა.

გიგა გურასაშვილი

შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ სკუდერიელებმა თავიანთ ბოლიდებს ახალი სისხლი გადაუსხეს. ასე რომ არ ყოფილიყო, კვალიფიკაცია იტალიური საჯინიბოს წარმატებით არ დამთავრდებოდა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა და “ფერარის” ახალწვეულმა ბრაზილიელმა ფელიპე მასამ შაბათის კვალიფიკაცია მოიგეს. მართალია, ბევრი რამ პილოტის ოსტატობაზეცაა დამოკიდებული, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ფელიპე მასა სახელოვან თანაგუნდელს და სხვა არაერთ მრბოლს ამ მხრივ ვერ გაუტოლდება, კვალიფიკაციაში მიხაელის შემდეგ საუკეთესო შედეგი მაინც აჩვენა.

ბოლო წლების ტრიუმფატორი (შარშანდელ სეზონს არ ვგულისხმობთ) “ფერარი” რომ წლეულს ტიტულისთვის იბრძოლებს, არც ეს უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. ყოველ შემთხვევაში, “რენოსა” და “მაკლარენ-მერსედესს” დიდ თავსატეხს გაუჩენს. ეს გუშინდელ რბოლაშიც თვალნათლივ გამოჩნდა.

ფრანგულმა და ბრიტანულმა საჯინიბოებმა შარშანდელი ტემპი შეინარჩუნეს და ძირითად რბოლაში სამეულში დაიკავეს ადგილები. “რენოს” ესპანელმა პილოტმა ალონსომ, რომელიც მეოთხე პოზიციიდან შეუდგა რბოლას, დიდი პრიზების დებიუტანტი ეტაპი საკუთარი გამარჯვებით აღნიშნა. მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა კი მესამე შედეგი აჩვენა. ფინელის წარმატება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ შაბათის კვალიფიკაციაზე ტრასიდან გავარდნის გამო ბოლო, 22-ე ადგილიდან დაიწყო რბოლა. მათ შორის ადგილი კი მიხაელ შუმახერმა დაიკავა.

“კარგი იქნებოდა რბოლა მოგეგო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო... - რბოლის შემდეგ თქვა შუმახერმა, - ერთი კვირის წინ ვიწინაწეს რომ ეთქვა, მეორე ადგილს დაიკავებო, თავს ბედნიერად ვიგრძნობდი, რადგან ტესტირებებზე ბოლიდი მაინცდამაინც კარგად არ იქცეოდა”.

გერმანელის თანაგუნდელმა ფელიპე მასამ მეცხრე ადგილი დაკავა.

2006 წლის კალენდარში 18 “დიდი პრიზი” გათამაშდება. შეიძლებოდა ერთით მეტიც ყოფილიყო, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე კალენდრიდან “ბელგიის დიდი პრიზი” ამოაგდეს. ოფიციალური ვერსია: “სპას” ავტოდრომის რეკონსტრუქცია, არაოფიციალური: ფინანსური პრობლემები. თუმცა, ამბობენ, ბელგიური ეტაპი ისევ დაუბრუნდება ჩემპიონატებსო.

ცვლილებებია რეგლამენტშიც. დღეიდან ძრავების მოცულობა სამის ნაცვლად 2,4 ლიტრი იქნება, ხოლო ცილინდრების რაოდენობა ათიდან რვამდე შემცირდა. წელს და გაისად საჯინიბოებს უფლება ექნებათ გამოიყენონ V10-ის სამლიტრიანი ძრავები, ოღონდ შეზღუდული ბრუნთა რიცხვით.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება: რბოლისას კვლავ ნებადართულია საბურავების შეცვლა.

მესამე ცვლილება რეგლამენტში, რომელიც საკვალიფიკაციო რბოლათა ახალ ფორმატს ეხება: ერთი უსწრაფესი წრის სისტემას ჩაენაცვლა ეგრეთ წოდებული გამოვარდნითი კვალიფიკაცია. საკვალიფიკაციო სესია სამ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი 15-წუთიანი მონაკვეთი დაასახელებს ექვს ყველაზე ნელ მრბოლს. ისინი სასტარტო ხაზზე ბოლო ექვს ადგილს დაიკავებენ. მეორე ნაწილიც 15 წუთს გაგრძელდება და ასევე ექვს მრბოლს განთესავს – მეათე ადგილიდან მეთექვსმეტემდე.

რაც შეეხება დარჩენილ მრბოლებს, ისინი ერთმანეთში გაითამაშებენ პირველ სასტარტო პოზიციას, ეს კი 20 წუთს გაგრძელდება.

გუნდებს შორის გუშინ პირველად გავიდნენ სტარტზე ახალი სახელები. მათ შორის, “ჰონდა”, BMW, “MF1 რეისინგი” და “ტორო როსო” აქამდე არსებული საჯინიბოების BAR-ის, “ზაუბერის”, “ჯორდანისა” და “მინარდის” ბაზაზე, შესაბამისი თანამიმდევრობით ჩამოყალიბდნენ.

ერთადერთი “სუპერ აგურია” სრულიად ახალი საჯინიბო, რომელიც, თავის მხრივ, სამეფო რბოლათა ყოფილმა მრბოლმა იაპონელმა აგურუ სუძუკიმ შექმნა კომპანია “ჰონდას” ფულით.

“ბაჰრეინის დიდი პრიზი”
სახირის ავტოდრომი, 57 წრე

1. ფერნანდო ალონსო (“რენო”) 1:29:46.205
2. მიხაელ შუმახერი (“ფერარი”) +1.2
3. კიმი რაიკონენი (“მაკლარენი”) +19.3
4. ჯენსონ ბატონი (“ჰონდა”) +19.9
5. ხუან პაბლო მონტოია (“მაკლარენი”) +37.0
6. მარკ უებერი (“უილიამსი”) +41.9
7. ნიკო როსბერგი (“უილიამსი”) +63.0
8. კრისტიან კლინი (“რედ ბულ რეისინგი”) +66.7
9. ფელიპე მასა (“ფერარი”) +69.9
10. დევიდ კულჰარდი (“რედ ბულ რეისინგი”) +75.5
11. ვიტანტონიო ლუცი (“ტორო როსო”) +85.9
12. ნიკ ჰაიდფელდი (“ზაუბერ-BMW”) +1 წრე
13. სკოტ სპიდი (“ტორო როსო”) +1
14. რალფ შუმახერი (“ტოიოტა”) +1
15. რუბენს ბარიკელო (“ჰონდა”) +1
16. იარნო ტრული (“ტოიოტა”) +1
17. ტიაგო მონტეირო (“მიდლენდ-ტოიოტა”) +2
18. ტაკუმა სატო (“სუპერ აგური-ჰონდა”) +4

რბოლას გამოეთიშნენ:
იუჯი იდე (“სუპერ აგური-ჰონდა”) +22
ჟაკ ვილნევი (“ზაუბერ-BMW”) +28 წრე
ჯანკარლო ფიზიკელა (“რენო”) +36
კრისტიან ალბერსი (“მიდლენდ-ტოიოტა”) +57

უსწრაფესი წრე:
ნიკო როსბერგი 1:32.406

ფეხბურთი

“ვიტ ჯორჯია” წინ მიიწევს

ბობოხიძე - იონანიძე 2:2

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-18 ტურმა ოქრო მედლებისთვის ბრძოლას კიდევ უფრო მეტი ინტრიგა შემატა. მოულოდნელი შედეგით დასრულდა მატჩი “ლოკომოტივის” სტადიონზე თბილისის “დინამოსა” და “ზესტაფონს” შორის. ახლა “დინამო” მდევრის როლშია და მე-18 ტურამდე ლიდერს, “ვიტ ჯორჯიას” 4 ქულით ჩამორჩებოდა. ვეტერინარები კარგ ფორმაში არიან და მატჩს მატჩზე იგებენ. გუშინწინდელ ტურშიც არცთუ ძლიერი მეტოქე ჰყავდათ ერთერთი აუტსაიდერის “კახეთის” სახით. სატურნირო პოზიციის შესანარჩუნებლად ჩერნიშოვის გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა. დინამოელთათვის სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს დასახული ამოცანის გადაჭრა და კონკურენტი კიდევ უფრო წინ გაუშვეს.

“დინამოს” და “ზესტაფონს” 15 დღეში სამჯერ უწევთ ერთმანეთთან შეხვედრა: ორი მატჩი დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეოთხედფინალური ეტაპის ეგიდით და ერთიც – ეროვნული ჩემპიონატის ფარგლებში. ამ სამ თამაშს დამატებითი დატვირთვაც ჰქონდა – პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე: რამდენად საფუძვლიანია “დინამოს” ამბიციები ჩემპიონატში ან თასის ტურნირში გამარჯვებაზე. უკვე ჩატარებულმა ორმა მატჩმა უარყოფითი პასუხი თუ არ გასცა, დიდი კითხვის ნიშანი დატოვა.

“დინამომ” პირველი მეოთხედფინალური მატჩი სტუმრად წააგო “ზესტაფონთან” და მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში (0:1) “დინამოს” განმეორებით შეხვედრაში დეფიციტის აღმოფხვრის შანსს უტოვებს, თამაშის ხარისხი ოპტიმიზმის ნაკლებ საფუძველს იძლევა.

თითქოს გუშინწინდელ მატჩში ვითარება უნდა გამოსწორებულიყო თუნდაც იმიტომ, რომ “დინამომ” კიდევ ერთი სოლიდური შევსება მიიღო ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრების, ამჟამად კანდიდატების – დარასელიასა და ბურდულის სახით, რომლებიც “ალანიადან” დაუბრუნდნენ “დინამოს”. მეორე წრის დაწყებამდე, სულ სამი კვირის წინ, “დინამო” სხვა ოთხი ფეხბურთელითაც გაძლიერდა (ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი კანდიდატი და “დინამოს” ყოფილი კაპიტანი გიორგი შაშიაშვილი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი ანზორ კალაძე და ორი ბრაზილიელი – ვიეირა და ამბროზიო). მაგრამ ეს ყველაფერი, გუნდში ახალი მწვრთნელის ანდრეი ჩერნიშოვის მოსვლის ჩათვლით, საკმარისი არ აღმოჩნდა თემურ მახარაძის გუნდის დასამარცხებლად. ის კი არა, “დინამო” სულ ბოლო წუთებზე გაექცა მარცხს და, თამაშის მიხედვით, ორი ქულა კი არ დაკარგა, არამედ გაუმართლა და ქულა მოიპოვა.

თუმცა, მატჩის დასაწყისი, რაც მასპინძელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა, “დინამოს” ცუდს არაფერს უქადდა. ჩერნიშოვის ბიჭებმა მე-18 წუთზე გახსნეს ანგარიში: ბობოხიძემ ისარგებლა სტუმართა დაცვის შეცდომით და მეკარე ჭანტურია უშანსოდ დატოვა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გატანილმა გოლმა დინამოელებზე ბანგვით იმოქმედა და ტაიმის დარჩენილი დრო “ზესტაფონი” აქტიურობდა. მართალია, მათ გრიშიკაშვილი დიდად არ შეუწუხებიათ, მაგრამ იმ თითო-ოროლა მომენტიდანაც კი, რომელიც სტუმრებმა შექმნეს, მაქსიმალური სარგებელი მიიღეს. 36-ე და 41-ე წუთებზე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა იონანიძემ ორჯერ დალაშქრა გრიშიკაშვილის კარი. განსაკუთრებით ლამაზი იყო მეორე გოლი, რომელიც მან ეგრეთ წოდებული “მაკრატელაობი” გაიტანა.

მეორე ტაიმი “დინამოს” გამოკვეთილი უპირატესობით წარიმართა. 63-ე წუთზე შეიქმნა სიტუაცია, რომელსაც თითქოს “დინამოს” სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტა მატჩის ბედი. ბურდულის მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან ხელით გამოიტანა ზესტაფონელთა მცველმა თოდუამ. მსაჯმა დანიშნა თერთმეტმეტრიანი და თოდუა მოედნიდან გააძევა. ამ წუთიდან მოყოლებული, მატჩის მთავარ გმირად სტუმართა კიპერი ჭანტურია იქცა. მან ჯერ ბობოხიძის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია, შემდეგ კი დინამოელთა მრავალრიცხოვანი შეტევებისთვის აუღებელ ზღუდედ იქცა.

და მაინც, “დინამომ” ქულის ხსნა შეძლო. 88-ე წუთზე დარასელიას მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ ცოცხალი კედლიდან ასხლეტილი ბურთი დასარტყმელ პოზიციაზე მყოფ ბობოხიძეს მიუვიდა, რომელმაც ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

“ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ უამრავ საგოლე მომენტს ვქმნით და მათ მცირე ნაწილს ვიყენებთ. საპირისპიროდ, მეტოქეები უმცირეს შანსს არ უშვებენ ხელიდან. მატჩში პირველი გოლი გავიტანეთ და თავს მოდუნების საშუალება მივეცით, რაც ყოვლად დაუშვებელია. მომავალში ეს შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ”, - თქვა პრესკონფერენციაზე “დინამოს” მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა.

ანალოგიური სცენარით წარიმართა მედლებისთვის მებრძოლთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენლის, ბოლნისის “სიონის” საშინაო დაპირისპირება ბათუმის “დინამოსთან”. ბათუმელები ორჯერ დაწინაურდნენ ქებაძისა და ჯიქიას გოლების წყალობით, მაგრამ ცხადაძის შეგირდებმა ორჯერვე შეძლეს თანაფარდობის აღდგენა. ქულის გადამრჩენი გოლი აქაც მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე გავიდა და ეს ხუციშვილმა გააკეთა. ბოლნისელთაგან პირველი გოლის ავტორი მიკუჩაძეა.

მდევართა წაფორხილებით კარგად ისარგებლა “ვიტ ჯორჯიამ”, რომელმაც “კახეთს” ერთი გოლი გაუტანა (დიღმელაშვილი, 14`, პენ.), მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა სამი ქულის მოსაპოვებლად და ლიდერის პოზიციის გასამყარებლად.

მე-18 ტური

ტორპედო – დილა	0:0
ცხინვალი – თბილისი	3:0
დინამო (თბ) – ზესტაფონი	2:2
ვიტ ჯორჯია – კახეთი	1:0
სიონი – დინამო (ბთ)	2:2
ამერი – ლოკომოტივი	4:1
ბორჯომი – დინამო (სხ)	3:0
სპარტაკი – კოლხეთი	0:0

სატურნირო მდგომარეობა

ვიტ ჯორჯია	18	14	3	1	37-10	45
სიონი	18	13	3	2	36-14	42
დინამო (თბ)	18	12	3	3	31-11	39
ამერი	18	11	2	5	24-12	35
ბორჯომი	18	11	1	5	32-16	34
ზესტაფონი	18	10	4	4	23-14	34
ლოკომოტივი	18	10	3	5	29-17	33
დინამო (ბთ)	18	8	5	5	21-14	29
კოლხეთი	18	7	3	8	16-20	24
კახეთი	18	6	1	11	18-27	19
ცხინვალი	18	5	3	10	17-33	18
დილა	18	5	2	11	21-26	17
ტორპედო	18	4	5	9	14-24	17
დინამო (სხ)	18	3	1	14	17-44	10
სპარტაკი	18	2	3	13	4-33	9
თბილისი	18	1	2	15	12-37	5

განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1.

აცხადებს ტენდერს თხევადი აირის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

2. მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის 10 აპრილიდან წლის ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 22 მარტის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის :

-ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადოდან და სასამართლოდან)

- ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის სახელი გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას ქმედითუნარიანობს შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან) .

- ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის სახელი გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

- ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს

გაკოტრების ან სანაციის საქმე.

- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას

თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ

ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის

შემდეგ ანგარიშზე სახალხო ბანკის ხულოს ფილიალი 300724040

2006 წლის 28 მარტს შემდეგ მისამართზე: ხულოს რაიონის გამგეობა, დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5 კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი

პირებისაგან ემზარ აბულაძე, თემური მახარაძე.

მისამართზე: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1. 1 სართული, მე-5

კაბინეტი. (ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური).).

ტელ: 893-36-68-12, 893-99-37-34, 888238 7-00-22.

სატენდერო კომისია

ტელეკრიტიკა

„თავისუფალი თემის“ „ობიექტური“ ანალიზი

ნინია კაკაბაძე

უკანასკნელმა ფაქტებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ ანბანურ ჭეშმარიტებაში, რომ მედია ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავთვალოთ მედიატორად. მისი ვალია ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ეს ყველასთვის ცხადი გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება სიტყვა “ობიექტურის” განმარტება, რომელიც ქართული მედიის ძირითად ნაწილს თავისებურად ესმის. მაგრამ ამაზე მოგვინებით. ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში უკვე ვისაუბრე იმის შესახებ, თუ რა რეზონანსი მოჰყვა გადაცემა „დროებაში“ გასულ სიუჟეტს სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით. საზოგადოება ხმამაღლა ალაპარაკდა ამ საკითხზე და ერთი-ორი კომენტარი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც გვაღირსეს. მას შემდეგ, რაც გირგვლიანის მკვლელობის ფაქტმა პოლიტიკური იერიც მიიღო (თუმცა ამ საკითხზეც შეიძლება კამათი), დანარჩენი ტელეარხები და მათი საინფორმაციო გამოშვებები დღემდე აგრძელებენ ამ თემაზე საუბარს. მაგალითად, ერთადერთი ტოქშოუს ამარა დარჩენილი საზოგადოება ეკა ხოფერიას „თავისუფალ თემაშიც“ ისმენს საჯარო დისკუსიას ამ თემაზე. ლიდერობის მანიით შეპყრობილ ტელეარხს (ამ მანიას ობიექტური მიზეზები აქვს; რასაკვირველია, წლების განმავლობაში ის ერთადერთი ლიდერი იყო თავისუფალი სიტყვის გამოვლინების საკითხში) დღეს უჭირს ამ სტატუსის შენარჩუნება და ამიტომ სხვა ტელეარხის მიერ გახმაურებულ ისტორიას საკუთარ ეთერში ამ სახით წარმოგვიდგენს: „პირველი საჯარო დისკუსია“ თემაზე მკვლელობა ოქროყანის ტყეში. აქ რამდენიმე პარადოქსს ვაწყდებით. რასაკვირველია, პირველი საჯარო დისკუსიაა, რადგან დისკუსიისთვის მხოლოდ ერთი ბუდე გვაქვს და სხვა ექსპრომტად ხომ ვერ გამართავდა ამგვარ სჯა-ბაასს. გადაცემა „რეაქცია“, რომელიც მისი ერთადერთი ადეკვატი და კონკურენტია, უკვე ორი თვეა ეთერში არ გადის. ასე რომ, ცხადია, ჩვენ ამ საკითხზე პირველად ვკამათობთ საჯაროდ. მაგრამ “ჩვენ” ანუ „რუსთავი 2“, სამწუხაროდ, არ ვართ პირველი, ვინც ამ საკითხზე ღიად და დაუფარავად დაიწყო საუბარი. ახლა კი დავაკვირდეთ, როგორ ვკამათობთ.

გადაცემაში სულ სამი ბლოკია და მისი იდეოლოგიური დრამატურგია ისევეა აგებული, როგორც საინფორმაციო სიუჟეტები. ამაზეც ბევრჯერ გაგვიმახვილებია ყურადღება: ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა ყოველთვის დარბაისელი მინისტრის ან მაღალჩინოსნის დამაჯერებელი რეპლიკით მთავრდება. აქაც მსგავსი სიტუაციაა: პირველ ბლოკში ოპოზიციური პარტიების ძლიერი ლიდერები (ყველაფერი შედარებითია ამქვეყნად), მეორე ბლოკში უმრავლესობის ასევე ძლიერი წარმომადგენლები და მესამე ბლოკი - ყველაზე საინტერესო. როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის მხარდამჭერი თუ თანამოაზრე მაყურებლები ეთერში თინა ხიდაშელსა და გიგა ბოკერიას ელიან. რასაკვირველია, ამ ღირსეულ პაექრობაში რომელიმე მათგანის დემაგოგია გაცილებით ადვილი დასამარცხებელი იქნებოდა, ვიდრე წარმოდგენილ სურათში. მაგრამ ჩვენ თვალწინ არიან არა ბოკერია და ხიდაშელი, არამედ ბოკერია და დავით ზურაბიშვილი, რომლის რეიტინგი გაცილებით დაბალია, ვიდრე ხიდაშელის. ბოკერია კი ორივე მხარის მიერ (მაყურებელს ვგულისხმობ) ერთხმად აღიარებული შეუდარებელი ორატორია მსგავს საჯარო დისკუსიებში. მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, რომ ეს დუეტი ჩვენ უკანასკნელ „თავისუფალ თემაში“ ვერ ვიხილეთ. პირველი ის გახლავთ, რომ ბოკერია უარს აცხადებს ხიდაშელთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღებაზე. უარს აცხადებს ალბათ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, რომელთაც ახლა არ განვმარტავთ. ობიექტური მიზეზი ის არის, რომ ირღვევა ბალანსი. პარლამენტის წევრი არ უნდა კამათობდეს რიგითი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთან ღია ეთერში – ეს მისი სტატუსის შელახვაა. ასე რომ, ბოკერიას ძირითადად მასზე ნაკლებად „მოლაპარაკე“ ოპონენტებთან ვხედავთ. მაგრამ ეს იმდენად მედიის პრობლემა არ არის, რამდენადაც თავად უმრავლესობის ლიდერის გიგა ბოკერიასი. თუმცა დავუბრუნდეთ „თავისუფალ თემას“. თუ ორივე ბლოკში აშკარა ლიდერი პოზიციიდან და ოპოზიციიდან გამოკვეთილია – ხიდაშელი და ბოკერია, მეორე ადგილს კი არველაძე და ზურაბიშვილი ინაწილებენ, თუ ჩვენი მიზანია ობიექტუროობა, რატომ არ ვსვამთ ამ ორ პოლიტიკურ ფიგურას ერთად და არ ვისმენთ მათ კამათს. სწორედ ეს გახლავთ იდეოლოგიური დრამატურგიის უკვე ბანალობად ქცეული კულმინაცია – ბოლო სიტყვა „დარბაისელ მინისტრს“, რომელიც დამაჯერებელი და აუღელვებელი ტონით იცავს „დიადი პარტიის“ ღირსებებს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ქართული ტოქშოუები ჯერ კიდევ კრივის რინგის არსს ატარებს, რინგზე გამარჯვებული კვლავ ძლიერია, უმრავლესობის სახით.

კიდევ ერთი პატარა დაკვირვება და სავარაუდო შენიშვნა. ერთ-ერთ პუბლიკაციაში ისიც აღვნიშნე, რომ ინტერაქტიული გამოკითხვები ტოქშოუებიდან მოხსნილია. მაგრამ ჯერ კიდევ რჩება SMS-ები, რომელიც მორბენალი სტრიქონის სახით გადის ეკრანზე. ეს ის თემაა (ვგულისხმობ გირგვლიანის მკვლელობის საკითხს), როცა ინტერაქტიული გამოკითხვა საჭირო არ არის – ისედაც გასაგებია, რომ ხელისუფლების მიმართ წყრომა უფრო მეტია, ვიდრე მხარდაჭერა. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტი და შემდეგ მაღალჩინოსნების მხრიდან ვანო მერაბიშვილის უფლებების დაცვის შინაარსიანი კომენტარები, აშკარად ნეგატიურად აისახა უმრავლესობის რეიტინგზე. პატარა მაგალითი: ჩემს ნაცნობებს შორის დღემდე ერთგული მხარდამჭერებიც კი ვერ მალავდნენ გაღიზიანებას. აქედან გამომდინარე, თვალსაცემი იყო მორბენალ სტრიქონში უამრავი დითირამბი მთავრობაზე. ამიტომ პატარა ექსპერიმენტი ჩავატარე. ერთდროულად სხვადასხვა ტელეფონიდან გავგზავნე ხელისუფლებისთვის კრიტიკული და მხარდამჭერი SMS-ები. ცოტა ხანში, თუმცა არც ისე სწრაფად, ეკრანზე მხოლოდ მხარდამჭერი შეტყობინება გავიდა და გადაცემის ბოლომდე არ გამოჩენილა მეორე, ანუ კრიტიკული. ამ ფაქტს აშკარა მტკიცებულებად ვერ გამოვიყენებთ, მაგრამ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი – როგორც ჩანს, შემოსულ ტექსტურ შეტყობინებებშიც ვცდილობთ მკაცრად დავიცვათ ბალანსი, მხოლოდ არა გენდერული. ეს, როგორც შევიტყვე, მოახერხა ჩილეს ახალმა პრეზიდენტმა, რომელმაც მინისტრთა კაბინეტი 10 მამაკაცისა და 10 ქალბატონისგან დააკომპლექტა. მაგრამ ამ საკითხს დღეს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ის არის, რომ, როგორც პუბლიკაციის დასაწყისში მოგახსენეთ, ქართული მედიის წარმომადგენლებს თავისებურად ესმით როგორც სიტყვა “ობიექტურობა”, ისე სიტყვა “ბალანსი”. ბალანსი დარღვეულია, მაგალითად მაშინ, თუ საფეხბურთო მატჩში ერთამენთს შეხვდებიან წნორის „მილანი“ და მილანის „მილანი“. ობიექტური კი განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი – მიუდგომელი, მიუკერძოებელი. დღევანდელ ტოქშოუებსა და საინფორმაციო გამოშვებებში ობიექტურობა მხოლოდ მოჩვენებითია. რაკი ჩვენი სტატიის მთავარი თემა „მთავარი თემაა“, ამ ბრალდების წასაყენებლად რამდენიმე არგუმენტი გვაქვს. პირველი ის, რაზეც ასე ვრცლად ვისაუბრეთ. დასკვნითი სიტყვა ძლიერს და მეორე: დაკვირვებული მაყურებელი აუცილებლად შენიშნავს წამყვანის ჩადგმულ რეპლიკებს; რამდენჯერ აწყვეტინებს ის საუბარს მაგალითად თინა ხიდაშელს და რამდენჯერ შეაწყვეტინა ბოკერიას, რომელმაც არცთუ ისე მოკლედ და ლაკონიურად ჩამოაყალიბა საკუთარი თვალსაზრისი. რამდენად კარგი და გამოცდილი ორატორებიც არ უნდა ვიყოთ, როდესაც სიტყვას და მასთან ერთად აზრს გვაწყვეტინებენ, ძნელია ძველი პათოსით და დამაჯერებლობით გავაგრძელოთ საუბარი. ამგვარი ჩარევა, როდესაც ადვილია დავინახოთ წამყვანის პოზიცია და შემართება, დამეთანხმებით, ობიექტურობა არ არის. მაგრამ აქაც შეგვიძლია დავსვათ ერთი ზოგადი კითხვა: როგორი უნდა იყოს ტოქშოუს წამყვანი? პირველი ოფიციალური ვერსია და პასუხი ასეთია: ის მხოლოდ შუამავალია, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს ორივე მხარეს და მათ პოზიციებს, თავად კი არ ერევა იმგვარი რეპლიკებით, რომელიც მის პოზიციას გამოხატავს. ამ შემთხვევაში წამყვანს პრაქტიკულად დიქტორის ანუ მოძრავი და მოლაპარაკე თოჯინის როლი აქვს გასასახიერებელი, რაც დაყენებულ მიმიკებსა და მომზადებულ კითხვებში გამოიხატება. მედიის კანონები იესო ქრისტეს არ დაუწერია და მისი დარღვევა ყოველთის შეიძლება. თუ ჩვენ გვიცხადებენ ტოქშოუს სახელწოდებას და მას მოჰყვება ფრაზა: მავანის საავტორო პროგრამა, ამ შემთხვევაში წამყვანი შოუს ავტორიც არის. მაშინ, როგორც რიგითი მაყურებელი, მივესალმები იმ ფაქტს, რომ წარმოდგენა შემექმნას მის დამოკიდებულებაზე ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ეს არ ნიშნავს, რომ წამყვანი უნდა იყოს მიკერძოებული, რომ მხოლოდ მისი, როგორც დამოუკიდებელი მოქალაქის პოზიციაა საინტერესო, რომელიც მოვლენების ანალიზსა და შეფასებაში გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში წამყვანი შოუს ერთ-ერთი მონაწილე ხდება და არა მიკერძოებული და ფსევდოობიექტური მოთამაშე.

ამიტომ გაცილებით საინტერესოა ტოქშოუს (და არა საინფორმაციო გადაცემის) წამყვანის მიღმა ვხედავდეთ სუბიექტს, როგორც ადამიანს, საკუთარი პოზიციით და არა სხვის მიერ მანიპულირებად ობიექტს. შევეგუოთ და მივიღოთ ის აზრი, რომ ობიექტურობა, ამ სიტყვის ქართული გაგებით, არ არსებობს იმგვარ საკითხებში, რომელზეც, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ვკამათობთ. შესაძლოა, ვიყოთ მიუკერძოებლები, მაგრამ ვიყოთ სუბიექტურები.

ხატვა ფოტოთი

მზევინარ ხუციშვილი

“შენ ხატავ ფოტოთი“... აღფრთოვანებული ხელოვნებათმცოდნეები 10 მარტს გალერეა TMS-ში ამ სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებდნენ. ისინი მინდია მიდელაშვილის შემოქმედებას აფასებდნენ. პროფესიით დიზაინერის ფოტოობიექტივში მოხვდა ყველაფერი, რაც რეალურ სამყაროში არსებობს: ადამიანები, ბუნება, ცხოველები, რომლებიც მაღალმხატვრულობით და ესთეტიკურობით გამოირჩევა. ეს არის სილამაზის შეგრძნება, შერწყმა სამყაროსთან, რადგან ძალიან ძნელია სილამაზე დაინახო ყველაფერში. თუმცა, როგორც შემოქმედი ამბობს: “ეს ჩემი შინაგანი სამყაროა, რითაც ცხოვრებას ვილამაზებ”...

ძირითადად სტუდიურ ფოტოებზე განსაკუთრებულ ეფექტს ახდენენ სხვადასხვა რაკურსში გადაღებული ქართველი ქალები.

“ვფიქრობ, ქართველ ქალს შინაგანი სილამაზე დაკარგული აქვს. მინდოდა ამ ფოტოებით მათი სულიერება გადმომეცა. მინდოდა მიუხნენში გადამეღო ფოტოები, მაგრამ ქართველი ქალის სილამაზე სულ სხვაა...”

მინდია მიდელაშვილის პირველი გამოფენა 2004 წელს მოეწყო მიუნხენში. საქართველოში ეს მისი პირველი პერსონალური გამოფენაა, რომელიც 16 მარტამდე გაგრძელდება.

გამოფენა ხალხმრავლობით გამოირჩევა, რამაც თვითონ შემოქმედიც გააოცა. ნაცნობი და უცნობი სახეები ყურადღებით და სიამოვნებით ათვალიერებდნენ მის შემოქმედებას. უახლოეს მომავალში ფოტოხელოვანი ახალ ნამუშევრებს შესთავაზებს საზოგადოებას.

აფიშა

13 მარტი

თეატრი
“ვერიკო”
“ჩემი ბალაკტიონი”
დასაწყისი: 18 საათი

კინო
“ამირანი”
“სიყვარული დიდ ქალაქში”
დასაწყისი: 14.00;18.00;20.00;22.00;

“რუსთაველი”
“ოპერაცია წითელქუდა”
დასაწყისი: 12.00-18.00
“შეჯახება”
დასაწყისი: 20.00-22.00

“ახმეტელი”
“ოპერაცია წითელქუდა”
დასაწყისი: 12.00-22.00

გალერეა
“ჰობი”
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

“კოპალა”
ტექსტილის გამოფენა

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

I ობიექტი მარნეულის რაიონში, რუსთავის თიხიანი თაბაშირის (გაჯის) მოპოვება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	19 491 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 3 898 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა	50 000 ტ
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	15 წელი

II ობიექტი ზუგდიდი რაიონში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	4 382 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 876 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა	70 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი

III ობიექტი მარნეულის რაიონში, საფ. ქესალოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი	13 770 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2754 ლარი
ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა	220 000 მ³
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი

აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება 13 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდეს ა/წ 12 აპრილს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს შემოტანის ქვითარი	"ბე"-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მენარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი.
თანხის გადახდის პირობები I და III ობიექტისთვის.	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 6 თვე, რომელიც თავის მხრივ იყოფა 2 ეტაპად თანხის პროპორციული გადახდით (პირველი ეტაპი ოქმის გაფორმებიდან პირველი 3 თვის განმავლობაში, ხოლო მე-2 ეტაპი ბოლო სამი თვის განმავლობაში). ზემო აღნიშნული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
თანხის გადახდის პირობები II ობიექტისთვის	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
სალიცენზიო პირობები	წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ" და "წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები.
აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს	
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები	გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ციტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

ვაქვეყნებთ 2006 წლის 20 თებერვალს რესპუბლიკური პარტიის კონფერენციაზე განხილულ დოკუმენტებს, რომლებშიც მოცემულია ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების ჩვენეული ანალიზი და რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური დოქტრინის პრინციპები

1. "ვარდების რევოლუციიდან" ნეობოლშევიზმისკენ (პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური არჩევანი)

ორი წლის წინ, "ვარდების რევოლუციიდან" ორი თვის თავზე, 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის დარღვევით მიღებული კონსტიტუციური ცვლილებებით პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი დაადგნენ გზას, რომელმაც ქვეყანა მორიგი სოციალური ექსპერიმენტისათვის გაწირა. ჩვენ, რესპუბლიკელებს, მრავალ სხვა თანამოქალაქესთან ერთად, გვესმოდა ამ საბედისწერო ნაბიჯის მოსალოდნელი შედეგები და შევეცადეთ წინ აღვდგომოდით მას. მაგრამ ეს ვერ შევძელით არაერთი მიზეზის, მათ შორის ქვეყნის ზოგი ადგილობრივი და უცნოელი გულშემატკივრის მიერ გამოჩენილი უპრინციპობისა და მიმნებებლობის გამო. მაშინდელი მარცხით და "ვარდების რევოლუციაში" მონაწილეობით გაზრდილი ჩვენი პოლიტიკური პასუხისმგებლობა გვავალდებულებს საზოგადოებას გავაცნოთ როგორც ხელისუფლების პოლიტიკური კურსის ნამდვილი არსი და შედეგები, ისე ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის საკუთარი პოლიტიკური დოქტრინა. იმედია, ეს დოკუმენტი ყველას კიდევ ერთხელ ჩააფიქრებს იმაზე, თუ რა შედეგები მოაქვს პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით ღირებულებებითა და სტანდარტებით მანიპულირებას და კომპრომისების დაშვებას იქ, სადაც კომპრომისი, უკეთეს შემთხვევაში, მოყვარისთვის გაწეული დათვური სამსახურია. და ბოლოს, ამ ტექსტის კითხვით დროის დაკარგვას არ ვურჩევთ იმათ, ვინც დემოკრატიას და ქართველობას შეუთავსებელ ცნებებად თვლის ან ვისაც სჯერა, რომ სახელმწიფო შენდება, როცა ხელისუფლება ლეგიტიმურ მიზნებს აღწევს "პროცედურული დემოკრატიის" უგულებელყოფით.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ქვემოთ განხილული პოლიტიკური კურსის არჩევით ვარდების რევოლუციის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური და ემოციური პოტენციალის უდიდესი ნაწილი გაფლანგა გამარჯვებით ტკბობაში, პირად ანაგარიშების გასწორებაში, უპრინციპო და არაკვალიფიციური კადრების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანასა და საკუთარი სახელისუფლებო კვლავწარმოებისათვის (ძალაუფლების შენარჩუნებისთვის) საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ფინანსური გარანტიების შექმნაში.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა სამართავად ჩაიბარა გაპარტახებული ქვეყანა და არშემდგარი სახელმწიფო. შესაბამისად, ორი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო სწრაფი წარმატების მიღწევა ყველა მიმართულებით. მაგრამ შესაძლებელი და აუცილებელი იყო ყველა მიმართულებით "ვარდების რევოლუციის" სულისკვეთების შესაბამისი მკაფიო ორიენტირების დასახვა და ამ ორიენტირებისკენ ქვეყნის თანმიმდევრულად წამყვანი სახელმწიფო მართვის სისტემის შექმნა.

სამწუხაროდ, დღეს უკვე აშკარაა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ქართული თუ საერთაშორისო საზოგადოების უპრეცენდენტო ნდობით შექმნილი სასათბურე პირობების მიუხედავად, ვერ შეძლო ქვეყნის ეფექტიანი მართვის უნარის მქონე სტაბილური სახელისუფლებო სისტემის კონტურების ჩამოყალიბებაც კი. მან და მისმა გუნდმა დაადასტურეს, რომ ძალუძთ ერთჯერადი, ფრაგმენტული ღონისძიებების დაგეგმვა და წარმატებით ჩატარება, მაგრამ არ ძალუძთ კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი და ამ პოლიტიკის თანმიმდევრულად განმხორციელებელი ინსტიტუტების ამოქმედება. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს მიერ მობილიზებული ფინანსური რესურსების უდიდესი ნაწილიც უაზროდ იფლანგება და ვერც კერძო სექტორი ვითარდება.

ხელისუფლებას აქვს ცალკეული წარმატებები უკავშირდება მხოლოდ რამდენიმე "მარიფათიანი" თანამდებობის პირის პერსონალურ მონდომებას, ამ წარმატებათა უმრავლესობა არის უკიდურესად არამდგრადი და ისინი მიღწეულია უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი სხვადასხვა მასშტაბის კანონდარღვევებით. სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ე.წ "ავტორიტარული მოდერნიზაციის" და/ან "განათლებული დიქტატურის" რეჟიმში მუშაობაც კი, ანუ სახელმწიფო მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც რაღაც (ჩვენთვის საწყისშივე მიუღებელი) მოტივით "დროებით" უშვებს დემოკრატიის საკანონმდებლო შეზღუდვას, მაგრამ აღწევს ეკონომიკურ ან სამხედრო წარმატებას ამ ნახევრად დემოკრატიული კანონების დიქტატურის პირობებში (ანუ წარმატება მიიღწევა დემოკრატიის ხარჯზე, მაგრამ სახელმწიფოს ძლიერების პირობით).

სააკაშვილი და მისი გუნდი თავს არ იწუხებენ თავიანთი ნების სათანადო ფორმალური გაფორმებითაც კი (ნების შინაარსზე რომ აღარაფერი ითქვას). ანუ ისინი ვერ აშენებენ ვერანაირ სახელმწიფოს - ვერც დემოკრატიულს და ვერც ავტორიტარულს. ისინი, ერთის მხრივ, ებრძვიან ძალაუფლებაზე სახელმწიფოს მონოპოლიის არმცნობ სისტემებს და ინსტიტუტებს (სეპარატისტული მთავრობები, "კანონიერი ქურდები") და, მეორე მხრივ, თავადვე შექმნეს კონსტიტუციური ჩარჩოებიდან ამოვარდნილი საძალაუფლებო სისტემა, რომელიც მოქმედებს სააკაშვილის მიერ კანონზე მაღლა მდგომის სტატუსმინიჭებული "მარიფათიანი ბიჭების" (ოქრუაშვილების, მერაბიშვილების, ახალაიების, ბოკერიების, უგულავების, კეზერაშვილების, კოდუების, ქარელების, ბექაურების და სხვ.) მეშვეობით.

ამდენად, სააკაშვილი და მისი გუნდი გაიხლართა თავისსავე დაგებულ მახეში - მათ დაუგროვდათ საზოგადოებისაგან დასამალი ძალიან ბევრი ისეთი რამ, რისთვისაც სხვები ხელისუფლებას ჩამოაშორეს, "განაკუნაკეს" და ციხეებში ჩასვეს. ამიტომ მათთვის (მათ შორის იმათთვისაც, ვისაც სამშობლოსთვის დამაშვრალის და ქვეყნისათვის აუცილებელი "შავი" სამუშაოს შემსრულებლის მანტია აქვს მოსხმული საკუთარ სინდისთან სალაპარაკოდ) დემოკრატია და კანონის უზენაესობა არ არის "დროებით ხელისშემშლელი" ფაქტორი. მათთვის სამუდამოდ და პრინციპულად დაუშვებელია ჭეშმარიტი სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო, სამართლიანი არჩევნები, თვითმმართველობა, საპარლამენტო კონტროლი და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტები. მათთვის მისაღებია დემოკრატია იმ დოზით და იმ ფორმით, რომელიც პრეზიდენტსა და მის რამდენიმე ფავორიტს ხელს არ შეუშლის ყველა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტაში.

ჩვენთვის აშკარაა ისიც, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს და მის სახელისუფლებო გუნდს პრაქტიკულად ამოწურული აქვს არა მხოლოდ დემოკრატიის განვითარების, არამედ ზოგადად ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის პოტენციალიც. ამოწურულია საჭირო, მაგრამ არაპოპულარული რეფორმებისათვის აუცილებელი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის სარეზერვო (50%-ზე მეტი) რესურსი. სახელმწიფო ხარჯების ზრდის დინამიკას მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათი დაფარვის წყაროების გაჩენის დინამიკა. მინიმუმამდეა დასული მმართველი გუნდის საკადრო რესურსიც. შედეგად, ხელისუფლება უახლოვდება პოლიტიკური გაკოტრების ზღვარს და დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ წნეხით განპირობებული მისი გაუაზრებელი, სპონტანური, არაკვალიფიციური და არაადეკვატური პოლიტიკა უფრო თვალსაჩინოს გახდის არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისებს. ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა ამგვარი ლოკალური კრიზისების მოგვარების მცდელობისას კიდევ უფრო გააღრმავებს მათ. არც ისაა გამორიცხული, რომ მომრავლებული მცირე კრიზისების გადასასფარად თავად ხელისუფლებამ (წინა ხელისუფლებაში ყოფნისას მიღებული გამოცდილებით) მოახდინოს ფართომასშტაბიანი "მართვადი" კრიზისების პროვოცირება.

ამ ფონზე 2006 წლის განმავლობაში მართვადი და უმართავი მწვავე კრიზისების მაპროვოცირებელ ძირითად რისკფაქტორებად იკვეთება:

- უმუშევრობა, ფასების ზრდა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების კლება;
- კონფლიქტის ესკალაცია ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში;
- შიდასახელისუფლებო კონფლიქტი გავლენის სფეროების გადანაწილებლად;
- დაძაბულობის ზრდა გალის რაიონში;
- მართლმსაჯულების სისტემის პარალიზებითა და სამართალდამცავ ორგანოებში განუკითხაობით დამკვიდრებული უსამართლობა;
- არაკვალიფიციური და ავანტურისტული საგარეო პოლიტიკა;
- არასამართლიანი ადგილობრივი არჩევნები;
- სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების დაუბალანსებლობა.

უკეთეს შემთხვევაში, ხელისუფლება მოახერხებს მორიგი პომპეზური და გაუმართლებლად ძვირადღირებული ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებას და ამით შეეცდება მრავალი სხვა ჩავარდნის პროპაგანდისტულ გადაფარვას. შესაძლოა იგივე როლი შეასრულოს ხელისაყრელი გეოპოლიტიკური ვითარების შექმნით გამოწვეულმა წარმატებამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ან საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში ინტეგრირების მიმართულებით. მოვლენათა განვითარების ამ ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი დემოკრატიულ ინსტიტუტებს განვითარება ნაკლებად უწერიათ, ვინაიდან შესაძლო წარმატების მომტანად კვლავაც მიიჩნევა არა დემოკრატია, არამედ პოლიტიკური ლიდერის და მისი ფავორიტების ნებელობითი აქტები.

1. ხელისუფლების კონცენტრაცია და უზურპაცია ხელისუფლების დანაწილებისა და დაბალანსების ნაცვლად

პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებისას უმთავრეს ამოცანად გამოიკვეთა ისეთი ინსტიტუციური ოაზისების არდაშვება, რომელზეც პრეზიდენტს არ ექნებოდა უშუალო და პირდაპირი ზემოქმედების ბერკეტები. ამ ამოცანის შესასრულებლად სხვადასხვა ხერხით მოხდა იმ პოტენციური სახელისუფლებო პოლიტიკური ცენტრების დასუსტება/ნეიტრალიზება, საიდანაც შესაძლოა პრეზიდენტს ერთპიროვნულ მმართველობაში შემცილებლები გაჩენოდა. კონსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე ძალაუფლების უკიდურესი კონცენტრაცია მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი და პრეზიდენტის და მისი გარემოცვის მიერ განხორციელდა სხვა ინსტიტუტების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა დე ფაქტო მითვისება, ანუ ხელისუფლების უზურპაცია. არსებითად, ქვეყანაში ხელისუფლების სამი შტო შერწყმულია და გვაქვს მხოლოდ ერთი - პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლება.

სახელისუფლებო პოლიტიკური ცენტრების დასუსტების მიზნებს ემსახურებოდა კონსტიტუციური ცვლილებებით პარლამენტის როლის დაკნინება; აჭარაში რეგიონული ავტონომიური თვითმმართველობის ნაცვლად ცენტრალიზებულ-ნომენკლატურული მმართველობის შემოღება; თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების არდაშვება; ქალაქების და სოფლების, როგორც თვითმმართველი ერთეულების გაუქმება; თვითმმართველობის დასუსტების მიზნით მოგების გადასახადის "გადაბარგება" ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრალურში; ადგილობრივი თვითმმართველობის სრული დაქვემდებარება ცენტრალური ხელისუფლებისთვის და დეცენტრალიზაციაზე (ნონ-ცენტრალიზმზე) უარის თქმა. ხელისუფლების უზურპაციის ნიმუშებია ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში მერების არჩევნების არგამართვა კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ; სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მიერ; უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების კონსტიტუციის საწინააღმდეგო გაერთიანება; უკანონო გზებით თანხების აკუმულირება სხვადასხვა ფონდებში და ამ ფონდებიდან სახელმწიფო, პარტიული და პირადი საჭიროებების უკანონო დაფინანსება; საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ჯერ უკანონოდ, ხოლო შემდეგ გაუკუღმართებული ფორმით გამოყენება პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის; სასამართლო ხელისუფლების დე ფაქტო დაქვემდებარება გენერალური პროკურორისა და პარლამენტის რამდენიმე წევრისათვის; პარლამენტის წევრების იმავდროულად აღმასრულებელ ხელისუფლებაში არაფორმალური დასაქმება; არაუფლებამოსილი პირების მიერ გაცემული ზეპირი მითითებებით მმართველობის განხორციელება.

2. სახელმწიფო ინსტიტუტების გამოყენება სახელმწიფო ინსტიტუტების მართვის ნაცვლად

საქართველოში კვლავ ძლიერდება საბჭოურ-კომუნისტური მმართველობის უმთავრესი მახასიათებელი - მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების დაქვემდებარება, ანუ სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების ფაქტობრივი შერწყმა. 2004 წლის თებერვლის ცვლილებებით პრეზიდენტმა მოიპოვა კონსტიტუციური უფლება, იმავდროულად იყოს პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რაც თავისთავად არ არის მიუღებელი მოდელი თუ არა კომუნისტური და პოსტკომუნისტური საქართველოს სავალალო ტრადიციები. შესაბამისად, პრეზიდენტი ვერ გახდა ქვეყნის პრეზიდენტი; იგი დარჩა თავისი პარტიის უწყვეტი საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელად. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო პარტია-სახელმწიფოს შორის ურთიერთმიმართების ისეთი მოდელის ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც მმართველი პარტიის წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო ინსტიტუტები საჯარო ინტერესების შესაბამისად კი არ იმართებიან, არამედ ეს ინსტიტუტები ემსახურებიან მმართველი პარტიის ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს. შედეგად მმართველი პარტია კვლავ (წინამორბედების მსგავსად) აღიჭურვა სახელმწიფო ძალაუფლებით, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტები კვლავ გადავიდნენ პოლიტკომისრების დაქვემდებარებაში.

2005 წლის 1 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში (ისევე, როგორც 2004 წელს ჩატარებულ არჩევნებში) სახელმწიფო ინსტიტუტები, მათი ხელმძღვანელები და შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები კვლავაც იყო მობილიზებული მმართველი პარტიის კანდიდატების მხარდასაჭერად (თბილისის საკრებულომ საბიუჯეტო ცვლილებებით მილიონობით ლარი დაუმატა ისნის რაიონს, რათა საქალაქო სამსახურებს პირნათლად შეესრულებინათ სამთავრობო კანდიდატის მიერ ამომრჩევლისთვის მიცემული კონკრეტული საყოფაცხოვრებო დაპირებები); სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და კეთილმოწყობის პროგრამებისათვის გათვალისწინებული სახსრების უდიდესი ნაწილი პარტიული პროპაგანდისთვის გამოიყენება; მმართველი პარტიის აქტივისტები უშუალოდ არაფორმალურად ხელმძღვანელობენ საჯარო დაწესებულებების მიერ სოციალურად დაუცველი ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ კამპანიებს და ამას ასაღებენ პარტიის მიერ გაწეულ დახმარებად; ანალოგიურ სურათს ვხედავთ, როდესაც სოციალურად დაუცველი ფენებისათვის კერძო ბიზნესის მიერ მობილიზებულ საკვებ პროდუქტს ნაციონალური მოძრაობის მაყორიტარი დეპუტატები ურიგებენ მოსახლეობას (თან პრეზიდენტი ხალხს ეუბნება "სადაა ოპოზიცია, მან რა გაგიკეთათო"); საქართველოს მთავრობა უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ნაციონალური მოძრაობის საპროპაგანდოდ შექმნილ "საქველმოქმედო" ფონდს; შინაგან საქმეთა ორგანოები, პროკურატურის მფარველობითა და მათდამი დაქვემდებარებული სპეცსამსახურების მეშვეობით, მობილიზებულნი არიან მმართველი დაჯგუფების პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და კონკურენტი პოლიტიკური ჯგუფებისა და "ნერვების მომშლელი" პირების გასანეიტრალებლად (მაგალითად, თავდასხმა პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე).

3. რევოლუციური მიზანშეწონილობა კანონის უზენაესობის ნაცვლად

"ლეგიტიმური მიზნებისა" და "რევოლუციური მიზანშეწონილობის" პრიმატი "პროცედურულ დემოკრატიაზე" სახელმწიფო მმართველობის საყრდენ პრინციპად იქცა, ანუ რევოლუციური გამონაკლისი ცხოვრების წესად გამოცხადდა. შესაბამისად, პრეზიდენტის ნდობითა და სახელმწიფო ხელისუფლებით აღჭურვილი ამა თუ იმ თანამდებობის პირისათვის სრულიად უმნიშვნელოა მისთვის კონსტიტუციით და კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლები და ამ კომპეტენციის განხორციელების წესები და წინაპირობები - მნიშვნელოვანია მხოლოდ პრეზიდენტი-რევოლუციის ბელადის რეაქცია განხორციელებული ქმედების იმწუთიერ შედეგზე. შესაბამისად, საჯარო მმართველობა ყველა დონეზე ხორციელდება პრეზიდენტის საჯარო გამოსვლებისას გამოცხადებული ლოზუნგების შესაბამისად და მის წინაშე თავის მოსაწონებლად.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ადმინისტრაციას ისე ავალებენ შენობის დაცლას და თბილისის მერი ისე აცხადებს, "გადაწყვეტილება არ შეიცვლება", რომ ამგვარი გადაწყვეტილება არც კი ყოფილა ოფიციალურად ვინმეს მიერ მიღებული; პრეზიდენტის ზეპირი მითითებით ანგრევენ ბენზინგასამართ სადგურს; პრეზიდენტის რწმუნებულის მითითებით საწარმოს უწყვეტენ გაზის მიწოდებას; პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ამოღებულ გადასახადს ვერც ერთი მეწარმე ვერ დაიბრუნებს უკან, მიუხედავად იმისა, თუ რას გადაწყვეტს სასამართლო; იუსტიციის საბჭოს წევრი სახელმძღვანელო მითითებებს აძლევს მოსამართლეებს; პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი დამნაშავეთა ადგილზე ლიკვიდაციის ლოზუნგით გამოდიან, რაც დაუყოვნებლივ ხორციელდება პრაქტიკაში და რითაც დე ფაქტო აღდგა სიკვდილით დასჯა, ოღონდ ამჯერად გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე; პრეზიდენტის ფავორიტ მოხელეთა ზეპირი მითითებებით ადვოკატებს არ უშვებენ საპატიმრო ადგილებში მყოფ ბრალდებულებთან.

4. "პოლიტმსაჯულება" მართლმსაჯულების ნაცვლად

მესიანური იდეებით შეპყრობილი მმართველისათვის პრინციპულად მიუღებელია სასამართლოს დამოუკიდებლობა ანუ უზენაესი განმსჯელის ფუნქციის ვინმესთვის დათმობა. ვინაიდან ასეთი მმართველი - საქართველოს პრეზიდენტი - თავის თავს მოიაზრებს უზენაეს კანონმდებლად (საპრეზიდენტო უმრავლესობა პარლამენტში ხომ არსებობს მხოლოდ იმდენად და იმისთვის, რომ უსიტყვოდ გააფორმოს პრეზიდენტის ნება) და უზენაეს ადმინისტრატორად (იტყვის "დაინგრეს ეს შენობა" და დაინგრევა ის შენობა), სრულიად ბუნებრივია მისი სწრაფვა უზენაესი განმსჯელობისკენ. მაგრამ იგი უძლურია ყველა მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე პირად კონტროლზე აიყვანოს. ამიტომ პრეზიდენტმა ყველაზე უფრო ერთგული რამდენიმე ფავორიტი - "მართლმსაჯულების პოლიტბიურო" - აღჭურვა სასამართლოებზე ზედამხედველობა/მეურვეობის ფუნქციით (გენპროკურორი, იუსტიციის საბჭოს მდივანი და საბჭოში შემავალი პარლამენტის წევრები, შსს მინისტრი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელები) და მათი მეშვეობით უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილებებში საკუთარი პოლიტიკის ადეკვატური ასახვა ანუ მართლმსაჯულება აქცია ერთგვარ "პოლიტმსაჯულებად". შესაბამისად, მართლმსაჯულების ფუძემდებლური ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს (არ არსებობს სასჯელი დანაშაულის გარეშე; უდანაშაულობის პრეზუმფცია; პასუხისმგებლობის ინდივიდუალურობა; უფლება სამართლიან და დროულ სასამართლოზე და სხვა მრავალი) წარმატებით ჩაენაცვლა "მართლმსაჯულების პოლიტბიუროს" წევრების ნებისადმი სასამართლო გადაწყვეტილებების უცილობელი შესაბამისობის უმარტივესი პრინციპი.

ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებები კვლავაც არ გადმოდის "ზემოთ" წინასწარი შეთანხმების გარეშე; პროკურორის ნებას დე ფაქტო მიენიჭა ურყევი და საკმარისი მტკიცებულების სტატუსი ბრალის დასადასტურებლად; წინასწარმა პატიმრობამ შეიძინა "პოლიტბიუროს" მიერ უკვე გამოტანილი სასჯელის შინაარსი; სასამართლოების ხელმძღვანელებად გამწესდნენ ზოგჯერ კვალიფიციური, მაგრამ ძირითადად უხერხემლო და ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი პირები; სასამართლო სისტემიდან ისეთი მეთოდებით (მუქარით, იძულებით, დევნით, მოსყიდვით - "ნებაყოფლობით" გადადგომის შემთხვევაში მაღალი პენსიის შენარჩუნებით) განიდევნენ მოსამართლეები, რომ დარჩენილების და ახლად დანიშნულების უდიდეს უმრავლესობას სამუდამოდ დაეკარგა ხელისუფლების ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებზე ფიქრის სურვილიც კი; შეიქმნა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ისეთი სისტემა, რომელშიც მოსამართლეთა ბრალმდებლებიც და განმსჯელებიც ხელისუფლების წარმომადგენელი პოლიტკოსები არიან; პრეზიდენტმა ჯერ კიდევ 2004 წლის კონსტიტუციური რეფორმით შეითავსა კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფუნქცია.

5. სახელმწიფოთი შეზღუდული თავისუფლება თავისუფლებით შეზღუდული სახელმწიფოს ნაცვლად

ბოროტი ხელმწიფის კეთილი ხელმწიფით შემცვლელის თვითშეგნებით განმსჭვალული სახელისუფლებო იდეოლოგები სახელმწიფოს ანიჭებენ "პოსტ-კომუნიზმში ჩარჩენილი ინდივიდების" ცხოვრების წარმართველ-მაკოორდინებელ როლს. შესაბამისად, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის "მოუმზადებელი" ინდივიდების ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია მასზე სახელმწიფოს (ანუ მმართველი პარტიული ელიტის) მეურვეობის დაწესება. ხელისუფლება ამცირებს სახელმწიფო მოხელეთა რიცხვს, მაგრამ ზრდის სახელმწიფოს როლს საზოგადოების ცხოვრებაში და, შესაბამისად, ამცირებს ასპარეზს ინდივიდის თავისუფლებისთვის.

კრიმინალთან ბრძოლის აუცილებლობის ლოზუნგით ინერგება საზოგადოებაზე ყოვლისმომცველი პოლიციური ზედამხედველობის სისტემა (საიდუმლო თვალთვალისა და კომპრომატებით შანტაჟის ჩათვლით). გადასახადის დამალვასთან ბრძოლის საბაბით კერძო ბიზნესზე მყარდება სახელმწიფო მოხელეთა დიქტატი. მოსახლეობაზე ზრუნვის საბაბით სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები ახორციელებენ სპორტის, გართობისა და კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის წარმართვას პოლიტიკურად "სწორი" მიმართულებით. პირადად პრეზიდენტი და მის გარშემო შემოკრებილი ყველაზე უფრო გავლენიანი პირები თავს უფლებას აძლევენ თავად დაადგინონ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების ფარგლები და დასაშვებისა და დაუშვებლის საკუთარი კრიტერიუმები მოახვინონ თავს საზოგადოებას. შედეგად ვიღებთ ხელისუფლების თვითნებობით შეზღუდულ ადამიანებს ნაცვლად ადმიანის უფლებებითა და თავისუფლებებით შეზღუდული ხელისუფლებისა.

პრეზიდენტი და მისი გარემოცვა საჯაროდ მოძღვრავს საზოგადოებას იმის შესახებ, თუ ვინ არის ჭეშმარიტი ჟურნალისტი და ვინ არა, ვის აქვს შეკრების მორალური უფლება და ვის არა, ვინ არის მიუღებელი მენტალიტეტის ოპოზიციონერი და ვინ არა, რა არის პატრიოტიზმი და რა არა; პოლიციაზე, სპეცსამსახურებზე და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებზე მყარდება ერთი პირის მონოპოლია, მათი საქმიანობა დე ფაქტო მთლიანად გამოყვანილია საზოგადოებრივი, საპროკურორო, სასამართლო და საპარლამენტო კონტროლიდან და რიგითი მოქალაქე სრულიად დაუცველი რჩება რეპრესიული სისტემის პირისპირ; კვლავაც მკვიდრდება ე. წ. სახელმწიფო (სინამდვილეში კონკრეტულ ჩინოვნიკთა) ინტერესების პრიმატი ადამიანის სამოქალაქო უფლებებზე (გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, მაგრამ წახალისებულია ეჭვმიტანილების ადგილზე ლიკვიდაცია; საპატრულო პოლიციის საქმიანობის რეკლამირების მიზანს ეწირება მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; წინასწარი დაკავებისა და საპატიმრო ადგილებში გრძელდება თავისუფლებაშეზღუდულ პირთა წამება და ღირსების შემლახველი მოპყრობა).

6. მილიტარიზაცია და სუკ-იზაცია უსაფრთხოებისა და დაცულობის ნაცვლად

სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტის - არმიის მშენებლობა მიმდინარეობს მკაფიო და დასაბუთებული კონცეფციის გარეშე, რომელიც ნათლად და დამაჯერებლად აღწერდა, თუ რა რიცხოვნობისა და შეიარაღება-აღჭურვილობის მქონე ჯარი სჭირდება საქართველოს და რა ამოცანებისთვის. სამხედრო უწყების მოთხოვნილებები საბიუჯეტო სახსრებში გადაჭარბებით კმაყოფილდება მათი კრიტიკული ანალიზის გარეშე, რის გამოც საფინანსო წლის ბოლოს ამ უწყების ხაზით აუთვისებელი რჩება ათობით მილიონი ლარი. იმავდროულად, სუბიექტური გარემოებების გამო სრულიად არასაკმარისად ფინანსდება ქვეყნის საზღვრების დაცვა, რაც ევროკავშირის ინტერესის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს და რისთვისაც იგი მზად არის, სერიოზული (მაგრამ არა ცალმხრივი) ხარჯები გაიღოს. ჯარი კვლავ რჩება საზოგადოებისათვის დახურულ, ჩვენს სინამდვილეშიც კი კადრების დაუშვებლად მაღალი დენადობის, ვოლუნტარისტული და დილეტანტური გადაწყვეტილებების მიღების სფეროდ.

ასევე დახურულ და ყოვლისშემძლე უწყებებად გვევლინება შსს და პროკურატურა, რომელთა რეფორმირებაზე მხოლოდ ლაპარაკია ბევრი, არსებითად კი ისინი საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ რეპრესიულ მონსტრებად რჩებიან. აგრესიულად მორჩილი და უთავმოყვარეო საპარლამენტო უმრავლესობის მეშვეობით ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ ჭრიან და კერავენ კანონმდებლობას, ხოლო "გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში" საერთოდ არაფრად აგდებენ კანონის მოთხოვნებს. უშიშროების სამინისტროსთან შერწყმის, უფლებამოსილებათა უკანონო აღრევის, მმართველობის უკიდურესი ცენტრალიზაციის, საბჭოთა სუკ-ის მიერ შობილი ინსტიტუციებისა და მეთოდებისადმი ერთგულების შედეგად, შსს, ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა კომპონენტზე და ზოგადად მოსახლეობაზე ტოტალური კონტროლის დანერგვის, ხოლო პროკურატურასთან და საგადასახადო პოლიციასთან ერთად - პოლიტიკური და ეკონომიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად გადაიქცა.

სამართალდამცავ სისტემაში წამყვან თანამდებობებზე გამწესდნენ პროფესიულად და ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი ახალგაზრდები, რომლებიც შეუზღუდავმა ძალაუფლებამ და პრეზიდენტისაგან ნაბოძებმა ხელშეუხებლობამ სისასტიკის, ძალადობისა და ცინიზმის მორევში ჩაძირა. სასამართლო სისტემის გეგმაზომიერი მოშლისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი მისი ფაქტობრივი დამორჩილების შედეგად მოქალაქეები სრულიად დაუცველნი დარჩნენ სახელმწიფოს რეპრესიულ სისტემასთან ურთიერთობებში, ხოლო მათი ფიზიკური უსაფრთხოება მზარდი დამნაშავეობისა და სამართალდამცველთა დაბალი პროფესიონალიზმის პირობებში არანაირად არ არის უზრუნველყოფილი.

*2004 წლის შემოდგომაზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის 1 წლამდე შემცირების შესახებ შეიცვალა უკვე 2005 წლის გაზაფხულზე, როცა ეს ვადა კვლავ წელიწადნახევრამდე გაიზარდა; ძვირადღირებული სამხედრო შესყიდვების მიზანშეწონილობა სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა თუნდაც ათეულობით საბრძოლო მანქანის მწყობრიდან ერთდროული გამოსვლის გამო; შსს და უშიშროების სამინისტროსა შერწყმა განხორციელდა იმიტომ, რომ პრეზიდენტს ჰყავს მხოლოდ ერთი ვანო მერაბიშვილი; შსს არსებითად რჩება "პოლიციის სამინისტროდ" პოლიტიკური პოლიციის კომპონენტით, სამოქალაქო, დეპოლიტიზებულ უწყებად მისი გადაქცევის ყოველგვარი ნიშნის გარეშე; არათუ უქმდება, ფართოვდება "მოქმედ რეზერვის ოფიცერთა" (ე. წ. "ოდეერის") აბსოლუტურად უკანონო, ტოტალიტარული წარსულიდან რუდიმენტად შემორჩენილი ინსტიტუტის მოქმედების არეალი და საჯარო მოხელეთა მეთვალყურეობის პარალელურად კერძო სტრუქტურებშიც აღწევს; წლის მიწურულს ფიზიკურად უსწორდებიან სტუდენტთა ჯგუფს, რომელიც ილაშქრებს უმაღლეს სასწავლებლებში შსს-ის აგენტურის ჩანერგვის წინააღმდეგ; პროკურორის მოთხოვნა ეჭვმიტანილისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ სავალდებულო ხასიათს იძენს დემორალიზებული მოსამართლეებისათვის (ურჩებს უმალვე ატოვებინებენ სამსახურს); პრეზიდენტი პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან აძლევს მოსამართლეებს სახელმძღვანელო მითითებებს სასჯელის განსაზღვრისას პროკურორის პოზიციის უსტყვოდ გაზიარების თაობაზე; პასუხგაუცემელი რჩება მრავალი კითხვა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით; პირი არ უჩანს საქმის გახსნას პარლამენტის წევრის ვალერი გელაშვილის მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით; "მკვლელობის ლიცენზიით" აღჭურვილი პირების მსხვერპლი გახდა მრავალი ადამიანი, მათ შორის სანდრო გირგვლი

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

B1 გვერდიდან

7. საბიუჯეტო თვითნებობა და კორუფცია საბიუჯეტო დისციპლინის ნაცვლად

ავტორიტარული მმართველობისა და ხელისუფლების უზურპაციის პირობებში შინაარსი გამოეცალა და უბრალო ფორმალობად იქცა ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა - დაწვრილებით გაწერილი სახელმწიფო ბიუჯეტი, საბიუჯეტო დისციპლინა და კონსტიტუციის შესაბამისი საბიუჯეტო ურთიერთობები ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, კერძოდ, საპარლამენტო კონტროლი ბიუჯეტის შესრულებაზე. აღმასრულებელი ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებს მიიჩნევს "მის ფულად", რომელსაც იმაში დახარჯავს, რაშიც დასჭირდება. ამიტომ მთავრობა, პრეზიდენტის საპარლამენტო უმრავლესობის თანხმობით არც ხარჯების წინასწარი დეტალური დაგეგმვით იწუხებს თავს, არც ამ ხარჯების დასაბუთებით და არც საზოგადოების მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემით.

საბიუჯეტო სისტემის გარეთ შექმნილი დახურული ფონდების მეშვეობით საეჭვო მეთოდებით აკუმულირდება და ცალკეული მინისტრების მიერ ერთპიროვნულად განიკარგება ათობით მილიონი ლარი. პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი შესაბამის სარეზერვო ფონდებში თავმოყრილ საბიუჯეტო სახსრებს განიხილავენ "ჯიბის ფულად", რომელიც შეიძლება დახარჯონ ნებისმიერი მიმართულებით, მიუხედავად კანონით მკაფიოდ დადგენილი შეზღუდვებისა. უმსხვილესი სახელმწიფო შესყიდვებიც კი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის იგნორირებით ან მეტად "საინტერესო" ინტერპრეტაციით (პერმანენტული "ფორსმაჟორით"). სრულიად უმოქმედოა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე ზედამხედველობის ორგანო - კონტროლის პალატა. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი ხდება როგორც თანხების არაეფექტიანი ხარჯვა, ისე კორუფცია. თუ პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების კორუფციული სისტემა სახელმწიფოსთვის კუთვნილ თანხებს ითვისებდა ამ თანხების ბიუჯეტში შესვლამდე, დღევანდელი კორუფციული სისტემა თანხებს ითვისებს ძირითადად საბიუჯეტო ხარჯების გაწევისას.

აღმასრულებელი ხელისუფლება ჯერ ხარჯავს სახელმწიფო სახსრებს და მერე შედის პარლამენტში წინადადებით უკვე გაწეული ხარჯების დაკანონების თაობაზე; საბიუჯეტო წლის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე ცვლილებები შედის მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რითაც აზრი ეკარგება ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს და ამ თვალსაზრისით მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე; ამავე საკანონმდებლო ცვლილებით პარლამენტს ერთმევა უფლება მომავალში მაინც შეაფასოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა; ბიუჯეტის პროექტი ისეთი სახით შედის პარლამენტში დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია დაგეგმილი ხარჯების ოდენობის და დანიშნულების გარკვევა; საბიუჯეტო წლის ბოლოს ათობით მილიონი ლარის ბედი გაურკვეველია; სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 20% "სხვა ხარჯების" გრაფის ქვეშაა მოქცეული ყოველგვარი დაზუსტების გარეშე; თბილისის საკრებულო ყოველგვარი განხილვის გარეშე ამტკიცებს 2 დღით ადრე წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს.

8. ვოლუნტარისტული ექსპერიმენტები გააზრებული რეფორმების ნაცვლად

ხელისუფლების სერიოზული ნაკლია სახელმწიფო აღმშენებლობის სტრატეგიული გეგმის არარსებობა, სხვადასხვა დარგის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პროგრამების არქონა, პრიორიტეტების მკაფიო გამოკვეთის უუნარობა. რეფორმები, როგორც წესი, ჩანაცვლებულია გაუთავებელი და უსისტემო ვოლუნტარისტული ექსპერიმენტებით, როცა არავინ იცის არა თუ საშუალედო ეტაპის საბოლოო შედეგები, არამედ საბოლოო რეზულტატიც. ხელისუფლებას არ გააჩნია კონკრეტული პასუხი შეკითხვებზე, თუ როგორ სახელმწიფოს აშენებს, როგორი იქნება მისი ტერიტორიული ორგანიზაცია, მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემები, არ არსებობს დასაქმებისა და კადრების მომზადება-გადამზადების მიზნობრივი პროგრამები და ა.შ. სამაგიეროდ შესაშური სითამამით ხდება ყველაფერი რევოლუციამდელის, როგორც უვარგისის, ნგრევა უმარტივესი ავნტურისტული სტრატეგიით - ჯერ დავანგრიოთ და მერე გამოჩნდება რა და როგორ უნდა ვაკეთოთ.

ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ოთხგზის შესწორება (თუნდაც საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ზრდის მიმართულებით), მეტყველებს რამდენადმე კვალიფიციური დაგეგმვის უუნარობაზე; პარლამენტში წარდგენილი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ ვარიანტში იყო უმარტივესი, ზოგადი საპროგნოზო განაგარიშება ბიუჯეტებისა 2007-09 წლებისათვის, მაგრამ ეს ზერელე პროგნოზიც კი გაქრა საბოლოო ვერსიიდან; ახლადმიღებულ კანონებში ცვლილებების უმალვე შეტანა სისტემატურ ხასიათს ატარებს; ხშირია კანონების ამოქმედების ვადების გადატანა ან ამ ვადებით მანიპულირება; გახშირებული საკონსტიტუციო ცვლილებები კონიუნქტურული ხასიათისაა და არაფერი აქვთ საერთო გააზრებულ საკონსტიტუციო რეფორმასთან; სრულიად გაუაზრებლად და მოუმზადებლად დაიწყო საუნივერსიტეტო და მეცნიერებათა აკადემიის რეფორმა, რამაც ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის პოტენციური მომხრეებიც კი მოწინააღმდეგეებად აქცია; სასამართლო სისტემაში განხორციელებულმა ორგანიზაციულმა, სტრუქტურულმა და საკადრო "რეფორმამ" სისტემის პარალიზება გამოიწვია (გარკვეული პერიოდი სასამართლოებში მოქალაქეთა არჩევლების მიღებაც კი იყო შეცერებული, ხოლო ათასობით განუხილველი საქმე დღესაც თაროზეა შემოდებული).

9 მეწარმის ექსპლუატაცია გადასახადის გადამხდელთან ანგარიშვალდებულების ნაცვლად

ავტორიტარიზმისა და მესიანობისაკენ პრეზიდენტის და მისი გარემოცვის დაუოკებელმა სწრაფვამ შეუძლებელი გახადა ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება. პრეზიდენტის წაბაძვით მთელი სახელისუფლო მანქანა ცდილობს საკუთარ დამსახურებად წარმოაჩინოს ნებისმიერი პოზიტიური მოვლენა საზოგადოებაში. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებისათვის პრინციპულად მიუღებელი ხდება მისი უშუალო ჩარევის გარეშე ვიწმეს მიერ რაიმე წარმატების მიღწევა, მათ შორის კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული თავისუფალი მეწარმეობა. ხელისუფლება განიხილავს გადასახადის გადამხდელს ზოგადად და მეწარმეს - კერძოდ, უმოწყალო ექსპლუატაციის ობიექტად, რომელსაც უნდა გადაახდევინო, წაგლიჯო, გამოსძალო რაც შეიძლება მეტი (თუნდაც - რეალურად შესაძლებელზე მეტი). ხელისუფლებისათვის მთავარია, ზარ-ზეიმით აღნიშნოს საბიუჯეტო შემოსავლების მორიგი ზრდა, მაგრამ მისთვის სულ ერთია, თუ რა მოუვა გაძვალტყავებულ გადასახადის გადამხდელს, კაპიტალწართმეულ მეწარმეს, საწარმოს გაჩერების გამო საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილ ადამიანს. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ამოცანას ეწირება ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სხვა პრიორიტეტი. ბიუჯეტის ფეტიშიზაცია კი ემსახურება საბიუჯეტო ხარჯების წარმოსახვას ხელისუფლების მიერ მოსახლეობისათვის - იმავე გადასახადის გადამხდელთათვის - გაღებულ მოწყალებად, ქველმოქმედებად, "საჩუქრად" მაშინ, როცა ვითარება არსებითად საპირისპიროა: ხელისუფლება კი არ ინახავს ხალხს, არამედ ხალხი - ხელისუფლებას.

პრეზიდენტთან და მისი გუნდის გავლენიან წევრებთან წინასწარი არაფორმალური შეთანხმების გარეშე შეუძლებელი ხდება რამდენადმე მნიშვნელოვანი ბიზნეს ინიციატივების განხორციელება; იგივე სურათია მცირე ბიზნესში, სადაც გუბერნატორების, გამგებლების და საფინანსო პოლიციის "კეთილი ნების" გარეშე საქმიანობა სულ უფრო შეუძლებელი ხდება; პრეზიდენტის კარზე დაწინაურებული ფავორიტების ახლო ნათესავებს წინა ხელისუფლების ნათესავებზე არანაკლები "ბიზნეს ნიჭი" აღმოაჩნდათ; საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების შეუზღუდავი თვითნებობის ფონზე მეწარმეები სისტემატურად იღებენ ხელისუფლების წარმომადგენელთა "კეთილ" რჩევებს და მინიშნებებს სხვადასხვა საჯარო ღონისძიებების "კეთილი ნებით" დაფინანსებლად (უფასო სასადილოები, გასართობი ღონისძიებები, სამღებრო-სარემონტო სამუშაოები და სხვ.); ფინანსური პოლიცია იქცა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ წამყვან სახელმწიფო ორგანოდ ერთადერთი პრიორიტეტით - საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ნებისმიერი მეთოდით; დაუსჯელი დარჩა ამ უწყების მესვეურთა ისეთი გაუგონარი თავხედობაც კი, რაც მათ რესტორან "ნიკალაში" ჩაიდინეს.

10. ხელისუფლების კეთილდღეობის ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ნაცვლად

ხელისუფლების საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკით შემოსავლები გაეზარდა არა მოსახლეობას, არამედ თავად ხელისუფლებას. კერძო სექტორიდან ოფიციალური და არაოფიციალური გზებით ამოღებული 4-ჯერ მეტი თანხით ხდება 4-ჯერ და მეტად ძვირადღირებული სახელმწიფო აპარატის შენახვა და ხელისუფლების სარეკლამო-დაფასრთობი ღონისძიებების დაფინანსება. სამუშაო ადგილების რიცხვი შემცირდა. ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა, მათ შორის აუცილებელი მოხმარების საქონელზე. სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველი მოსახლეობის რეალური შემოსავალი შემცირდა. მოსახლეობის ყველაზე უფრო გაჭირვებული ნაწილის სამუშაო ადგილები შეეწირა ქალაქების ცენტრალური უბნების შელამაზების მიზნებს, რაც ურიგო საქმე არ იქნებოდა, მანამდე რომ მოსახლეობის დასაქმებაზე ეზრუნა ვინმეს. სოციალურ სფეროში სახელმწიფო პროგრამების დაწყება გადაიდო იმ საბაბით, რომ თურმე ხელისუფლებამ ვერ მოახერხა გაჭირვებულთა დათვლა. სამაგიეროდ, გრძელდება მასშტაბური სარეკლამო ღონისძიებები პრეზიდენტის მიერ გაჭირვებულებზე ზრუნვის დასადასტურებლად.

მასწავლებელთა და ზოგი სხვა კატეგორიის მუშაკთა ხელფასმა მრავალგზის დაპირებულ დონეს ვერა და ვერ მიაღწია; ნათელია, რომ ინფლაციისა და ფასების ზრდის გათვალისწინებით (განსაკუთრებით - გაზისა და ელექტროენერგიის საფასურის ზრდისა და, შესაბამისად, საერთო გაძვირების შედეგად) მარტიდან 5 ლარით და სექტემბრიდან კიდევ 5 ლარით პენსიის გაზრდა რეალურად ვერ გაუმჯობესებს პენსიონერთა მდგომარეობას; მეტიც, მოსალოდნელია, რომ 2006 წლის შემოდგომაზე მიღებული 38 ლარი ნაკლები მსყიდველობითი უნარის იქნება, ვიდრე 2005 წლის შემოდგომაზე მიღებული 28 ლარი; 2006 წლის სექტემბრის ხუთლარიანი ზრდა კი პირდაპირ არის დაკავშირებული შემოდგომაზე გასამართ ადგილობრივ არჩევნებთან - ხელისუფლება მორიგ "საჩუქარს" უმზადებს ამომრჩევლებს; ტრაგიკომიკურ სახეს იღებს უფასო სასადილოების გახსნის კამპანია: ყოველი ასეთი სასადილოს გახსნის ცერემონიის სარეკლამო ღონისძიებასა და პრეზიდენტისა და მისი ამალის სტუმრობაზე სასადილოს ნახევარი წლის ბიუჯეტის ტოლი თანხა იხარჯება; პრეზიდენტის "მოწოდებით" ბიზნესმენები "ნებაყოფლობით" ერთმანეთს ასწრებენ უფასო სასადილოების დაფუძნებას; ღონისძიებიდან პოლიტიკური ქულების სრულად მისათვლელად აფუძნებენ მმართველი პარტიის იდენტური სახელის მქონე "საქველმოქმედო" ფონდს, რომელსაც მთავრობა უსასყიდლოდ გადასცემს სახელმწიფოს ქონებას სასადილოების პროექტის განსახორციელებლად.

11. გამთიშველი პრეზიდენტის მონოლოგი მასასთან გამაერთიანებელი პრეზიდენტის საზოგადოებასთან დიალოგის ნაცვლად

რევოლუციის წარმატებით და საერთაშორისო აღიარებით გამოწვეული თავბრუსხვევა ხელისუფლების ქრონიკულ დაავადებად იქცა. პრეზიდენტსა და მის გუნდს უკიდურესად აღიზიანებს მათი მისამართით გამოთქმული ნებისმიერი კრიტიკა. ისინი მკრეხელობად მიიჩნევენ მათი შესაძლებლობების, გეგმების და საქმიანობის თუნდაც ცალკეული ასპექტების ეჭვქვეშ დაყენებას ანუ განუვითარდათ უძლეველობის, შეუცდომლობისა და ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის სინდრომი. ეს დაავადება კიდევ უფრო დამძიმდა მზარდი პრობლემებისა და ჩავარდნების ფონზე ანუ მაშინ, როდესაც კრიტიკულ მოსაზრებებს მეტი საფუძველი და დამაჯერებლობა გაუჩნდა. შედეგად ხელისუფლებამ საერთოდ დაკარგა დიალოგის სურვილიც და უნარიც და გარე სამყაროსთან ურთიერთობას ამყარებს ერთადერთი ფორმით - აგრესიული და ცინიკური მონოლოგითა და პრიმიტიული და მომაბეზრებელი პიარკამპანიებით. ცხადია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ამ სტილთან სრულიად შუსაბამო ხდება თავისუფალი მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერეს-ჯგუფებად სტრუქტურირებული და ორგანიზებული საზოგადოება და პოლიტიკური ოპოზიცია.

ამასთანავე, პრეზიდენტი და მისი გუნდი თავად აღმოჩნდა სხვების დასაშინებლად შექმნილი უძლეველობის მითის პირველი მსხვერპლი და დაავადდა "შეუცდომლობის კომპლექსით" - ისინი თვლიან, რომ ნებისმიერი შეცდომის აღიარება ან მობოდიშება იქნება მათი ხელისუფლების რღვევის უეჭველი დასაწყისი. ამგვარი შიშებითა და მესიანური იდეებით შეპყრობილი პრეზიდენტისა და მისი ფავორიტებისათვის მათთვის უპირობოდ მხარის არდამჭერი ყოველი ადამიანი (სულ ცოტა, უხერხული ან მამხილებელი შეკითხვის პოტენციური დამსმელი) პოლიტიკური მტრის სახეს იღებს. ამიტომ პრეზიდენტმა პრინციპით - ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია - გადაწყვიტა ამგვარი ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების სახელმწიფოს მტრებად და ქვეყნის აღმშენებლობისა და ერთიანობის მოწინააღმდეგეებად წარმოჩენა და ამით მათი სიტყვისათვის ფასის დაკარგვა. პრეზიდენტი სააკაშვილი ჩამოყალიბდა თავისივე მხარამჭერების და არა მთელი საზოგადოების პრეზიდენტად. მისი ამგვარი ნეობოლშევიკური ტაქტიკა ქმნის საზოგადოების ფრაგმენტაციის, გათიშულობისა და პოლარიზაციის სერიოზულ წინაპირობას, რაც სრულიად მიუტევებელია ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაურისთვის, მითუმეტეს, დღევანდელ ვითარებაში მყოფი საქართველოს ლიდერისათვის.

ხელისუფლება მიზანმიმართულად აწესებს კონტროლს ტელეკომპანიებზე და ამას ახერხებს მეტად მრავალფეროვანი საშუალებებით (ურჩი მესაკუთრეების ჩანაცვლება ლოიალურებით, კრიტიკულად განწყობილი პოპულარული ჟურნალისტების ტელევიზიებიდან განდევნა, საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩაბარება ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად უხიფათო ჯგუფისათვის და სხვა); პრეზიდენტის მითითების შესაბამისად ხელისუფლების წარმომადგენლები სულ უფრო იშვიათად მონაწილეობენ საჯარო პოლიტიკურ დებატებში; პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები მოსახლეობას სისტემატურად ხვდებიან ისეთ ვითარებაში, როდესაც ხალხი დეკორაციაა მათი განცხადებებისა და პირ-აქციებისათვის; პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა უკიდურესი ცინიზმისა და აგრესიულობის გამოვლენით ცდილობს მათთან კამათზე ხელი ააღებინოს მაღალი ზნეობრივი სტანდარტების მქონე ღირსეულ მოქალაქეებს; საზოგადოებისგან საკუთარი გამორჩეულობის სადემონსტრაციოდ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაამკვიდრეს საკუთარი კაბინეტებიდან - "ზემოდან" - ოპონენტებისა და აუდიტორიის ტელეეთერით დამოძღვრის ანუ უმაღლესი ინსტანციიდან "ჭეშმარიტების" ქადაგების სტილი; ყველა, ვინც ხელისუფლებას უპირობოდ არ უჭერს მხარს, მზად უნდა იყოს პრეზიდენტისა და მისი გუნდისაგან გაუნათლებლად, დაუნახავად, ბრმად, ვაი-ქართველად, კრიმინალური მენტალიტეტის მქონედ ან სულაც კრიმინალად შერაცხვისათვის, მათ შორის, პრეზიდენტის უმაღლესი ოფიციალური ტრიბუნიდან (ყოველწლიური საპარლამენტო გამოსვლებისას); მმართველი პარტიის "დამრტყმელი" რაზმი ოპონენტთა ხმის ჩასახშობად ფიზიკურ ძალადობასაც აღარ ერიდება (თავდასხმა ოპოზიციაზე თბილისის საკრებულოში); შემაშფოთებელია ე.წ. პატრიოტული ბანაკები და ამ ბანაკებში პრეზიდენტის აგრესიული და ეგზალტირებული ქადაგებები ე.წ. "ხალხის მტრების" მიმართ.

12. მოქალაქის იგნორირება სამოქალაქო აქტიურობის წახალისების ნაცვლად

ახალი ხელისუფლების პირობებში საზოგადო საკითხების გადაწყვეტაში მოქალაქეთა მონაწილეობის დონე არ გაზრდილა არც რაოდენობრივად და არც თვისობრივად. რიგით ქართველს, რომელმაც უზრუნველყო "ვარდების რევოლუციის" წარმატება, ხელისუფლებამ კვლავ მხოლოდ ამომრჩევლის როლი შეუნარჩუნა და არ აძლევს მას უფლებებით აღჭურვილ და პასუხისმგებლობით დატვირთულ მოქალაქედ ქცევის შესაძლებლობას. პრეზიდენტი და მისი გუნდი მიზანმიმართული პოლიტიკით საზოგადოებაში ნერგავენ უმრავლესობასთან კამათის უშედეგობის ატმოსფეროს. ადამიანებთან ურთიერთობაში ხელისუფლებისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია ზნეობისა და მორალის ნორმები ("რევოლუციამ ხომ ახალი ზნეობა უნდა დაამკვიდროს"), მოსახლეობის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი ("მათ ხომ უკვე აგვირჩიეს") და პროფესიონალების აზრები ("ისინი ხომ რევოლუციამდე ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად").

ყოველი ცალკე აღებული ადამიანისთვის შექმნილია მძიმე არჩევანი - ან უმრავლესობის მასაში გარევა და ლიდერებისთვის უსიტყვოდ ტაშის კვრა ან საერთოდ განდგომა საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. შესაბამისად, გადაულახავი დარჩა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრესი ბარიერი - უფსკრული ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რომელიც ხელისუფლებას მეტი თვითნებობის საშუალებას აძლევს და ხალხს მეტი ნიჰილიზმისკენ უბიძგებს. ამის გამო მცირდება მმართველი ჯგუფის მზაობა და ხალხის რწმენა დემოკრატიული პროცესისადმი, მათ შორის, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებისადმი.

დეკლარირებული გრანდიოზული გეგმებისა და გამარჯვებების ფონზე შემცირდა ყოველი ცალკე აღებული ადამიანის ფასი (არა უშავს თუ ვიღაცა უსამართლოდ, უკანონოდ და დაუსაბუთებლად გაატარებს რამდენიმე თვეს ციხეში - ამით ხომ ბევრ პოტენციურ დამნაშავეს ავაღებინებთ ხელს ბოროტ განზრახვაზე; ან არა უშავს, თუ რამდენიმე დამსახურებული მხცოვანი მეცნიერი შემოგვლანძღება, ჩვენ ხომ მეცნიერებაში დიად რეფორმას ვატარებთ); შევიწროვდა ან შეიზღუდა საჯარო დისკუსიების ასპარეზი (კასტრირებულია თვითმმართველობა, რეგულირებულია მედია, "ჩამოწერილია" არასამთავრობო სექტორი, იგნორირებულია პოლიტიკური ოპოზიცია); შემცირდა ხელისუფლებისთვის საჩოთირო საკითხებზე ხმამაღლა ლაპარაკის შემძლეთა რიცხვი (სხვაგვარად მოლაპარაკეთა მიმართ პირდაპირი მუქარებით, არაპირდაპირი რეპრესიებით, სამაგალითოდ დასჯებით, აბუჩად აგდებით, რეპრესიების განმხორციელებელთა დაუსჯელობით); წინა ხელისუფლებასთან შედარებითაც კი მნიშვნელოვნად შეიზღუდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ყველა შესაძლო მეთოდით ეშლება ხელი მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების განხორციელებას და რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას.

13. საზოგადოების ღირებულებითი დეზორიენტირება ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ნაცვლად

წინამორბედთან შედარებით ლიბერალურ-დემოკრატიული ტერმინოლოგიის უფრო ხშირი მოხმობისა და სიტყვასა და საქმეს შორის არანაკლები განსხვავების გამო ახალმა ხელისუფლებამ მრავალი ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულების უფრო წარმატებული გაუფასურება მოახერხა. ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების დასავლურისადმი ფრაგმენტული წამბაძველობა და საზოგადოებისათვის სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე ახალი ინსტიტუტების დამკვიდრება მოქალაქეებს უღვივებს გაუგებარი სიახლისადმი წინააღმდეგობის ბუნებრივ ინსტინქტს. ამას თავად პრეზიდენტი და მისი გუნდიც გრძნობს და რიტინგის შესანარჩუნებლად სულ უფრო ხშირად მასების ქვენა ინსტინქტებზე ახდენს აპელირებას, მიმართავს რა ნაციონალისტურ-სოციალისტურ და მილიტარისტულ რიტორიკასა და კოსტუმირებულ მასკარადებს.

ამის შემხედვარე, ოპოზიციის ნაწილიც ხალხთან საურთიერთოდ უპასუხისმგებლო პოპულისტურ კონტრლოზუნგებს მიმართავს, რაც დაბლა სწევს პოლიტიკური დისკუსიის დონეს და აფერხებს პოლიტიკური კულტურის განვითარებას. ეს ვითარება კი არამც თუ არ გვაახლოებს თანამედროვე ევროპული ტიპის საზოგადოებას, არამედ დღევანდელზე უფრო დახურული, იერარქიული, შინაგანად დაპირისპირებული საზოგადოების ჩამოყალიბების რეალურ საფრთხეს შეიცავს.

თუ ვარდების რევოლუციამდე მოსახლეობის ყველაზე უფრო აქტიური და პროდუქტიული ნაწილი ლიბერალური ღირებულებების შესაბამისი ღირსეული ცხოვრების დაწყებას უკავშირებდა შევარდნაძის პოსტკომუნისტური ეპოქის მოახლოებულ დასასრულს, დღეს მოსახლეობის ამ ნაწილშიც იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთილების ატმოსფერო ისადგურებს; ბევრს უჩნდება პარალელები პრეზიდენტ გამსახურდიას ზეობასა და დაცემასთან დაკავშირებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აღტკინებასა და დეგრადაციასთან; მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ძლიერდება უნდობლობა და შიში საერთაშორისო ინტეგრაციის, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის წამლეკავი პროცესისადმი.

14. პროვინციალიზმი და ინფანტილიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში ღირსეული და საიმედო პარტნიორობის ნაცვლად

თანდათან იკარგება საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ღირსეული დამკვიდრებისა და "ტვირთი ქვეყნების" კატეგორიიდან "პარტნიორი ქვეყნების" კატეგორიაში გადასვლის უნიკალური შანსი, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ გაგვიჩნდა. საქართველოსადმი ჯერ კიდევ კეთილგანწყობილი საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები ოფიციალურად და არაოფიციალურად გამოთქვამენ მზარდ შეშფოთებას ქვეყანაში მიმდინარე ქაოსური პროცესებისა და არასაკმარისად აქცენტირებული საგარეო პოლიტიკის, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფის გამო. მთავრობის ზოგადი არაკომპეტენტურობა, არაორგანიზებულობა, ხშირად კი სხვადასხვა უწყებიდან მომდინარე ურთიერთგამომრიცხავი გზავნილები განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობებში. ამას ემატება ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების სკანდალური თავგადასავლები უცხო ქვეყნებში და არანაკლებ სკანდალური განცხადებები, მათ შორის, რეგიონში დემოკრატიის გამავრცელებელი მოციქულის როლის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა საერთაშორისო ურთიერთობებში იქცევა ძლიერი უფროსი მეგობრის (აშშ-ს) იმედით გათავხედებული მოზარდივით, რომელსაც გარდაუვლად ელის მწარე სილაქები პირველ რიგში უფროსი მეგობრისგანვე და მერე იმათგან, ვისთანაც ქედმაღლობს და თავხედობს.

პრეზიდენტი მაღალი ტრიბუნებიდან (მათ შორის სტრასბურგში) ევროპული ორგანიზაციების შეურაცხმყოფელ შეფასება-განცხადებებს აკეთებს, რაც გაუგებარია ევროინტეგრაციაზე მეოცნებე ქვეყნისათვის; კიდევ უფრო უცნაური და საგანგაშოც კი არის ამ უკანასკნელ დროს გაჟღერებული ახალი მოტივები ჩვენი უპირველესი მოკავშირისა და მფარველის - აშშ-ის მიმართ, რომელიც მაგისტრალური გაზსადენის რუსეთისათვის მიყიდვის კონტექსტში გაისმა მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან (აშშ-მა, თურმე, ევროპაში "თავის" კანცლერებს უნდა მიხედოს); ამ ფონზე გასაკვირი აღარ არის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში არაერთგზის გაჟღერებული აგდებული დამოკიდებულება სხვადასხვა საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის მიმართ; ქედმაღლობა და უსაფუძვლო ამბიციურობა სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება რეგიონში ჩვენს უშუალო მეზობლებთან ურთიერთობების განვითარება-განმტკიცებაში; გაუგებარია სუამ-ის შემდგომი ბედი, თუკი გაზთან დაკავშირებულ ეპოპეაში მასში გაერთიანებულმა ოთხმა ქვეყანამ, რომელთაგან თითოეულს უშუალოდ შეეხო რუსეთის შანტაჟი, ვერ მოახერხა საერთო ინტერესების კოორდინირებული დაცვა; არგუმენტაციას მოკლებულია დსთ-დან გამოსვლის გაჭიანურება, რომელში წევრობაც შეუთავსებელია ევროინტეგრაციასა და ნატო-სკენ სწრაფვასთან.

ამრიგად, "ვარდების ხელისუფლების" პოლიტიკური მონაგარი 2006 წლისათვის დაახლოებით ასე გამოიყურება:

- ღრუბლებში მფრინავი პრეზიდენტი - მესია
- საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი
- დეზორიენტირებული მმართველი გუნდი
- არაკვალიფიციური მთავრობა
- პოლიტიზირებული ბიუროკრატია
- კორუმპირებული ფავორიტები
- გათავხედებული ძალოვნები
- მორჩილი პარლამენტი
- დაჩოქებული სასამართლო
- გაუქმებული თვითმმართველობა
- ფრაგმენტირებული საზოგადოება
- მარგინალიზებული სეპარატისტები
- გარადიკალურებული ოპოზიცია
- დაშინებული ბიზნესი
- რეგულირებული მედია
- დაბნეული არასამთავრობოები
- შეშფოთებული დასავლეთი
- კვლავაც ჩასაფრებული რუსეთი
- იმედგაცრუებული მოსახლეობა

■ ■ ■

ზემოთ მოცემულ ტექსტში ჩვენ გვსურდა, ყურადღება გაგვემახვილებინა იმ მნიშვნელოვან და სისტემური ხასიათის პრობლემებზე, რომლებიც, შესაძლოა, ჯერ-ჯერობით არც კი იყოს სიღრმისეულად გაცნობიერებული საზოგადოების ფართო ფენების მიერ, მაგრამ რომლებიც საქართველოს დემოკრატიული, თავისუფალ ეკონომიკაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას აცდენენ.

აღნიშნულ პრობლემათა სიღრმისეული ანალიზის დეფიციტსა და ფართო საზოგადოებრივი დებატების სიმცირეში ბრალი მიუძღვის როგორც არასათანადოდ ორგანიზებულ და აქტიურ პოლიტიკურ ოპოზიციას, ისე ზოგ ქართველ ექსპერტს, პოლიტოლოგს, ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს თუ საინფორმაციო ან ანალიტიკურ ინსტიტუტებს მთლიანად, რომლებიც ან ჯერ კიდევ ვერ გაერკვნენ ახალ რეალიებში ან კონიუნქტურული მოსაზრებების გამო ადეკვატურად არ რეაგირებენ მოვლენათა განვითარებაზე.. ზნეობრივი, პოლიტიკური და ინფორმაციული სიყალბე კი სულ უფრო თვალსაჩინო ხდება საზოგადოების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთა სამოქალაქო პოზიცია და დემოკრატიული იდეალების უშიშარი ერთგულება ქვეყნის უმთავრეს ზნეობრივ და პოლიტიკურ რესურსს წარმოადგენს.

სამწუხაროა, აგრეთვე, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგი უცხოელი კეთილმოსურნე გადაჭარბებული (ხანდახან - მოჩვენებითი) ოპტიმიზმით აფასებს ქვეყანაში და მის გარშემო განვითარებულ პროცესებს, ორაზროვანი დიპლომატიური ლექსიკის სამოსელში აცვევს სამართლიან კრიტიკასა თუ შეშფოთებას, ან აზრსა და შედეგს მოკლებული დაჟინებით ცდილობს, კულუარულად განკურნოს ხელისუფლების პროგრესირებადი მანკიერებანი. არადა სწორედ მათი გამოცდილი თვალისთვის უნდა იყოს აშკარა, რომ ხელისუფლება ღალატობს თავის დაპირებებს, ივიწყებს "ვარდების რევოლუციის" იდეალებს და ცდილობს, გზიდან ჩამოიშოროს საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელმაც უზრუნველყო გამარჯვება 2003 წლის ნოემბერში. შედეგად ურთიერთუნდობლობა და გაუცხოება ერთის მხრივ ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, ოპოზიციასა და საზოგადოებას შორის იმდენად სწრაფად მატულობს, რომ სულ უფრო მცირდება იმ საკითხთა წრე, სადაც კონსენსუსის მიღწევაა შესაძლებელი; უტიფრობა, ცინიზმი, აგრესიულობა და ძალადობა კი იმდენად ცხადად ყალიბდება უნივერსალურ "არგუმენტებად" ხელისუფლების არსენალში, რომ ვითარება ქვეყანაში პოტენციურად ფეთქებადსაშიში ხდება. საქართველოში დემოკრატიის წარუმატებლობა და იმედგაცრუება კი მხოლოდ საქართველოს მარცხი როდი იქნება - დემოკრატიზაციის პროცესი სერიოზულად შეფერხდება გაცილებით უფრო ვრცელ არეალში, აქედან გამომდინარე მრავალი უარყოფითი შედეგით.

გაგრძელება B3 გვერდზე

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

2. პოსტკომუნიზმიდან ლიბერალური დემოკრატიისკენ (რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური არჩევანი)

B2 გვერდიდან

საქართველოს რესპუბლიკური პარტია აცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე და თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებას გეგმავს ქვემოთმოყვანილ ძირითად პოლიტიკურ პოსტულატებზე დაფუძნებული პროგრამით, რომელიც შემუშავდება პარტიის წევრებისა და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით.

1. რესპუბლიკელებს გვჯერა, რომ საქართველოს ღირსეული მომავალი პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და ევროპულ ინტეგრაციას. ყველა სხვა პოლიტიკური სტრატეგია და ორიენტირი, მათ შორის მისი ფსევდო-დემოკრატიული, ცრუ-პატრიოტული და დროებით-ავტორიტარული ნაირსახეობანი, საზოგადოებას უქადის კვაზი-სახელმწიფოს, უსამართლობის, სიღარიბისა და კონფლიქტების პირობებში ცხოვრებას. ასეთი მკვეთრი და უკომპრომისო პოზიცია არის არა ჩვენი პირადი პოლიტიკური გემოვნების ან დასავლეთისადმი ბრმა წამბაძველობის შედეგი, არამედ გამორჩეულ ქართველ მამულიშვილთა მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებისა და ნააზრევის გაზიარება. საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანები დგებოდა არა კარჩაკეტილობისა და განვითარების "წმინდა ქართული" გზების გამოგონების დროს, არამედ ყოველ მოცემულ ეპოქაში ცივილიზაციის საუკეთესო მიღწევებთან ზიარებითა და ამ ცივილიზაციებში საკუთარი ღირსეული ადგილის დამკვიდრებით.

ქართველმა ერმა თავისი გასაოცარი სიცოხლისუნარიანობა შეინძინა არა თვითიზოლაციით, არამედ სხვა ერებთან საუკუნეების მანძილზე უკომპრომისო და ულმობელ კონკურენციაში მონაწილეობით. თანამედროვე გლობალიზებული მსოფლიო ამავე ისტორიული პროცესის უფრო ცივილიზებული გაგრძელებაა, რომელიც წალეკვით ემუქრება ყველას, ვინც ამ პროცესს გაემიჯნება ან ამ პროცესში მოუმზადებლად ჩაებმება. რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დარჩენილი საქართველო ამ პროცესისგან გამიჯნული საქართველოა, ხოლო ევროინტეგრაციის გზას დამდგარი "ნახევრად-დემოკრატიული" საქართველო ამ პროცესში მოუმზადებლად ჩართული საქართველოა.

ამიტომ ქვეყნის წინსვლის ჩვენეული მოდელი არ უშვებს არანაირ "დროებით" და "ტაქტიკურ" კომპრომისებს ისეთ ძირითად ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებთან, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს შეზღუდვა, საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი მეწარმეობა, კანონის წინაშე თანასწორობა, პოლიტიკური პლურალიზმი, ხელისუფლების დანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, უმცირესობების უფლებების გარანტირება და სხვა. ამასთანავე, რესპუბლიკური პარტია ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველმყოფელ ძალად მიიჩნევს არა სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ თავისუფალ და სამართლიან კონკურენციას.

2. რესპუბლიკური პარტია საქართველოში დემოკრატიის წარმატების პერსპექტივას უკავშირებს არა დღევანდელი ხელისუფლების ავტორიტარული კურსის შესაძლო ცვლილებას, არამედ მისი შემცვლელი პოლიტიკური ძალის დემოკრატიულ პოტენციალს. პრეზიდენტ სააკაშვილს და მის გუნდს არა აქვთ კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების, პოლიტიკური პლურალიზმისა და სხვა დემოკრატიული პრინციპების ჭეშმარიტი ერთგულების არც უნარი და არც მოთხოვნილება. ამიტომ მათი მმართველობის პერიოდში დემოკრატიული ინსტიტუტების უმრავლესობის ჩამოყალიბება და განვითარება ვერ მოხერხდება. ამ თვალსაზრისით სააკაშვილის მმართველობას რესპუბლიკელები განვიხილავთ პოსტ-საბჭოური გარადამავალი პერიოდის მორიგ ფაზად. იმისათვის, რომ ეს პერიოდი აღმოჩნდეს ისედაც უკიდურესად გაჭიანურებული გარდამავალი პერიოდის უკანასკნელი ფაზა და ქვეყანა ბოლოსდაბოლოს დაადგეს დემოკრატიული აღმშენებლობის შეუქცევად გზას, ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების ერთგული ძალების ძალისხმევის უდიდესი ნაწილი უკვე დღესვე უნდა იქნეს მიმართული სააკაშვილის შემდგომი პერიოდის საქართველოს გამძლოლი დემოკრატიული პოლიტიკური ალტერნატივის ფორმირებაზე.

ცხადია, ეს არ ნიშნავს ყურადღების მოდუნებას მიმდინარე კონკრეტულ პრობლემებზე (მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევაზე), მაგრამ ეს ნიშნავს საქართველოში ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარების სტრაგეგიული გეგმების აწყობას არა დღევანდელ, არამედ მომავალ ხელისუფლებაზე. შესაბამისად, ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარებისთვის იკვეთება ორი უმთავრესი იმპერატივი:

1) ქვეყნის მართვისა და არჩევნებში გამარჯვების უნარის მქონე დემოკრატიული ოპოზიციური ალტერნატივის ფორმირება, რომელიც თავისი სიტყვით, საქმით, მართვის სტილითა და ლიდერების პოლიტიკური ბიოგრაფიით დღესვე გაფანტავს ყოველგვარ ეჭვებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დემოკრატიული პრინციპების შესაძლო ღალატის თაობაზე. რესპუბლიკური პარტია ვაცხადებთ ამგვარ პოლიტიკურ ძალად ფორმირების ამბიციას და საზოგადოებას ვთხოვთ ჩვენს საქმიანობაზე ინტენსიური მონიტორინგის დაწესებას ქვეყნის მართვისათვის ჩვენი მზაობისა და დემოკრატიისადმი ერთგულების ხარისხის მუდმივად გასაკონტროლებლად;

2) მოვლენათა ისეთი განვითარების არდაშვება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების ცვლილებას გამოიწვევს არა მეტი დემოკრატიის გააზრებული საზოგადოებრივი მოთხოვნის, არამედ რომელიმე მწვავე სოციალური, ეთნიკური, სამხედრო ან პიროვნულ პრობლემასთან დაკავშირებული დაპირისპირების ფონზე. ამ უკანასკნელი სცენარით მოვლენათა განვითარების შემთხვევაში ხელისუფლებაში კვლავ აღმოჩნდება ფსევდო-დემოკრატიული ან სულაც ღიად ანტი-დემოკრატიული პოლიტიკური ძალა მთელი თანამდევი შედეგებით.

3. რესპუბლიკური პარტია თავისი სახით საზოგადოებას სთავაზობს ქართული სინამდვილისათვის პრინციპულად ახალი სტილის პოლიტიკურ გაერთიანებას. ჩვენ მიზნად ვისახავთ პოლიტიკური პარტიის შესახებ ბოლშევიკური (ავტორიტარულ-ტოტალიტარული) სტერეოტიპული წარმოდგენების მსხვრევას. შესაბამისად, ჩვენ ჩვენს თავს არ აღვიქვამთ "ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის მპყრობელ საზოგადოების წარმმართველ ძალად", რომელიც თავად ავტორიტარული სტილით იმართება და საზოგადოებას კი დემოკრატიას პირდება. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს თანამედროვე საქართველოში ევროპული სტილის პოლიტიკური პარტიის მშენებლობის სირთულეები. პოლიტიკური ლიდერებისა და პარტიების მიერ მრავალჯერ მოტყუებული საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს კვლავ პოლიტიკური ნიჰილიზმის ტყვეობაშია. 2003 წლის ნოემბრისათვის კონსოლიდირებული დემოკრატიული ძალები კვლავ დაიქსაქსა. "ვარდების რევოლუციის" შემდგომი პერიოდის მოვლენებმა განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიაყენა საზოგადოების ყველაზე უფრო აქტიურ ნაწილს, რომელმაც რევოლუციას მოახმარა ყველაზე უფრო ძვირფასი, რაც გააჩნდა - წლების განმავლობაში დამკვიდრებული პირადი ავტორიტეტი. სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკამ არა მხოლოდ იმედი გაუცრუა ამ ადამიანების უმრავლესობას, არამედ შეასუსტა მათი პოლიტიკური აქტივობაც.

ასეთ პირობებში რესპუბლიკურ პარტიას მოუწევს განსაკუთრებული ძალისხმევა საზოგადოების სათანადო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მაგრამ ჩვენ ამას მოვახერხებთ პარტიის მემარჯვენე-ცენტრისტულ იდეოლოგიაზე, დემოკრატიულ ორგანიზაციულ სისტემასა და პატიოსან პოლიტიკურ მეთოდებზე უარის თქმის გარეშე. რესპუბლიკურ პარტიას აქვს არა მხოლოდ არსებობის ხანგრძლივი ისტორია, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ ქარტეხილებში შეძენილი მდიდარი (ხშირად ქართული სინამდვილისათვის უნიკალური) გამოცდილება და ტრადიციები. ამასთანავე, რესპუბლიკურ პარტიას ესაჭიროება მნიშვნელოვანი ორგანიზაციული, რაოდენობრივი, ფუნქციური და ფინანსური გაძლიერება და ჩვენ მზად ვართ ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებთან სათანამშრომლოდ.

4. რესპუბლიკურ პარტიას გააზრებული აქვს თავისი ღირსეული მაგრამ არა პრივილეგირებული ადგილი საზოგადოების სისტემაში. ჩვენ მოსახლეობას არ განვიხილავთ ამომრჩევლებად, რომლებსაც ხმები უნდა გამოვტყუოთ და მათი არსებობა დავივიწყოთ მომავალ არჩევნებამდე. ჩვენ გვსურს საზოგადოებასთან მუდმივი დიალოგი, რათა უკეთ გავერკვეთ თანამოქალაქეების მოთხოვნილებებში და დავარწმუნოთ ისინი ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების სისწორეში. ჩვენ არ ვესწრაფით სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე (ბიზნესი, მედია, არასამთავრობო სექტორი, პროფკავშირები, უნივერსიტეტები და სხვა) კონტროლის დამყარებასა და ჩვენს სამსახურში მათ ჩაყენებას. ჩვენ არ გვჯერა საქართველოში მრავალგზის ნაცადი გზისა, როდესაც პოლიტიკური პარტიები დემოკრატიას "აშენებენ" დემოკრატიული საზოგადოებრივი ინსტიტუტების პოლიტიკურ კორუფციაში ჩათრევის და მათი დისკრედიტაციის გზით.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად ცალკე აღებული რომელიმე პარტიის (ან თუნდაც ყველა პოლიტიკური პარტიის ერთად აღებული) რესურსის არასაკმარისობაც. ამიტომ ჩვენ ყველა დემოკრატიულ საზოგადოებრივ ინსტიტუტს ვთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას თანსწორუფლებიანი პარტნიორობის საფუძველზე. სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან შედარებით პოლიტიკურ პარტიას აქვს ერთადერთი პრივილეგია - მეტი პასუხისმგებლობა და მეტი ინიციატივები. თუ სხვა ინსტიტუტებს აქვთ თავიანთი მანდატის შესაბამისი საკითხებით შემოფარგვლის და მათზე ფოკუსირების ფუფუნება, რესპუბლიკური პარტიის ფუნქციური მოვალეობაა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე ჩვენი პოლიტიკური პროდუქტის - სახელმწიფო პოლიტიკის ჩვენეული ვარიანტის - შექმნა და საზოგადოებისთვის შეთავაზება.

5. რესპუბლიკური პარტია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ამოცანას აღიქვამს ინტერ-პარტიულ ამოცანად. ქვეყნის დემოკრატიულ რელსებზე დაყენებას და მის შემდგომ აღმშენებლობას პრინციპულად ვერ შეძლებს ვერც ერთი ცალკე აღებული პარტია, თუ ქვეყანაში არ არსებობენ სამართლიან და კეთილსინდისიერ პოლიტიკურ კონკურენციაში ჩაბმული სხვა პოლიტიკური პარტიები. ამიტომ რესპუბლიკური პარტია სისხლხორცეულადაა დაინტერესებული საქართველოში სხვა პოლიტიკური პარტიების განვითარებითა და მათ შორის ცივილიზებული, კანონის უზენაესობასა და პოლიტიკურ ეთიკაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებით. ამასთანავე, ჩვენი აზრით, დემოკრატიის ერთგულ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა დღეს ავალდებულებს უფრო მეტს, ვიდრე ერთმანეთთან ცივილიზებული ურთიერთობაა. მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში აუცილებლად გვესახება ამგვარი პარტიების მაქსიმალურად შესაძლო კონსოლიდირება, რათა არ დავუშვათ ხელისუფლების მკაფიოდ გაცხადებული პოლიტიკური გეგმის განხორციელება - პრაქტიკულად ერთპარტიული (რომელიმე სატელიტ ფსევდო-ოპოზიციურის ჩათვლით) წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა.

6. რესპუბლიკური პარტია მიზნად ისახავს არა "ახალი ქართველის გამოყვანას", არამედ "ტრადიციული ქართველის" თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფოებრიობის პირობებში განვითარების უზრუნველყოფას. ჩვენ ვართ ძლიერი და თავისუფალი პიროვნებებისგან შემდგარი ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე და კონკურენტუნარიანი ერი, მაგრამ ერი, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე საკუთარი სახელმწიფოს გარეშე არსებობდა. ჩვენ არ დაგვიკარგავს მამული, ენა და სარწმუნოება, მაგრამ დავკარგეთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ზოგადი ჩვევები და საერთოდ არ ვზიარებივართ თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფოებრიობის ჩვევებს. ჩვენ ვიცით რა არის სამშობლო, რომელსაც შეგვიძლია შევეწიროთ, მაგრამ არ ვიცით რა არის თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც იძლევა შეუწირავად სამშობლოსათვის სამსახურის საშუალებას. რესპუბლიკელებს არ გვგონია, რომ ადამიანი იბადება სამშობლოსთვის ან სარწმუნოებისთვის გმირული სიკვდილის ვალდებულებით. ჩვენ გვგონია, რომ ადამიანი იბადება თავისუფლებისთვის, რისი რეალიზებაც შეუძლებელია სამშობლოს, ეროვნულ-კულტურული გარემოსა და სარწმუნოების გარეშე. თავისუფალი ადამიანის თავისუფალი არჩევანი კი შეიძლება იყოს ყველაფერი, სამშობლოსა და სარწმუნოებისთვის თავის გაწირვის ჩათვლით.

რესპუბლიკური პარტია საზოგადოებას სთავაზობს სოციალური თანაცხოვრების ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს როგორც ეროვნული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას, ისე ყოველი ინდივიდის თავისუფლებას, ღირსებას და წარმატების თანასწორ შესაძლებლობებს. ენის, სარწმუნოების, კულტურის და ტრადიციების გლობალიზაციის საფრთხეებისგან დასაცავად ჩვენ არ ვირჩევთ მათი კონსერვაციისა და სამუზეუმო ექსპონატებად ქცევის გზას. რესპუბლიკელები საზოგადოებას ვთავაზობთ ეროვნული ფასეულობების განვითარების უწყვეტი ისტორიული პროცესის გაგრძელებას საამისოდ ყველაზე უფრო შესაფერის - ლიბერალურ-დემოკრატიულ - გარემოში.

7. რესპუბლიკურ პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ძალუძს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაში. ინდივიდის სულიერი, ჰარმონიული და სრულფასოვანი განვითარების უზრუნველყოფა სცილდება პოლიტიკური ინსტიტუტების დანიშნულებას. სულიერების სფეროს ნაკლებად ნაზიარებს ინდივიდებს კი უჭირთ სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სიკეთეების გაცნობიერება. შესაბამისად, ეკლესია, როგორც ადამიანის სულიერებაზე მზრუნველი ფენომენი, საკუთარ, განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ფლობს დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ხელშეწყობისათვის. ამ შესაძლებლობების განსაკუთრებულობა კი მათ დელიკატურობაშიც მდგომარეობს: პოლიტიკური ინსტიტუტების მხრიდან ეკლესიის ცხოვრებაში ჩარევა, ან პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად ეკლესიის მოხმობა ეკლესიისა და, მაშასადამე, საზოგადოების სულიერი შეურყვნის მომასწავებელია; იმავე საფრთხის მატარებელია ეკლესიის მხრიდან პოლიტიკაში ჩარევისა და საკუთარი ამოცანების სახელმწიფოს მოშველიებით გადაწყვეტის მცდელობაც.

რესპუბლიკური პარტიის ღირებულებით შეიძლება ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, მაგრამ ეს ნაკლებად ეფექტური იქნება. ეკლესიის ავტორიტეტის ეფექტურად გამოყენება შეიძლება მხოლოდ ეკლესიის ავტორიტეტის ზრდის ხარჯზე, ეკლესიის ავტორიტეტის ზრდა კი შეიძლება მხოლოდ ეკლესიის მიერ ეროვნული ფასეულობების ერთგული მსახურის როლის ნებაყოფლობით აღებით. ეკლესიის ავტორიტეტის ზრდა ეკლესიის მიერ ეროვნული ფასეულობების ერთგული მსახურის როლის ნებაყოფლობით აღებით კი შეიძლება მხოლოდ ეკლესიის ავტორიტეტის ზრდის ხარჯზე, ეკლესიის ავტორიტეტის ზრდა კი შეიძლება მხოლოდ ეკლესიის მიერ ეროვნული ფასეულობების ერთგული მსახურის როლის ნებაყოფლობით აღებით და ა.შ. ამ ურთიერთდამოკიდებულების ფარგლებში ეკლესიის ავტორიტეტის ეფექტურად გამოყენება

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქვემოთ მოყვანილი ტექნიკით მომსახურეობის შესყიდვაზე. (28 ლოტი)

N	სპეცტექნიკის დასახელება	მომსახურეობის გაწევის ადგილი
ლოტი N1	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	ქ. თბილისის ტერიტორიაზე (რვა საათიანი სამუშაო დღე)
ლოტი N2	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	ქ. თბილისის ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N3	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	ქ. თბილისის ტერიტორიაზე
ლოტი N4	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	ქ. თბილისის ტერიტორიაზე
ლოტი N5	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე
ლოტი N6	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე
ლოტი N7	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N8	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე
ლოტი N9	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	სამეგრელოს ტერიტორიაზე
ლოტი N10	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	სამეგრელოს ტერიტორიაზე
ლოტი N11	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	სამეგრელოს ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N12	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	სამეგრელოს ტერიტორიაზე
ლოტი N13	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N14	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N15	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N16	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N17	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N18	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N19	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N20	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N21	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N22	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N23	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N24	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N25	ექსკავატორი კოშკის მოცულობა 0.8 კუბური მეტრი	შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N26	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე
ლოტი N27	ავტოკრანი ტვირთამწეობა 16000 კგ	შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე (არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში)
ლოტი N28	თვითმცლელი ტვირთამწეობა 10 000 კგ	შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757; ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 3 აპრილი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

მიმწოდებელი ვალდებული იქნება მომსახურეობა განახორციელოს 2006 წლის განმავლობაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 4 აპრილამდე 17:00 საათი (თბილისის დროით), ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 4 აპრილს 17:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ადა ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობი ასლი; საკოტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკუ პირი ქმედითუნარიანია
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს მისი კუთვნილი ტვირთების (ელ. მოწყობილობები, შავი ლითონის ნაწარმი, სააკუმულიატორო ბატარეების და სხვა) გადაზიდვის მომსახურეობის შესყიდვაზე. (13 ლოტი)

N	ავტო სატრანსპორტო საშუალების დასახელება	გადაზიდვის არეალი	სავარაუდო გადაზიდვის მოცულობა (კმ)
ლოტი N1	უნაგირა საწევარა ნახევარმისაბმელით	ქ. თბილისის ტერიტორიაზე	600
ლოტი N2	სატვირთო ავტომობილი დახურული ძარით	ქ. თბილისის ტერიტორიაზე	400
ლოტი N3	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	ქ. თბილისის ტერიტორიაზე	800
ლოტი N4	უნაგირა საწევარა ნახევარმისაბმელით	საქართველოს ტერიტორიაზე	10000
ლოტი N5	სატვირთო ავტომობილი დახურული ძარით	საქართველოს ტერიტორიაზე	1500
ლოტი N6	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	საქართველოს ტერიტორიაზე	13000
ლოტი N7	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	სამეგრელოს ტერიტორიაზე	400
ლოტი N8	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე	400
ლოტი N9	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე	400
ლოტი N10	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე	400
ლოტი N11	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე	400
ლოტი N12	მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი ღია ბორტით	შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე	400
ლოტი N13	უნაგირა საწევარა მანქანა მექანიზმების გადასატანი მისაბმელით.	საქართველოს ტერიტორიაზე	2000

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი რესპუბლიკა, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757; ა/ა 334030001 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 3 აპრილი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

მიმწოდებელი ვალდებული იქნება გადაზიდვები განახორციელოს 2006 წლის განმავლობაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სეტენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 4 აპრილამდე 15:00 საათი (თბილისის დროით), მისამართი: ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 2006 წლის 4 მაისამდე.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 4 აპრილს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობი ასლი; საკოტაქტო რეკვიზიტები,)
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას, შესყიდვის ობიექტი ---- ტვირთების გადაზიდვის მომსახურეობა.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა..

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 32 989816; ქ. თბილისი.
ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახუ რი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1.საქართველის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო მომსახურეობის შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ სამოქალაქო და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო, სახელმწიფო ბიუჯეტი.

ლოტი №1-ს საქართველოს საზღვის დაცვის დეპარტანენტის №6 რეგიონალური სამმართველოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი აღის დაახლოებით 10000 მ/2 ნაკვეთი მდებარეობს სამანქანო გზის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთი უნდა შემოიღობოს კაპიტალური 2.50 მეტრის სიმაღლის მავთულის ღობით. შესასვლელში უნდა იყოს გამშვები პუნქტი და 7-მ იანი სათვალთვალო კოშკურა, ტერიტორიაზე უნდა განლაგდეს ასევვე ავტოფარეხი 3 მსუბუქი და 1 სატვირთო ავტომანქანისათვის. შვეულმფრენის ასაფრენ დასაფრენი მოედანი.

შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონისაგან უდა დამზადდეს და შემავსებლად კი გამოყენებულ იქნას სამსენებლო ბლოკი.გადახურვად კი უნდა იყოს გამოყენებული მეტალო კრამიტის სახურავი.

დასრულებული შენობა-ნაგებობები მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს პროექტს.

(პროექტი მოწოდებულ იქნება სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტთან ერთად).

ლოტი №2---№4 რეგიონალური სამარტველოს სექტორებზე 4 ცალი სათვალთვალო კოშკურის მშენებლობა.

ლოტი №3---№5 რეგიონალური სამმრთველოს სექტორებზე 10 ცალი სათვალთვალო კოშკურის მშენებლობა.

ლოტი №4---№6 რეგიონალური სამმართველო სექტორებზე 6 ცალი სათვალთვალო კოშკურის მშენებლობა.

ლოტი №5--- დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის აკვანძეების რემონტი და თავმჯდომარის მოადგილის კაბონეტის მოწყობა.

სათვალთვალო კოშკი უნდა წარმოადგენდეს მეტალის ასაწყობ კონსტრუქციას, რომელიც ჩაანკერებული უნდა იყოს ბეტონის საძირკველში.

სათვალთვალო კოშკის სიმაღლე 7 და 10 მეტრი უნდა იყოს.კოშკურაზე ასასვლელი კიბე კონსტრუქციის შიგნით უნდა იყოს მოთავსებული,ოშკურას აუცილებლად უნდა ჰქონდეს 1.50X 1.50 მეტრი მოცულობის მქონე ოთახი, რომლის გარშემოც იქნება შემოსასვლელი ბაქანი არანაკლებ 0,90მეტრისა. ოტახი ოთხივე მხრიდან შემინული უნდა იყოს. სასურველია, თუ მთლიანი კონსტრუქცია და გადახურვა ანტიკოროზიული მუქმწვანე ფერის საღებავით იქნება შეღებილი. აუცილებელია ოთახისთვის თბოიზოლაციის მოწყობა იატაკქვეშ და კედლებში.

2.ტენდერშ ი მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი. რეკვიზიტებზე, ბანკის კოდი № 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი № 302003000, ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში №200122900. დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტანენტი კოდი 1512.

3.სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კანდელაკის ქ.12 ტელ:381215;376384.

4.სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით, ან ნოტარიუსით დამოწმებული ქართველ ენაზე.

5.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შ იცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

იურიდიული პირისათვის:

-მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადეებული ყადაღა (ცნობა საჯარო რესტრის ეროვნული სააგანტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

-მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია(ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელწმიფო ორგანოდან.

-მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველსო შს სამინისტროდან);უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებიდან.

ფიზიკური პირისათვის:

-უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელწმიფო ორგანოდან.

-მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება(უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესაბამისი ქვეყნსი სახელმწიფო ორგანოდან;

- უკანასკნელ 5 წლის მანძილზე არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის. (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი ანგარიშსწორების რეკვიზიტები.

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 3 აპრილს 14:00 საათამდე. მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. სატენდერო აპარატი.

ტელ: 38-12-15. 37-63-84

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე. 2006 წლის 3 აპრილს 14.00 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: ტელ: 38-12-15. 37-63-84.

სატენდერო კომისია